

კოალიცია თანასწორობისთვის
საქმიანობის ანგარიში

2016-2017



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



კოალიცია თანასწორობისთვის

„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ხელშეწყობით შეიქმნა და შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“, „იდენტობა“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, კავშირი „საფარი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი (WISG)“ და „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა.

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

**კოალიცია
„თანასწორობისთვის“
საქმიანობის ანგარიში**

2016-2017



„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელშეწყობით შეიქმნა და რვა არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, კავშირი „საფარი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) და „იდენტობა“.

კოალიციის მიზანიანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა.

ანგარიში გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ დაფინანსებით და მხარდაჭერით. ანგარიში მომზადდა და დაიბეჭდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კოორდინაციით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	6
1.1. რასა	9
მ.ჩ. თბილისის №130 საჯარო სკოლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ) ...	10
1.2. ეთნიკური კუთვნილება	11
PHR ონლაინ მედია საშუალება „დაიჯესტის“ წინააღმდეგ	12
PHR შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ	12
1.3. მოქალაქეობა	13
ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	13
1.4. სქესი	14
თ.თ. და ტ.კ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	14
„საფარი“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის წინააღმდეგ	14
„საფარი“ მაგთიკომის წინააღმდეგ	15
ნ.ს. კლინიკა „უნივერსის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ)	16
„საფარი“ მაია ასათიანის წინააღმდეგ	17
თ.ს. შ.რ-ს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ).....	18
„საფარი“ ტელეკომპანია „ტაბულას“ წინააღმდეგ	19
PHR თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ	20
WISG საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ	21
ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	23
PHR სწრაფი კვების ობიექტ Wendy’s-ის წინააღმდეგ	24
„საფარი“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ	24
ნ.შ. შპს „აი კი დეველოპმენტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	24
ე.გ. „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	25
1.5. საქსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა	27
ნინო მაჩაიძე კარაოკე ბარის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)	27
ნათია ენდელაძე ტაქსის კომპანია „Maxim“-ის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)	28
ნინო სირაძე საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)	31
ვეგანური კაფე „კივის“ საქმე (მომზადებულია EMC-ს მიერ)	32
გიორგი ნადირაძე და დავით მაღლაკელიძე „Sector 26“-ის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	33
ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ თანასწორობის მოძრაობასა და თანასწორობა 17-თან ერთად)	33
1.6. რელიგია	34
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია რუსთავის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	34

მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები მოხეს საჯარო სკოლაში (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	36
ა.ა. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსა და დირექტორის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	40
სავიზო-საბაჟო შემოწმებისას, მუსლიმი თემის წინააღმდეგ უფლებამოსილებების დისკრიმინაციული გამოყენების საქმე (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	41
მ.ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	41
ქობულეთში მუსლიმ მოსწავლეთა პანსიონატის საქმიანობისთვის დისკრიმინაციული ხელშეშლის საქმე (მომზადებულია EMC-ს მიერ)	42
ახალი მეჩეთის მშენებლობა (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	43
იეჰოვას მოწმის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე (მომზადებულია EMC-ს მიერ)	45
ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მთავრობის სავარაუდო დისკრიმინაციული უარი (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	46
წყალარინების სისტემასთან ქობულეთის პანსიონატის მიერთებაზე გამგეობის დისკრიმინაციული უარი (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	46
1.7. შეზღუდული შესაძლებლობა	47
ვ.კ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	48
PHR ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ	48
PHR იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ	50
PHR სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ	51
PHR საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ	51
ანა მაისურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)	52
მ.მ. და ე.გ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)	52
მ.მ. სს ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)	54
გ.ს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	54
თ.მ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	55
მ.მ. და გ.ე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	55
ს.ფ. ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)	56
მ.მ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)	56
PHR საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ	57
ზ.კ. თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	58
1.8. პოლიტიკური ასოცირება	58
ეკატერინე მიშველაძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	58
ნ.ტ. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	59
1.9. ოჯახური ძალადობრა	59
მ.ს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	60
1.10. გამონათქვა	63

გ.კ. შპს „ბიბლუსის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	64
აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქართველოში შემოსვლაზე თვითნებური და დისკრიმინაციული უარი (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	65
1.11. საცხოვრებელი ადგილი	66
ვლადიმერ ჩიტაია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	66
თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)	67
1.12. პროფესია	68
ე.ფ. საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის აპარატის უფროსისა და კომიტეტის თავმჯდომარის, სოფო კილაძის წინააღმდეგ	68
1.13. სხვა ნიშანი	69
გ.ხ. თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	69
დ.ბ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	70
როინ გავაშელიშვილი და ვალერიან მიგინეიშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)	70
2. კოალიცია „თანასწორობისთვის“ წევრების მიერ წარმოებული საქმეებიდან გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები	71
2.1. მტკიცების ტვირთი	71
2.2. გონივრული მისადაგების პრინციპი	74
2.3. მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია	77
2.4. დისკრიმინაცია კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას	78
2.5. საქმისწარმოების შეწყვეტის პრაქტიკა სახალხო დამცველის აპარატში	80
2.6. ზოგადი წინადადება და რეკომენდაცია	81
2.7. დისკრიმინაციული შევიწროება და სამსუალო შევიწროება	82
2.8. თანასწორობის დაცვის ორივე მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა	83
2.9. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შედეგი	84
2.10. საქმის განხილვის გაჭინაწერება	85
2.11. რეკომენდაციები	85


1. შესავალი

ეს არის კოალიცია „თანასწორობისთვის“ რიგით მესამე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2016 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშში ასახულია კოალიციაში შემავალი ორგანიზაციების მიერ წარმოებული საქმეები სახალხო დამცველის აპარატში, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში. საქმეები ეხება დისკრიმინირებული ჯგუფების მდგომარეობას და თანასწორობის არსებული მექანიზმების ეფექტიანობას მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებების დასაცავად.


არაფორმალური კოალიცია „თანასწორობისთვის“ შეიქმნა 2014 წლის მაისში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების პროცესში მონაწილეობის მიზნით. აღნიშნული კანონის მიღების შემდეგ, კოალიციაში შემავალი ორგანიზაციები იყენებენ კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს სამართალწარმოებისთვის. ამჟამად კოალიციაში შედის 7 არასამთავრობო ორგანიზაცია: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი (WISG), კავშირი „საფარი“, კონსტიტუციის 42-ე მუხლი და „იდეტობა“.

2017 წლის 19 აპრილს საიამ კოალიციის თავმჯდომარეობა ერთი წლით გადაიბარა EMC-სგან. კოალიციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“. კოალიციას გააჩნია წესდება, სტრატეგია და წევრთა მიღების წესი. კოალიციის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს „ღია საზოგადოება – საქართველო“, რომელმაც დააფინანსა დისკრიმინაციის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანია და კოალიციაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების იურისტთა გადამზადება.


საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა აწარმოეს 60 საქმე. ამ საქმეებიდან პირველ ადგილზეა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაცია (15 საქმე), რომელსაც მოსდევს სქესის ნიშნით დისკრიმინაცია (14 საქმე). მესამე ადგილზეა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია (10 საქმე). სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციაზე კოალიციის წევრებმა აწარმოეს 6 საქმე (აქედან ერთი ეხება ლესბოსელის დისკრიმინაციას, ორი საქმე – ტრანსგენდერი ქალის, ხოლო სამი საქმე – გეი თემის წევრების დისკრიმინაციას). 2 საქმე ეხება ეთნიკურ ნიშანს, 2 საქმე – გამოხატვას, 2 – პოლიტიკური ნიშანს და ორიც – საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციას. კოალიციის ერთი საქმე ეხება რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციას, ერთი – ოჯახური მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციას, ერთი – მოქალაქეობის გამო დისკრიმინაციას, ერთი – ნასამართლობის ნიშანს, ხოლო ერთი – განათლების მიღების ფორმის საფუძველზე დისკრიმინაციას, ერთი საქმე – კერძო სადაზღვევო სქემის დატოვების თარიღის მიხედვით დისკრიმინაციას, ხოლო ერთი საქმე – პროფესიული ნიშნით დისკრიმინაციას.




საანგარიშო პერიოდში მომზადებული საქმეების რაოდენობა: „საფარი“ – 8 საქმე, PHR – 14 საქმე, საია – 16 საქმე, EMC – 18 საქმე, WISG – 4 საქმე.




საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას ორი სარჩელი კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევის თაობაზე, ამავე მუხლთან დაკავშირებით არსებითად განსახილველად მიიღო EMC-ს სამი სარჩელი და საიას ერთი სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლოს არ გადაუწყვეტია სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი PHR-ის საქმესთან მიმართებით. სულ, კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოს თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით მიმართეს 7 საქმეზე.



სახალხო დამცველის აპარატი რჩება კოალიციის მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებად მექანიზმად. კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა სახალხო დამცველს მიმართეს 35 საქმეზე. აქედან 9 საქმეზე სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია და გამოსცა რეკომენდაცია, საფარის ერთ საქმეზე შეწყვიტა საქმისწარმოება, ვინაიდან დისკრიმინაციის ჩამდენმა პირმა ნებაყოფლობით აღმოფხვრა დისკრიმინაციული პრაქტიკა, ხოლო 5 საქმეზე გამოსცა ზოგადი წინადადება. 20 საქმეზე სახალხო დამცველს საბოლოო გადანწყვეტილება არ მიუღია.



ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საფუძველზე, კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა საერთო სასამართლოებს მიმართეს 19 საქმესთან დაკავშირებით. აქედან სარჩელი დაკმაყოფილდა EMC-ის ორ საქმეზე (ქობულეთის პანსიონისა და რუსთავში კათოლიკური ეკლესიის საქმე), ხოლო ერთ საქმეზე (ქობულეთის მუსლიმური პანსიონის საქმე) ამონაწერი იქნა სამივე ინსტანციის სასამართლო. ამ საქმეში ფიზიკური პირების მხრიდან დისკრიმინაცია დაადგინა სამივე ინსტანციის სასამართლომ. ამავე საქმეზე პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს არ დაუდგენიათ შსს-ს უმოქმედობით მუსლიმი თემის მიმართ დისკრიმინაცია. უზენაეს სასამართლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის ნაწილში წარდგენილ საკასაციო საჩივარზე საანგარიშო პერიოდში არ უმსჯელია. მორიგებით დასრულდა დავა EMC-ს ერთ საქმეზე. საიას ერთ საქმეზე მოსარჩელემ გამოითხოვა სარჩელი სასამართლოდან, ვინაიდან სარჩელის შეტანის შემდეგ მოპასუხემ აღმოფხვრა ის ქმედება, რასაც მოსარჩელე ედავებოდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა „საფარის“ სარჩელი რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, ასევე – საიას სარჩელის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა პოლიტიკური ასოციაციებისა და ოჯახური მდგომარეობის გამო დისკრიმინაციას. „საფარი“ აგრძელებს აღნიშნულ საქმეზე დავას სააპელაციო სასამართლოში. ამ 6 საქმის გამოკლებით, დანარჩენ 14 საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს საანგარიშო პერიოდში გადაწყვეტილება არ მიუღია.



ანგარიშის მეორე ნაწილში წარმოდგენილია იმ პრობლემების ანალიზი, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელი გახდა საანგარიშო პერიოდში. ამავე თავში მოცემულია რეკომენდაციები, რაც მიზნად ისახავს ანგარიშში იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარებას. ანგარიში იმეორებს იმ რეკომენდაციებსაც, რომლებიც კოალიციამ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს მისცა წინა პერიოდებში, თუმცა, ამ დრომდე არ შესრულებულა. საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული საქმეების გამოკლებით, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები აღნიშნულია ინიციალებით. მომჩივანთა თანხმობით, არ არის დაშტრიხული სახელების გარკვეული ნაწილი. იმის გათვალისწინებით, რომ ლგბტ თემის წევრები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან, მათი კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, შეცვლილია სასამართლოსა და სახალხო დამცველის აპარატში შეტანილი თემის წევრთა სახელები და გვარები.

1.1. რასა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა პირდაპირ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, რასა კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. რასის ნიშნით დიფერენცირების შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გამოიყენებს „მკაცრი შეფასების“ ტესტს (მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს, რომ დიფერენცირება ემსახურება მწვავე და დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესის დაკმაყოფილებას), თუნდაც არსებითად თანასწორთა შორის განსხვავებული მოპყრობის ინტენსივობა მაღალი არ იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 დამატებითი ოქმის პირველ მუხლში რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა ასევე პირდაპირ არის გათვალისწინებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებით გამოყო რასის ნიშანი. საქმეში „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართ-

ლომ რასის ნიშნით დისკრიმინაცია „განსაკუთრებით შემამფოთებელი“ დისკრიმინაციის სახედ მიიჩნია. ამის გამო, თუკი ამ ნიშნით ხდება განსხვავებული მოპყრობა, სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა რასობრივი და ეთნიკური ნიშანი. ევროპულმა სასამართლომ რასასთან დაკავშირებით საქმეში „სედრი და ფინჩი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ“ განაცხადა: „რასის იდეა ეფუძნება ადამიანების ბიოლოგიური ნიშნით განსხვავებას. რასის ნიშნით სხვადასხვა ჯგუფებად ადამიანების კლასიფიკაცია ხდება ისეთი მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, როგორცაა კანის ფერი და სახის აგებულება.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 1999 წლის 16 აპრილს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკისრება ვალდებულება, ხელი არ შეუწყოს, არ დაიცვას, მხარი არ დაუჭიროს რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ განხორციელებულ რასობრივ დისკრიმინაციას

მ.ჩ. თბილისის №130 საჯარო სკოლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ)

2016 წლის 8 თებერვალს მ.ჩ-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საქმე ეხება რასობრივი კუთვნილების გამო შევიწროებას. მ.ჩ. იყო 130-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე. იგი თანაკლასელებისა და სკოლის სხვა მოსწავლეების მხრიდან ხშირად ხდებოდა რასობრივი ნიშნით შევიწროების მსხვერპლი. კლასელმა მას „ზანგო“ დაუძახა. აღნიშნულის შესახებ იცოდა მ.ჩ-ს დამრიგებელმა. მას ჰქონდა კლასელების შერიგების მცდელობა, თუმცა, მისი მხრიდან გატარებული ღონისძიებები ეფექტური არ აღმოჩნდა. დამრიგებელმა არ აუხსნა მოსწავლეებს რასიზმის და მისი მავნებლობის შესახებ. მისი მხრიდან აქცენტი მ.ჩ-ს ქართულ წარმომავლობასა და ცნობილ წინაპარზე გაკეთდა. თანაკლასელების მხრიდან მ.ჩ-ს მიმართ ხშირად ხდებოდა რასისტული ტერმინების გამოყენება. 2015 წელს კონფლიქტის დროს კლასელმა მ.ჩ-ს მიმართა – ნადი შენს აფრიკაში, შენი ადგილი ცივილიზაციაში არ არის. კონფლიქტს შეესწრო ერთ-ერთი მასწავლებელიც, თუმცა მან, კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად, ორივე მოსწავლე კლასიდან გაუშვა. სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს რასისტული შევიწროების ფაქტზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. საბოლოოდ, მომხდარმა ფაქტმა მ.ჩ. აიძულა, სკოლიდან გადასულიყო, რადგან მიხვდა, რომ ასეთ მტრულ გარემოში სწავლას ვეღარ განაგრძობდა. მ.ჩ-ს დედის, რ.ა-ს მხრიდან ახსნა-განმარტებების მოთხოვნის შემდეგ, სკოლის ადმინისტრაციამ აქცენტი მ.ჩ-ს აკადემიურ მოსწრებაზე გააკეთა და მ.ჩ-ს შევიწროების ფაქტების მიმართ სკოლის პასუხისმგებლობა არ დაადასტურა.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია რასობრივი ნიშნით, ასევე, კანის ფერის გამო, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი. რასა და კანის ფერი, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი საფუძველი, გათვალისწინებულია დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველ მუხლში. აღნიშნული კანონი მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელებულმა შევიწროებამ ხელი შეუშალა განათლების უფლების განხორციელებაში და დაირღვა ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლები. სკოლის მიერ რასობრივი შევიწროების ფაქტების იგნორირებამ ხელი შეუშალა მ.ჩ-ს, მიეღო სრულფასოვანი განათლება, ვინაიდან მისი ყურადღება, ძირითადად, მიპყრობილი იყო რასობრივი შეურაცხყოფებისგან თავის დაცვისკენ.

მოსარჩელემ სასამართლოსაგან მოითხოვა დისკრიმინაციული ქმედების (უმოქმედობის) აღმოფხვრა და, მორალური ზიანის სანაცვლოდ, მოსარჩელისთვის 5000 ლარის გადახდა. სარჩელში მითითებულია, რომ არასრულწლოვნისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია დისკრიმინაციულ გარემოში ცხოვრება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნულია:

„მ.ჩ. გაკვეთილის მსვლელობას ხელს უშლიდა და თანაკლასელმა მას „ნადი აფრიკაში“ მისი საქციელის გამო უთხრა, რადგანაც, ახალგაზრდების აზრით, აფრიკის კონტინენტზე ცხოვრობენ პირველყოფილი ადამიანები. ვინაიდან მოსარჩელე მხარე გაკვეთილზე ხმაურობდა და მასწავლებელმა მისი გაჩუმება ვერ შეძლო, თანაკლასელმა მ.ჩ-ს სანყენად უთხრა, „ნადი აფრიკაშიო“, თუმცა, აღნიშნული რასობრივი შეურაცხყოფის მნიშვნელობით არ უთქვამს. სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული სიტყვები თანაკლასელმა მოსარჩელეს უთხრა მისი ხმამაღალი საუბრის, მასწავლებლის შენიშვნების უგულებელყოფის გამო. თანაკლასელმა დაიჭირა სხვა კლასელების და მასწავლებლის მხარე, ხოლო მ.ჩ-მ მის მიმართ გამოთქვა არაკორექტული შენიშვნები. ს.ქ-მ არაკორექტულად მიმართა კლასელს, თუმცა, აღნიშნული გამოწვეული იყო მ.ჩ-ს ხმამაღალი საუბრით და მასწავლებლისადმი დაუმორჩილებლობით. საყოველთაოდ ცნობილია აფრიკასა და ამერიკის ცენტრალურ ნაწილში, თავისი განვითარების დონით,

ცივილიზაციისგან შორს მყოფი ტომების არსებობის თაობაზე. მათ შესახებ ახალგაზრდები ინფორმაციას იღებენ სახელმძღვანელოებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან თუ ტელეგადაცემებიდან. ასეთი ტომების პირველყოფილ ცხოვრებას ეძღვნება არაერთი მხატვრული ნაწარმოები (წიგნი, ფილმი). მათ შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალგაზრდებში. მ.ჩ-ს კლასელმა მიმართა წინასწარ შერჩეული დამცინავი სიტყვებით, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ასეთი ქცევები არასწორია, ცივილიზებული საზოგადოებისთვის შეუფერებელია, ხოლო ის, ვინც ასე იქცევა, აფრიკაში პირველყოფილ ტომებთან უნდა იყოს და არა – აქ, ცივილიზებულ საზოგადოებაში.“

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სკოლამ ინციდენტთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროს აუდიტის დასკვნის საფუძველზე, გაატარა რიგი ღონისძიებები: მოსწავლე ს.ქ-ს დაეკისრა დისციპლინური სახდელი – შენიშვნა; მ.ჩ-ს მიმართ, სკოლის შეცვლის გამო, დისციპლინური სახდელი ვერ განხორციელდა; საყვედური გამოეცხადა სკოლის დარაჯს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს; ქიმიის მასწავლებელს მიეცა შენიშვნა. სკოლაში გატარდა ინფორმაციული და საგანმანათლებლო ღონისძიებები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სკოლის მხრიდან აუდიტის დასკვნის წარმოდგენამდე, სკოლის ხელმძღვანელობის მიერ ქმედებების განხორციელება, მოსარჩელის დედის რ.ა-ს აღშფოთების გამო, ვერ მოხერხდა.

სასამართლოს აზრით, მოპასუხემ დაამტკიცა, რომ მას არ განუხორციელებია დისკრიმინაცია, ხოლო მოსარჩელემ ვერ შეძლო, წარმოედგინა ის მტკიცებულებები, რომელიც დისკრიმინაციის განხორციელების ვარაუდს შექმნიდა.

ეს გადაწყვეტილება მოსარჩელემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

1.2. ეთნიკური კუთვნილება

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, იკრძალება ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონია შესაძლებლობა, ემსჯელა აღნიშნული ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე. ამის მიუხედავად, საქმეზე „ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოქალაქეობის ნიშანი არ იყო საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული. საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზნებისათვის ეთნიკური კუთვნილება, შესაძლოა, ეროვნულ კუთვნილებას დაემთხვეს. ნებისმიერ შემთხვევაში, კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს თანასწორობის დაცვაზე, როგორც ეთნიკური, ისე ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. შესაბამისად, ენობრივად და კულტურულად უმრავლესობისაგან განსხვავებული საქართველოს მოქალაქეები შეიძლება დაცულნი იყვნენ როგორც კონსტიტუციაში ნახსენები ტერმინით – „ეთნიკური“, ისე ტერმინით – „ეროვნული“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების გამო. საქმეში „სედჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის ეთნიკური კუთვნილება ასე განმარტა: „ეთნიკურობა არის სოციალური ნიშანი, რომლის საფუძველზეც გაერთიანებულ პირებს ახასიათებთ ისეთი თავისებურებები, როგორიცაა საერთო მოქალაქეობა (ეროვნულობა), რელიგია, მრწამსი, ენა ან კულტურა და ტრადიციები. ეთნიკური ნიშნით ადამიანის დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის შემადგენელი ნაწილია.“

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის პირველ მუხლში მითითებულია: „რასობრივი დისკრიმინაცია“ აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, მათ შორის, ეთნიკური კუთვნილების ნიშნით.

ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენცია საქართველოსთან მიმართებით ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან. ამ კონვენციის მე-5 მუხლით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, დაიცვას ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობა, ენა, რელიგია და ტრადიციები (კონვენციის განმარტებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური სხვაობის არსებობა ყოველთვის არ გულისხმობს იმას, რომ სახეზეა ეროვნული უმცირესობა).

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში პირდაპირ არის გათვალისწინებული ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიშანი.

PHR ონლაინ მედია საშუალება „დაიჯესტის“ წინააღმდეგ

2016 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR).

2016 წლის 24 ნოემბერს, მედიასაშუალება „დაიჯესტმა“ გაავრცელა ვიდეო სახელწოდებით – „ამ ვიდეოში პირიქითაა, ციგნის ბავშვი ფულს კი არ გთხოვთ, გჩუქნით!...“ ვიდეორგოლში ნაჩვენებია სოციალური ექსპერიმენტი, რომლის მიხედვით, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები ფულს სთავაზობენ გამვლელებს. ხალხის უმრავლესობა ნეგატიური რეაქციით პასუხობს შეთავაზებას და უხეშად ცდილობს ბავშვების თავიდან მოცილებას. ამასთან, ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვები მოხსენიებულნი არიან, როგორც „ციგნები.“

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ჩანაწერი უხეშად ერევა თანასწორობის უფლებაში. კერძოდ, ვიდეოში გამოყენებული სიტყვა „ციგანი“ ატარებს დისკრიმინაციულ, ქსენოფობიურ, დამამცირებელ მნიშვნელობას, აღვივებს სიძულვილს, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისა და ბოშების, როგორც ეთნიკური ჯგუფის მიმართ. სიტყვა „ციგანს“ აქვს ნეგატიური დატვირთვა და აძლიერებს ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისა და ბოშების მიმართ არსებულ სტიგმას, წარმოშობს საზოგადოების მიერ მათი გარიყვის საფრთხეს. შესაბამისად, მათი უფლებების დაცვის მიზნით, მედიასაშუალებებმა არ უნდა გამოიყენონ აღნიშნული ტერმინი.

მომჩივანმა ორგანიზაციამ მოითხოვა სახალხო დამცველისგან რეკომენდაციის შემუშავება, რომლითაც მოხდებოდა მედიაში ტერმინის – „ციგანი“ – გამოყენების თავიდან აცილება.

2017 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველმა სააგენტო „პირველს“ ზოგადი წინადადებით მიმართა, რომელშიც აღნიშნულია: ტერმინი „ციგანი“ ხელს უწყობს დაუცველი ბავშვების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ბავშვის შეურაცხყოფა აქვეითებს მათში თვითშეფასების გრძნობას და, ამის გამო, კლავს მასში სწავლის სურვილს. სახალხო დამცველმა სთხოვა შპს „პირველს“, ფეისბუქგვერდიდან აეღო ვიდეომასალა და მომავალში, სიუჟეტის ან სხვა მასალის მომზადებისას, არ გამოეყენებინა ისეთი ტერმინები, რომლებიც დაუცველი ჯგუფის წარმომადგენელთა ღირსებას შელახავდა ან/და მათ მიმართ სტიგმის და სტერეოტიპული განწყობის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს.

PHR შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ

2017 წლის 15 თებერვალს PHR-მა საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინააღმდეგ. 2016 წლის 18 დეკემბერს „სტუდია მონიტორმა“ გამოაქვეყნა სიუჟეტი¹ სახელწოდებით „ბავშვები ჩვენი რეალობიდან“. სიუჟეტში აღწერილია საპატრულო პოლიციის თანამშრომლების რეაქცია და დამოკიდებულება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიმართ. საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი, დედასა და ბავშვს, რომლებიც, სავარაუდოდ, მოწყალეებს ქუჩაში ითხოვდნენ, მოიხსენიებს როგორც „ციგნებს“. მისი საუბრის მანერაში იკვეთება განსაკუთრებულად აგრესიული დამოკიდებულება ბოშების, როგორც ეთნიკური ჯგუფის მიმართ, კერძოდ, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ამბობს შემდეგ ტექსტს: „ციგნები სულ გარეთ ყრიან, აი, სად წავიყვანო, გეკითხები, დედაბუდიანად გარეთ ყრიან.“

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს. განსახილველ შემთხვევაში, ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ პოლიციის თანამშრომელს ჰქონდა დისკრიმინაციული და ქსენოფობიური დამოკიდებულება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვის მიმართ და ეთნიკური ნიშნით ახდენდა დანაშაულის სავარაუდო მსხვერპლების დაყოფას, რაც წარმოშობს არაშემწყნარებლურ ფონს და აძლიერებს საქართველოში მცხოვრები ბოშების მიმართ არსებულ სტიგმას.

ორგანიზაციამ სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეესწავლა ვიდეოს შინაარსობრივი მხარე, აღნიშნულ შემთხვევაზე განხორციელებინა ზედამხედველობა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით და განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინა საქართველოში მცხოვრები ბოშების მიმართ დისკრიმინაციული ტერმინოლოგიით მოხსენიების საკითხებზე.

PHR-ის განცხადების საფუძველზე, სახალხო დამცველმა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი გადაცდომის სავარაუდო შემთხვევასთან დაკავშირებით, შინაგან საქმე-

¹ https://www.youtube.com/watch?time_continue=1&v=o7QjklbKCUC .

თა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა. აღნიშნული ფაქტის შესწავლის შემდეგ სახალხო დამცველს ეცნობა, რომ შსს-ს გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის შედეგად, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს დისციპლინური სახდელის სახით შეეფარდა შენიშვნა, ხოლო მეორე თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იყო სარეკომენდაციო ბარათი.

1.3. მოქალაქეობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული წარმოშობის ნიშნით. საქმეში „გაიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ“ მოპასუხე სახელმწიფომ სოციალური დახმარების გაცემაზე მომჩივანს უარი უთხრა იმის გამო, რომ ის არა ავსტრიის, არამედ თურქეთის მოქალაქე იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დიფერენცირების ნიშანი სწორედაც რომ „ეროვნული წარმოშობა“ (სხვა ქვეყნის მოქალაქეობა) იყო.

აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან კავშირში. ევროპული სასამართლოს თქმით, სახელმწიფოს მოეთხოვება საკმაოდ წონადი არგუმენტის წარმოდგენა იმისათვის, რომ გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე დაყრდნობით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში აკრძალულია დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიშნით. გარდა ამისა, არსებობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომელიც დამატებით განმტკიცებს უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორც – საქართველოს მოქალაქეს და აკისრია ისეთივე მოვალეობები, როგორც – საქართველოს მოქალაქეს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოში ყველა უცხოელი თანასწორია კანონის წინაშე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად.“

ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2017 წლის 19 აპრილს ანი მინასიანმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის და მთავრობის დადგენილების ის ნორმები, რომლებიც უცხოელს გამორიცხავს მაღალმთიან რეგიონში მუდმივად ცხოვრებისათვის დაწესებული შეღავათებით მოსარგებლე პირთაგან.

კანონის თანახმად, მოქმედებს შემდეგი სახის შეღავათები: მაღალმთიან რეგიონში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული ექთანი იღებს სახელმწიფო პენსიის ოდენობის ყოველთვიურ დანამატს, ხოლო ექიმის ყოველთვიურ შრომით ანაზღაურებას ემატება სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობის თანხა. ზამთრის პერიოდში სახელმწიფო მხოლოდ მაღალმთიან რეგიონში მაცხოვრებელ მოქალაქეს უნაზღაურებს მოხმარებული ელექტროენერჯის 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 100 კილოვატსაათი ელექტროენერჯისა. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს მიეცემა თვეში 100 ლარი ერთი წლის განმავლობაში ბავშვის დაბადებიდან, ხოლო ყოველი შემდგომი ბავშვის დაბადებიდან თვეში 200 ლარი. მაღალმთიან რეგიონში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული მხოლოდ საქართველოს მოქალაქე მასწავლებელი და ამავე რეგიონში არსებული პროფესიული სასწავლებლის საქართველოს მოქალაქე პედაგოგი აიღებს მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 35%-იან დანამატს.

საიას პოზიციით, საბიუჯეტო რესურსების დაზოგვა და შეღავათების მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე გავრცელება არასაკმარისი არგუმენტია დიფერენცირების გასამართლებლად, ვინაიდან უცხოელებიც, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, იხდიან გადასახადებს და მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში. საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ მოქალაქეზე საბიუჯეტო რესურსების დაზოგვის ინტერესი არ მიიჩნია საკმარისად საიას ერთ-ერთ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ეხებოდა უცხოელებისათვის ზოგადი განათლების მისაღებად დაწესებულ სწავლის გადასახადს.

საია სარჩელში ყურადღებას ამახვილებს კანონის მიზანზე, რაც იკითხება კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში: „მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი ენიჭება დასახლებას მისი დემოგრაფიული მდგომარეობის და გამწვავებული მიგრაციული პროცესების გამო.“

კანონმდებელმა დაინახა, რომ მაღალმთიანი რეგიონები ადამიანებისგან იცლებოდა, იმავდროულად, მთაში ძალიან დაბალია ეკონომიკური აქტიურობა, რაც მძიმედ მოქმედებს იქ მაცხოვრებელი ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ყოველი დამატებითი ადამიანის ჩასვლა მაღალმთიან რეგიონში აჩერებს მიგრაციულ პროცესს, ხოლო ასეთი ადამიანის დასაქმება ზრდის ეკონომიკურ აქტიურობას. ამგვარად, უცხოელების, ისევე როგორც მოქალაქეების წახალისება – დასახლდნენ მოსახლეობისგან დაცლილ მაღალმთიან რეგიონებში, არის კანონით გაცხადებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა და არა – საფრთხე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

გასაჩივრებული ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-14 მუხლს.

1.4. სქესი

ადამიანის დისკრიმინაცია მისი სქესისა და გენდერის მიხედვით დაუშვებელია როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ისე საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს სქესს, როგორც დისკრიმინაციის საფუძველს. შეიძლება ითქვას, რომ სქესი დისკრიმინაციის კლასიკური ნიშანია. გაეროს 1979 წლის კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ შეეხება კონკრეტულად დისკრიმინაციას სქესის ნიშნით. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი ითვალისწინებს სქესს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს. სქესის ნიშნით დისკრიმინაციას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტილაში.

თ.თ. და ტ.კ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2017 წლის 17 აპრილიდან მოსარჩელები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, რომლის სამართლებრივი საფუძველი გახდა იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 3 აპრილის №228 ბრძანება და, შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები №127152 და №127147, სადაც გათავისუფლების მიზეზად მითითებული იყო სააგენტოში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები. მუშაობის პროცესში არაერთხელ ჰქონია ადგილი მოსარჩელეთა შევიწროებასა და სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულებაში ხელის შეშლას. საქმეში წარდგენილია მხარეებს შორის პირადი მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელშიც იკვეთება სექსუალური შევიწროება. სააგენტოს თავმჯდომარე მიმართავდა მოსარჩელებს ისეთი ზედმეტსახელებით, რომლებიც მათთვის შეურაცხმყოფელი იყო. საჯარო რეესტრის თავმჯდომარე მესამე პირებთან აცხადებდა, რომ მოსარჩელე ქალები იყვნენ მისი „ციყვები“, მათთან სექსუალური კავშირი ჰქონდა, მისი მიყვანილები იყვნენ და როცა უნდოდა, მაშინ გააგდებდა. საქმეში ასევე არსებობს მონმეთა ჩვენებები.

მოსარჩელები სარჩელით ითხოვენ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. ამ ეტაპზე სარჩელი წარმოებაში აქვს მიღებული ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

„საფარი“ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის წინააღმდეგ

2017 წლის 4 აგვისტოს საფარმა მიმართა სახალხო დამცველს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის წინააღმდეგ. „იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელმა“ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა განცხადება მეშვიდე კლასში გადამსვლელი ბიჭებისთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია: „სტიპენდია VIII კლასში გადამსვლელი ბიჭებისთვის! გეძლევათ შანსი სტიპენდიის მოსაპოვებლად და ჩვენს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად!“ აღნიშნული განცხადებით ხდება დისკრიმინაცია სქესის ნიშნით, რადგან სკოლის მოსწავლე გოგონები არიან არახელსაყრელ მდგომარეობაში, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებთან, ანუ მეშვიდეკლასელ ბიჭებთან შედარებით. მათ არ ეძლევათ საშუალება, მიიღონ სტიპენდია.

განცხადება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპს და საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა პირდაპირი დისკრიმინაცია სქესის ნიშნით, რაც გულისხმობს ისეთ მოპყრობას ან პირობების შექმნას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას არახელ-

საყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. აღნიშნულ მოპყრობას არ აქვს საზოგადოებრივი წესრიგის ან ზნეობის დაცვის მიზანი. ამ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება.

ეს სკოლა არღვევს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მესამე ნაწილს, როდესაც ზოგადი პროფილის სკოლაში შესარჩევი კონკურსის ჩატარებისას, გოგონებს სტიპენდიის მიმღებთა სიიდან გამორიცხავს და უპირატესობას ბიჭებს ანიჭებს. აღსანიშნავია ონტარიოს ადამიანის უფლებათა კომისიის პოლიტიკის დოკუმენტი სტიპენდიებისა და ჯილდოების შესახებ. დოკუმენტი ეყრდნობა ონტარიოს ადამიანის უფლებათა კოდექსს და არეგულირებს მოცემულ შემთხვევაში პრობლემურ საკითხს. დოკუმენტის თანახმად, ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა რასა, წარმოშობა, დაბადების ადგილი, კანის ფერი, ეთნიკური წარმომავლობა, მოქალაქეობა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, შეზღუდული ქმედუნარიანობა და ა.შ. არ უნდა იყოს საფუძველი და გადაწყვეტი იმისა, თუ ვინ მიიღებს სტიპენდიას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. კოდექსი უფლებას იძლევა, არსებობდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც ქმნის უპირატესობას მხოლოდ კოდექსში ჩამოთვლილი მახასიათებლების მქონე პირებისთვის, თუმცა, მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში: ა) მძიმე ეკონომიკური სიძნელის (ტვირთის) მოსახსნელად; ბ) ეხმარება არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პირებს ან პირთა ჯგუფს, რომ მიაღწიონ თანაბარ შესაძლებლობებს; გ) დაეხმაროს მათ კოდექსით დაცული უფლებების ხელყოფის აღმოფხვრაში.

„საფარი“ სახალხო დამცველისგან ითხოვს: სკოლის მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას; სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების გამოცემას, რომლითაც იაკობ გოგებაშვილის ქართულ სასწავლებელს სტიპენდიის გაცემისას გენდერულად არადისკრიმინაციული დებულების შემუშავება დაევალება.

ამჟამად ამ საქმეზე სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოება მიმდინარეობს.

„საფარი“ მაგთიკომის წინააღმდეგ

2017 წლის 9 აგვისტოს „საფარმა“ მაგთიკომის წინააღმდეგ საჩივრით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. საჩივარში სადავოდ არის ქცეული მაგთიკომის რეკლამა, სადაც მამაკაცი, ქალი და ბავშვი მანქანით მგზავრობენ. კაცი საჭესთან ზის. გამოსახულებას თან ერთვის ხმა: მამაკაცი გამოთქვამს კმაყოფილებას მაგთის ახალ ვაიფაი მოდემით ულიმიტო ინტერნეტით სარგებლობის თაობაზე და აღნიშნავს, თუ რამხელა კომფორტს განიცდის მას შემდეგ, რაც დაიწყო მისი გამოყენება, რადგან ცოლი ნაკლებს ლაპარაკობს და ბავშვებიც აღარ ხმაურობენ.

„საფარის“ აზრით, მოცემული რეკლამა ერთმნიშვნელოვნად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანასწორობის პრინციპს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. რეკლამაში ისმის ფრაზა, რომ ცოლი ახლა უკვე ნაკლებს ლაპარაკობს. კლიპი ამყარებს სტერეოტიპს იმის თაობაზე, რომ მამაკაცი მნიშვნელოვანი საქმეებით არის დაკავებული, ქალი მას ბევრი ლაპარაკით ხელს უშლის. სტერეოტიპული შეხედულებების გავრცელებით, ქალებს ელახებათ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და, ასევე, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, აგრეთვე, საქართველოს კანონი სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლების შესახებ იცავს გამომხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ ღირებულებას. გარდა ამისა, გამომხატვის თავისუფლებას იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიც.

„სიტყვისა და გამომხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მერვე მუხლი ითვალისწინებს შინაარსობრივი რეგულირების შესაძლებლობას. სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლება შესაძლებელია შეიზღუდოს, როდესაც საქმე ეხება რეკლამას. რეკლამის შესახებ კანონი დაუშვებლად მიიჩნევს არაეთიკურ რეკლამას, კერძოდ, რეკლამას, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს.

2014 წლის 9 დეკემბრის ზოგად წინადადებაში საქართველოს სახალხო დამცველი ციტირებს იუნესკოს „პრიორიტეტული გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელოდან“ და მიუთითებს, რომ რეკლამა

აუცილებლად უნდა იყოს გენდერულად ნეიტრალური და პოპულარიზაციას არ უნდა უწევდეს გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, ასევე, ხაზს უსვამს ფაქტს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს დღეისათვის რეკლამა და როგორ ზემოქმედებს იგი ნებისმიერი ასაკის ადამიანის აზროვნების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაზე.

„საფარი“ სახალხო დამცველისაგან ითხოვს მათიკომისთვის ზოგადი წინადადების შემუშავებას, რომლითაც რეკლამა შეფასდება სექსისტურად და დისკრიმინაციის ხელშემწყობად, ხოლო ზოგადი რეკომენდაციით, მათიკომს დაევალება რეკლამის სატელევიზიო და ინტერნეტ-სივრცეებიდან აღება, ასევე, მომავალში მსგავსი შინაარსის შემცველი რეკლამის გავრცელებისა და სარეკლამო რგოლების მომზადებისგან თავის შეკავება.

ამ საქმეზე სახალხო დამცველმა მიმართა დისკრიმინაციის სავარაუდო განმარტებელს ინფორმაციის დაზუსტების მიზნით და შესაბამისი პასუხი მიიღო 9 დღის ვადაში. ამ საქმეზე სახალხო დამცველის აპარატში კვლავ მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ნ.ს. კლინიკა „უნივერსის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ)

2016 წლის 16 ნოემბერს კლინიკა „უნივერსის“ წინააღმდეგ ნ.ს-მ სახალხო დამცველს მიმართა. საჩივარში აღნიშნულია: კლინიკა „უნივერსში“ ექოსკოპიის კაბინეტთან გამოკრულია განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ – „მამაკაცების ექოსკოპიური კვლევა ტარდება ურიგოდ“. ნ.ს. 2015 წლის აპრილიდან 2015 წლის დეკემბრამდე დადიოდა კლინიკა „უნივერსში“ ექოსკოპიის გასაკეთებლად. ის იყო ორსულად და რეგულარულ ექოსკოპიურ გამოკვლევას საჭიროებდა. ექოსკოპიის კაბინეტთან მუდმივად იყო ცოცხალი რიგი. იმ დროს, როცა ორსული ქალები იდგნენ რიგში, ექიმი გამოდიოდა კაბინეტიდან და ურიგოდ შეჰყავდა კაცები. იმის გათვალისწინებით, რომ კლინიკაში მუდმივად რიგებია, კაცებისთვის სქესის ნიშნით უპირატესობის მინიჭება პაციენტ ქალებს აღიზიანებდა და ეს ფაქტი მათ უკმაყოფილებას იწვევდა. იმის გამო, რომ აბრა ექიმის კაბინეტის კედელზეა გამოკრული, ყველას ჰგონია, რომ ამ პრაქტიკას ლეგიტიმური მიზეზი აქვს და კითხვა, თუ რატომ შედიან კაცები ურიგოდ, არავის დაუსვამს, მათ შორის არც ნ.ს-ს.

აღნიშნული განცხადება და პრაქტიკა არის სქესის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია. იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორობის უფლებას და საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნული კანონის 1-ლი მუხლი ჩამოთვლის ნიშნებს, რომლის საფუძველზეც, შესაძლოა, მოხდეს დისკრიმინაცია, თუმცა, ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. როგორც კონსტიტუციის მე-14 მუხლი, ასევე ანტიდისკრიმინაციული კანონის 1-ლი მუხლი ითვალისწინებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას. ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კი, განმარტავს პირდაპირი დისკრიმინაციის არსს. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

არახელსაყრელი მოპყრობა სახეზეა, როდესაც კლინიკა კაცებს უქმნის პრივილეგიურებულ პირობებს. პრივილეგია გამოიხატება კაცების ურიგოდ მიღებაში, რაც, თავის მხრივ, რთულ სიტუაციაში აყენებს რიგში მდგომ ქალებს, ვინაიდან მათ ხანგრძლივად უწევთ აღნიშნულ რიგში დგომა. ამასთან, გასათვალისწინებელია ორსული ქალების სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. არახელსაყრელ მოპყრობას წარმოადგენს არა მარტო გარკვეული სერვისის მიწოდებაზე უარის თქმა, არამედ ამ სერვისის მიწოდებისას განსხვავებების დანესებაც. ამ შემთხვევაში, ქალებისთვის შეთავაზებული სერვისი არსებითად განსხვავდება კაცებისთვის განკუთვნილი სერვისისგან. იგი კაცებს სთავაზობს მეტ კომფორტს და ხაზს უსვამს მათ პრივილეგიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არახელსაყრელი მოპყრობის ფაქტს ადგილი აქვს სამედიცინო დანესებულებაში, ამასთან, კაცების ურიგოდ გატარებას არანაირი სამედიცინო საფუძველი და მიზანი არ გააჩნია. ამგვარი მოპყრობა დამამცირებელია ქალებისთვის და წარმოაჩენს მათ მეორეხარისხოვან ადამიანებად.

დისკრიმინაცია განხორციელდა სქესის ნიშნით. კომპარატორი მოცემულ შემთხვევაში არის კაცები. კაცებთან შედარებით, რომლებიც მიდიან ურიგოდ, ქალებს უწევთ რიგში დგომა, ხოლო ურიგოდ წასული ადამიანები ზრდიან რიგში ლოდინის დროს.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი ხელმისაწვდომობის უფლებას. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი ითვალისწინებს თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქი-

კური ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლეს სტანდარტებზე. ამ პაქტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. ევროპის სოციალური ქარტიის მე-11 მუხლი კი, ჯანმრთელობის დაცვის უფლების ეფექტური განხორციელების მექანიზმებზე მიუთითებს. მუხლი E მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას. ამ ქარტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განხორციელდება დისკრიმინაციის გარეშე რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ჯანმრთელობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, წარმომავლობის ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზნებს და მიუთითებს: კანონის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის სფეროში, აგრეთვე, მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. ამ კანონის მე-6 მუხლი მიუთითებს: „დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი დამოკიდებულების გამო“. კანონის მე-2 მუხლის თანახმად კი, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებებსა და კეთილდღეობას, მედიცინისა და სამედიცინო მეცნიერების ინტერესებთან შედარებით, უპირატესი მნიშვნელობა აქვს.

პაციენტის დისკრიმინაციას კრძალავს „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონი: „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო, აკრძალულია.“ აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი განმარტავს ტერმინს „პაციენტი“ – ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პირველი მუხლი ამ კონვენციის მიზნებისათვის ითვალისწინებს დისკრიმინაციის ცნებას. ცნება „დისკრიმინაცია ქალთა მიმართ“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არააად აგდებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას.

კლინიკის მიერ დანერგილი პრაქტიკა არაგონივრულად ერევა ქალების მიერ ჯანდაცვის სისტემით სარგებლობის უფლებაში. იგი ხელს უშლის ქალებს, განახორციელონ საკუთარი უფლებები დისკრიმინაციული ქმედებების გარეშე. სამედიცინო დაწესებულებაში ექოსკოპიაზე კაცების ურიგოდ მიღებას ლეგიტიმური მიზანი არ გააჩნია. სამედიცინო თვალსაზრისით, არ არსებობს რაიმე სახის არგუმენტი, რომელიც ამართლებს ექოსკოპიის პროცედურაზე კაცების ურიგოდ გატარების პრაქტიკას და არ არსებობს აღნიშნული მეთოდის გამოყენების აუცილებლობაც. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მსგავსი პრეცედენტი, ჩვენი მონაცემებით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა.

„საფარი“ სახალხო დამცველისგან ითხოვდა კლინიკა „უნივერსში“ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრას, ამასთან, ჯანდაცვის სამინისტროსთვის ზოგადი წინადადების გაგზავნას, რომლითაც სამედიცინო დაწესებულებაში სქესის ნიშნით რიგის არადისკრიმინაციული ორგანიზება აღიკვეთებოდა ყველა სამედიცინო დაწესებულებაში.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციის გამოცემის გარეშე მოითხოვა კლინიკა „უნივერსისგან“ განცხადების ჩამოხსნა, რაზეც კლინიკა „უნივერსმა“ თანხმობა განაცხადა. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა გადაამოწმა აბრის ჩამოხსნის საკითხი და დარწმუნდა, რომ აღნიშნული პრაქტიკა აღიკვეთა. საბოლოოდ, საქმის წარმოება შეწყდა (სიტუაციური ტესტები).

„საფარი“ მაია ასათიანის წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში „საფარმა“ ჟურნალისტ მაია ასათიანის წინააღმდეგ საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს. 2017 წლის 15 ივნისს „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა მაია ასათიანის საავტორო გადაცემა „პროფილი“. გადაცემაში მოწვეული იყო მარიამი – 5 შვილის დედა, ყოფილი ჟურნალისტი, რომელიც თავს სექს-სამუშაოთი ირჩენს. თანასწორობის პრინციპის დარღვევა გამოიხატა თავად გადაცემის ფორმატით. გადაცემის პირველ ნაწილში სტუმარი ყვება თავის ისტორიას, შემდეგ ნაწილში კი, მოწვეული სტუმრები, რელიგიურ და მორალურ ჭრილში, განიხილავენ გადაცემის გმირის ისტორიას. როგორც გადაცემის სტუმრების, ასევე წამყვანის მხრიდან ისმის შემფასებლური კითხვები და ფრა-

ზები. წამყვანი სვამს კითხვას – არის თუ არა მეძავობა, როდესაც ადამიანს თავის გადარჩენის მიზნით უწევს, დაკავდეს სექსმუშაკის საქმიანობით და აღნიშნავს, რომ იცნობს მრავალ ადამიანს, რომლებიც მეთერთმეტე ძვირადღირებული ფეხსაცმლის სანაცვლოდ აკეთებენ ზემოაღნიშნულს. იქვე დასძენს, რომ გადაცემის გმირს, მარიამს არაფერი აქვს მათთან საერთო და კითხულობს: რომელი უფრო მეძავია? წამყვანი განასხვავებს ზოგადად პროსტიტუციას და აღნიშნულ შემთხვევას. იგი ამართლებს და ცდილობს, მხარი დაუჭიროს კონკრეტულ ქალს, თუმცა, ფრაზით, ეს ის არ არის, ეს არ არის პროსტიტუციად – იგი მიუთითებს პროსტიტუციის მორალურ მხარეზე. წამყვანი ამართლებს პროსტიტუციას, თუმცა, მხოლოდ – უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში. გადაცემაში წამყვანი უსვამს კითხვას სტუმარს, თამუნა ვაშალომიძეს, იმის თაობაზე, აუღია თუ არა ოდესმე სექსში ფული, ეჭვი შეაქვს სტუმრის მიერ ნაშოვნ ფულის „პატიოსნებაში“ საკუთარი მაგალითის მოტანით და საკმაოდ დაეჭვებული ეკითხება, ყოფილა თუ არა მამაკაცთან მერკანტილური მიზნებით.

წამყვანმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, კერძოდ, მისი მეათე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამომხატვის თავისუფლების საკითხს. როგორც სიტყვისა და გამომხატვის შესახებ საქართველოს კანონი, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადგენს სიტყვისა და გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვას, როდესაც ეს სხვათა უფლებების დასაცავად არის საჭირო. მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია სექსმუშაკთა უფლებები, კერძოდ კი, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ასევე, ევროპული კონვენციის მერვე მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ამ განცხადების ფარგლებში, „საფარი“ სახალხო დამცველისგან ითხოვს საკანონმდებლო წინადადების შემუშავებას და პარლამენტისთვის მიმართვას, რომლითაც მოხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³-ე მუხლის (პროსტიტუცია) გაუქმება. „საფარი“ სახალხო დამცველისგან ითხოვს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის – მაია ასათიანისთვის ზოგადი წინადადებით მიმართვას, რათა მომავალში შეიმუშაოს გადაცემა „პროფილის“ იმგვარი ფორმატი, რომლითაც აღარ მოხდება სექსმუშაკების სტიგმატიზაცია. ამ საქმეზე სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება.

„საფარმა“ განცხადებით მიმართა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას და მოითხოვა მაია ასათიანის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპის დარღვევის დადგენა. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს დისკრიმინაციის თავიდან აცილებას. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ „საფარის“ მოთხოვნა დააკმაყოფილა.

თ.ს. შ.რ-ს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია „საფარის“ მიერ)

თ.ს. მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში, რომელიც სატელევიზიო ეთერში გასასვლელად ქმნიდან იუმორისტულ გადაცემას. თ.ს. ასრულებდა მსახიობის მოვალეობას. შ.რ. იყო თ.ს-ის უშუალო ხელმძღვანელი. თ.ს-ის მიმართ შ.რ-ს მხრიდან წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა სექსუალური შევიწროების როგორც ფიზიკურ, ასევე ვერბალური ფორმას. შ.რ. გამუდმებით აკეთებდა დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ კომენტარებს მოსარჩელის გარეგნობაზე, ჩაცმულობაზე, ასაკზე, სქესსა და პირად ცხოვრებაზე. აღნიშნული დასაქმებულს უქმნიდა მტრულ სამუშაო გარემოს. საბოლოოდ, შ.რ-მ თ.ს-ს, კარიერული წინსვლისა და მფარველობის სანაცვლოდ, სქესობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა. აღნიშნული შეთავაზების შემდეგ, თ.ს-მ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და სამსახურის დატოვება გადაწყვიტა. სამსახურიდან წასვლის საკითხის განხილვისას, შ.რ. მოსარჩელეს დაჰპირდა, რომ მისი მხრიდან სექსუალურ შევიწროებას ადგილი აღარ ექნებოდა. შევიწროებისგან თავის დაცვის მიზნით, თ.ს-მ აღნიშნული საუბარი მობილური ტელეფონით ჩაინერა. შ.რ-ს დაპირების მიუხედავად, თ.ს-ს მიმართ სამსახურში კვლავ იყო მტრული გარემო, რაც თ.ს-მ უშუალო უფროსთან გააპროტესტა. მოპასუხემ თ.ს-ს განუცხადა, რომ მის შეთავაზებაზე უარის თქმით, თ.ს-მ დაკარგა შ.რ-ს დადებითი განწყობა და ახლა იგი თვითონ უნდა გამკლავებოდა სამსახურში წარმოქმნილ პრობლემებს. სექსუალური შევიწროების ფაქტის გამეორების შემდეგ, თ.ს-მ სამსახური დატოვა.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროება არის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე. მოსარჩელე განმარტავს, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება ფიზიკური პირის ქმედებებზეც, ყველა სფეროში. მოსარჩელე მიუთითებს გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის დანაწესზე, რომელიც აქცენტს სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებაზე აკეთებს და მას დაუმეგობლად მიიჩნევს. მოსარჩელე ეყრდნობა შრომის კოდექსის ნორმებს, რომელიც

შრომით სფეროში დისკრიმინაციის ორ სახეს გამოყოფს: თანასწორუფლებიანობის დარღვევასა და შე-
ვინროებას. მოსარჩელე მიუთითებს ქმედების არასასურველობასა და მის მძიმე ხასიათზე.

მოსარჩელე სასამართლოსაგან ითხოვს დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრას და, მორალური
ზიანის სახით, მოსარჩელისთვის 5000 ლარის გადახდას. მორალური ზიანის დასასაბუთებლად, სა-
სამართლოს წარედგინა მოსარჩელის ფსიქოლოგთან ვიზიტის ამსახველი მტკიცებულებები.

ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

„საფარი“ ტელეკომპანია „ტაბულას“ წინააღმდეგ

2014 წლის ოქტომბერში „საფარმა“ საჩივრით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. საჩივარი
ეხება ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერში და youtube-გვერდზე განთავსებულ გადაცემა „რესტორნის“
პრომოს. აღნიშნულ რეკლამაში ნახევარი წუთის განმავლობაში ჩანს ქალის სრულიად შიშველ სხეულ-
ზე განთავსებული საკვები პროდუქტები.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი
ნაწილი მიუთითებს: „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც
პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველ
მუხლში მითითებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ
პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით“. ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად ჩაითე-
ვლება ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვია თუ შეზღუდვა, რაც დაკავშირებულია სქესთან და რომელ-
იც ამცირებს ან აკნინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ,
კულტურულ თუ სხვა სფეროში. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება
ქალთა მიმართ სტერეოტიპული როლების მიკუთვნების შესახებ. 1995 წელს ქალთა უფლებების დაცვის
შესახებ კონფერენციაზე მიღებულ იქნა ე.წ. პეკინის პლატფორმა, რომელიც მიუთითებს, რომ მედიამ
უნდა უზრუნველყოს არასტერეოტიპული ქალის როლის წარმოჩენა ტელევიზიაში. არ უნდა გაუშვას
ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ქალი არის მხოლოდ სექსუალური ობიექტი. მედიამ მხარი უნდა
დაუჭიროს სექსისტური რეკლამების აკრძალვის შესახებ ღონისძიებებს. 2002 წელს ევროპის საპარლამენტო
ასამბლეამ მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „ქალის როლი მედიაში“, სადაც მითითებულია,
რომ, უმრავლეს შემთხვევაში, ქალი მედიაში წარმოდგენილია, როგორც სექსის ობიექტი ან ოჯახთან
დაკავშირებული არსება, რაც გენდერული დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების შექმნის წყაროა.

„საფარი“ სახალხო დამცველისგან ითხოვს აღნიშნული პრომოს სექსისტური შინაარსის დადგენას.

2016 წლის 10 ნოემბერს სახალხო დამცველმა ამ საქმეზე გამოსცა ზოგადი წინადადება, საიდანაც
ირკვევა, რომ სახალხო დამცველმა ტელეკომპანია „ტაბულადან“ თავდაპირველად გამოითხოვა ინ-
ფორმაცია, გეგმავდა თუ არა ტელეკომპანია რეკლამის ვებგვერდიდან აღებას. ზოგადი წინადადება
სახალხო დამცველმა „ტაბულას“ მხოლოდ მას შემდეგ გაუგზავნა, რაც ამ უკანასკნელმა პრომოს ვებგ-
ვერდიდან აღებაზე უარი განაცხადა.

ზოგად წინადადებაში სახალხო დამცველმა განაცხადა: სექსიზმი მოიცავს იმ სოციალურ სტერეოტი-
პებს, რწმენებსა და წარმოდგენებს, რომლებიც ერთი სქესის დომინირებას აწესებს და ქმნის გენდერუ-
ლი უთანასწორობის საფუძველს. სექსიზმი – ეს არის პოზიცია ან მოქმედება, რომელიც ადამიანებს
სქესის მიხედვით ამცირებს, უარყოფს, სათანადოდ არ აფასებს და მათ სტერეოტიპებად დაყოფას ახ-
დენს სქესის გამო. სექსისტური სტერეოტიპები ამძაფრებს ქალისა და კაცის შესახებ საზოგადოებაში
არსებულ მცდარ წარმოდგენებს, ამართლებს ყოველდღიურ სექსიზმს, დისკრიმინაციულ პრაქტიკას
და, შეუძლია, გაამარტივოს ან გაამართლოს გენდერული ნიშნით ძალადობა. ამ მხრივ, სექსისტური
სტერეოტიპები წარმოადგენს დისკრიმინაციის საშუალებას. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ქა-
ლის შეფასება მისი გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლებით, მისი ობიექტივიზაცია და „ნივთად
წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა
უფლებრივი მდგომარეობისთვის საქართველოში.

სექსისტური რეკლამით, ქალს მინიჭებული აქვს დეკორატიული როლი და, ამასთან, ის არის სექსუალ-
იზებულის შიშველი სხეულის წარმოჩენით. სექსისტური გამონათქვამების ან/და ფოტოს/ილუსტრაცი-
ის შემცველი რეკლამა ხელს უწყობს ერთ-ერთი სქესის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის გაღრ-
მავებას, პოპულარიზაციას უწევს საუკუნეების განმავლობაში ქალთა საზიანოდ ჩამოყალიბებულ
გენდერულ სტერეოტიპებს, ხელს უწყობს მათ გავრცელებას. შესაბამისად, ამ მხრივ, რეკლამა შეი-
ძლება წარმოადგენდეს დისკრიმინაციის ხელშემწყობ საშუალებას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, აკრძალულია
ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს იძულებას, ნაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის
მიმართ დისკრიმინაციის განსახორციელებლად. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მედიასაშუალებებით გავრცელებული რეკლამა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების ფორმირებას ახდენს, ამასთან, განსაკუთრებით საფრთხის შემცველია და დამანგრეველი ეფექტი შეიძლება იქონიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების აზროვნების ჩამოყალიბებაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში ადამიანთა უმრავლესობა, მათ შორის ბავშვები, მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი მედიასა და ინტერნეტზე, ბუნებრივია, ამა თუ იმ რეკლამის, ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევა შეუქცევადი პროცესია. მაშინ, როდესაც ტელევიზია და ინტერნეტსივრცე ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რეკლამების აქტიური ტირაჟირება და სისტემატური ხასიათი გადმოცემულ ინფორმაციას გაუაზრებლად კი ინახავს მესხიერებაში.

სახალხო დამცველმა „ტაბულას“ ზოგადი წინადადებით სთხოვა პრომო ვიდეოს youtube-დან აღება და მომავალში საკუთარი საქმიანობის თანასწორობის პრინციპით წარმართვა.

„ტაბულამ“ სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაიზიარა.

PHR თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ

2016 წლის 25 ივლისს PHR-მა მიმართა სახალხო დამცველს თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ. სამუშაო ადგილზე ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროვებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკას და გადანყვეტილებებს გასცემს დაშტრიხული სახით იმგვარად, რომ შეუძლებელია საქმეში მონაწილე მხარეების, მონმეების, ექსპერტების თუ მესამე პირების სქესის დადგენა. 2016 წლის 30 ივნისს ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა 9 კონკრეტული იდენტიფიცირებული საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებისა და სხვა პირების სქესის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულის საპასუხოდ, 2016 წლის 5 ივნისს განმცხადებელს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მსგავსი სახის ინფორმაციის დამუშავება და სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა არ ხორციელდება.

PHR-ის მოსაზრებით, აღნიშნული პრაქტიკა შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს. კერძოდ, მსგავსი მიდგომა შედეგობრივად აუარესებს ქალების უფლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან ქალთა უფლებებზე მომუშავე მკვლევარებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, შეისწავლონ და დააკვირდნენ მართლმსაჯულების გენდერულად მგრძობიარე საკითხებს.

2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს გენდერული ნიშნით შევიწროვებასთან, სექსუალურ შევიწროვებასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სხვა საქმეების შესახებ სტატისტიკის წარმოების აუცილებლობის თაობაზე. ზოგად წინადადებაში აღინიშნა, რომ სქესით თუ სხვა ნიშნით დივერსიფიცირებულ ინფორმაციაზე ხელმოუწვდომლობა დამოუკიდებელ მკვლევარებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უზღუდავს შესაძლებლობას, შეისწავლონ დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა. მათ კი შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ამდენად, აუცილებელია, რომ ისინი ქვეყანაში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესწავლაზე უფლებამოსილი ორგანოებისგან ფლობდნენ რეალურ ინფორმაციას თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

დისკრიმინაციასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა არსებობს. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არსებობა, თავისთავად, არის ყველაზე ეფექტური გზა, რომ მოხდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს ქვეყნის რეალობაზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება, აუცილებელია, განსაზღვროს დისკრიმინაციის მასშტაბი. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელი იქნება დისკრიმინაციის საქმეების შესწავლაზე უფლებამოსილ ორგანოებში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სტატისტიკის არარსებობის შემთხვევაში. მართალია, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე ინფორმაციის შეგროვება და სტატისტიკის წარმოება მარგინალიზებული ინდივიდების იდენტიფიცირების რისკს მოიცავს, თუმცა, სასამართლოს შეუძლია, სტატისტიკა აწარმოოს და საჯარო ინფორმაცია გასცეს იმგვარად, რომ არ გასაჯაროვდეს პერსონალური მონაცემები, თუმცა, იდენტიფიცირებადი დარჩეს საქმეში მონაწილე ყველა სუბიექტის სქესის, რელიგიის, ეთნიკური თუ ეროვნული კუთვნილების და ყველა იმ მახასიათებლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად.

WISG საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ²

2016 წლის აპრილში WISG-ს სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულმა ქალმა, რომელიც აცხადებდა, რომ გაუპატიურების შედეგად იგი დაორსულდა და ორსულობის ხელოვნური შეწყვეტისათვის საჭირო თანხა ნათესავების დახმარებით შეაგროვა. WISG-მა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის დაფინანსების შესახებ. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ასეთი სამედიცინო მომსახურება გათვალისწინებული არ არის.

WISG-მა სთხოვა სახალხო დამცველს, ზოგადი წინადადებით მიემართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისათვის გაუპატიურების მსხვერპლი ქალებისათვის აბორტის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2017 წლის 2 ოქტომბერს ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, არ აქვს ვალდებულება, დააფინანსოს ან სხვაგვარად ხელი შეუწყოს აბორტს, თუმცა, როდესაც საქმე ეხება სქესობრივი ძალადობის შედეგად დამდგარ ორსულობას, სახელმწიფომ უნდა განიხილოს მსხვერპლის დაფინანსების საკითხი. სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს: 1) გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობის შემთხვევაში, განიხილოს სახელმწიფოს ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მსხვერპლისთვის დაფინანსების გამოყოფის საკითხი; 2) გაუპატიურების შედეგად დაორსულებული ქალისათვის დაფინანსების მექანიზმის შემოღების შემთხვევაში, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს მსხვერპლის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; 3) გაუპატიურების შედეგად დაორსულებული ქალის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება და დღის წესრიგში დაყენებისათვის საკმარისი უნდა იყოს გაუპატიურების საქმეზე გამოძიების დანყება.

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებით. ამასთან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებულია უფლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლეს სტანდარტზე. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტის (შემდგომში პაქტი) მე-12 მუხლით, სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ ჯანმრთელობის უფლებას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გაეროს კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი) განმარტავს, როგორც ინკლუზიურ უფლებას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ დროულ და შესაბამის სამედიცინო მზრუნველობას, არამედ, ასევე, ხაზს უსვამს ჯანმრთელობისთვის გადამწყვეტ ფაქტორებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით კი, სახელმწიფოს აქვს მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფის ვალდებულება, რაც გაგებულ უნდა იყოს იმგვარად, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მიიღოს ზომები სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისების გასაუმჯობესებლად.

გენდერული თანასწორობის საკითხი პირდაპირ კავშირშია ქალის, მათ შორის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებთან. ამდენად, ქალთა უფლებები მოიცავს უფლებას, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის გარეშე აკონტროლონ თავიანთ სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით. როგორც კომიტეტმა აღნიშნა, ქალთა მიმართ სისტიემური დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოცდილების გამო, აუცილებელია, რომ გენდერული თანასწორობა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჭრილში ყოველმხრივ და ფართოდ იყოს გაგებული. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა თავის თავში მოიაზრებს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის საკითხსაც. აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობა კი, ქალის მიერ მისი რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტროლისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ქალის ჯანმრთელობიდან გამომდინარე მოთხოვნილებები განსხვავდება მამაკაცის საჭიროებებისგან, როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური ფაქტორების გამო. გენდერი უკავშირდება ქალისა და მამაკაცის ქცევებისა და განსაზღვრული როლების შესახებ კულტურულ შეხედულებებსა და აღქმას, რომლებიც ემყარება მხოლოდ სქესს. სწორედ მსგავსი აღქმები აყენებს ქალს არახელსაყრელ მდგომარეობაში მთელი რიგი უფლებებით სარგებლობის დროს. აღნიშნული მათ არ აძლევს საშუალებას,

² საქმე მოზადებულია National Endowment for Democracy (NED) <https://www.ned.org> და Astraea Lesbian Foundation For Justice (ASTRAEA) <https://www.ned.org> მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

მოიქცნენ ისე, როგორც სურთ და მიიღონ დამოუკიდებელი გადანყვეტილებები მათი მდგომარეობის შესაბამისად.

ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კონტექსტში, ვინაიდან ქალის მიმართ დისკრიმინაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი სქესობრივი და რეპროდუქციული როლებისა და ფუნქციების შესახებ იმ სტერეოტიპებსა და წარმოდგენებთან, რომლებიც პატრიარქალურ შეხედულებებს ეყრდნობა. ქალის მიმართ სქესობრივი ძალადობა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინებაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველი 3 ქალიდან 1 (35%) ხდება ფიზიკური ან/და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი პარტნიორის ან სხვა პირის მხრიდან. სქესობრივი ძალადობა მოიცავს ასევე გაუპატიურებას, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დასჯადი ქმედებაა. აღსანიშნავია, რომ გაუპატიურება არ არის ქმედება, რომელიც ძალადობით სრულდება. ეს დანაშაული ღრმა კვალს ტოვებს მსხვერპლის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ემოციურ სტრესთან ერთად, ძალადობის ფაქტი გავლენას ახდენს მსხვერპლის მიმართ განსაზღვრული აზრის ჩამოყალიბებასა და აღქმაზე იმ საზოგადოებაში, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს. გაუპატიურების მსხვერპლის მიმართ სტიგმა ბიძგს აძლევს მომავალში დისკრიმინაციულ მოპყრობასა და სოციალურ გარიყულობას. განსაკუთრებით მძიმდება ვითარება, როდესაც ქალები გაუპატიურების შედეგად ორსულდებიან, ვინაიდან ისინი, გაუპატიურების მსხვერპლის სტატუსთან ერთად, დამდგარი ორსულობის გამო დამატებით სტიგმატიზაციას განიცდიან.

აბორტის სტიგმა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მსხვერპლის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, მაგალითად, როგორცაა რელიგიური თუ კულტურული ღირებულებები და ეკონომიკური სტატუსი. ისეთ საზოგადოებებში, სადაც გაუპატიურების გამო მსხვერპლის დადანიშნულება და მისი სტიგმატიზაცია განსაკუთრებით არის ფესვგადგმული, გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობა ქმნის წინაპირობას, რომ მსხვერპლი შესაძლოა მუდმივად იყოს მის ირგვლივ არსებული სოციალური წნეხის ქვეშ და განიცადოს ვიქტიმიზაცია. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, სოციუმიდან მომდინარე წნეხზე მეტად, გაუპატიურების მსხვერპლი იტანჯება დანაშაულის გრძნობით, ნაკლებად სცემს საკუთარ თავს პატივს და ეწევა თვითსტიგმატიზაციას. სქესობრივი ძალადობას შეიძლება განგრძობითი ხასიათის ეფექტი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ძალადობის მსხვერპლს სახელმწიფო, პირდაპირ თუ ირიბად, აიძულებს, რომ შეინარჩუნოს გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობა.

შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შეიმუშაოს სრულყოფილი, გენდერულად მგრძობიარე და არადისკრიმინაციული სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის პოლიტიკა – ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სერვისი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი, დისკრიმინაციის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც ქალი არის გაუპატიურების მსხვერპლი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 7 ოქტომბრის №01/74/6 ბრძანების №5 დანართის თანახმად, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენება არის სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობა. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო საშუალებას აძლევს ქალს, ხელი მოუწვდებოდეს გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის სერვისზე, რაც, ერთი შეხედვით, საერთაშორისო სამართლით აღიარებული სტანდარტის შესაბამისად იცავს მის უფლებას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. თუმცა, სახელმწიფოს ნეიტრალურმა პოზიციამ გაუპატიურების შედეგად დამდგარი ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტასთან მიმართებით შესაძლოა არაპირდაპირ მოახდინოს ქალზე ძალადობა მაშინ, როდესაც, ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, მატერიალური საჭიროების მქონე გაუპატიურების მსხვერპლს სახელმწიფო არ აღმოუჩენს საჭირო ფინანსურ დახმარებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაუპატიურების მსხვერპლი ქალისათვის 12 კვირამდე/12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობაზე ნებადართული აბორტი ფორმალურ დატვირთვას იძენს. კომიტეტის განმარტებით, პაქტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული დისკრიმინაციის აკრძალვა ნიშნავს არა მხოლოდ პირდაპირ დისკრიმინაციას, არამედ ასევე ირიბი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს ნეიტრალური პრაქტიკით იყოს გამოწვეული. კომიტეტმა არაერთხელ მიუთითა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს *de facto* თანასწორობა, რაც მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა არის, *prima facie*, გენდერულად ნეიტრალური. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოხსნას ყველა ბარიერი, მაგალითად, მშობლების, მეუღლის ან სასამართლოს თანხმობის მოთხოვნა, რაც სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის, მათ შორის, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სერვისზე ხელმისაწვდომობას აფერხებს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, არ აქვს ვალდებულება, დააფინანსოს ან სხვაგვარად ხელი შეუწყოს აბორტს, თუმცა, როდესაც საქმე ეხება სქესობრივი ძალადობის შედეგად დამდგარ ორსულობას, სახელმწიფომ უნდა განიხილოს მსხვერპლის დაფინანსების საკითხი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გაუპატიურების მსხვერპლი ქალის აბორტის დაფინანსების შესახებ მსჯელობისას, სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ორსულობის შეწყვეტის წინაპირობად განხილვა შეიძლება გონივრულობას იყოს მოკლებული, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე პირის დაზარალებულად ცნობა, სავარაუდოდ დამნაშავეს იდენტიფიცირება და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, ხშირ შემთხვევაში, იმდენად ხანგრძლივ პერიოდს უკავშირდება, რომ შესაძლოა გადააჭარბოს აბორტის გაკეთებისთვის დასაშვებ ვადას. აღნიშნულის შედეგად, სავარაუდოდ მსხვერპლი, ფინანსური რესურსების არარსებობის გამო, შეიძლება, იძულებული გახდეს გააგრძელოს არასასურველი ორსულობა, ან საკუთარი ხარჯებით გაიკეთოს აბორტი.

ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში, მსხვერპლმა შესაძლოა ვერ მოახერხოს საკუთარი ძალებით თანხის შეგროვება, რაც აიძულებს მას, ფინანსები მოიძიოს ოჯახის და ნათესავების მეშვეობით. აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ, ერთი მხრივ, მოხდეს მისი, როგორც გაუპატიურების მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამდგარი ორსულობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება და, მეორე მხრივ, მისი სტიგმატიზაცია ზემოაღნიშნულის გამო. აღსანიშნავია, რომ ქალის მიმართ თანასწორობის უფლების დარღვევა შეიძლება უკავშირდებოდეს, მათ შორის, ლეგალიზებული აბორტის პროცედურებს. მაშინაც კი, როდესაც მსგავსი სერვისი ხელმისაწვდომია, შესაძლებელია, არ არსებობდეს ისეთი სამართლებრივი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების სრულყოფილ რეალიზებას.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი კომპლექსურია და საჭიროებს არა მხოლოდ ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას, არამედ ადამიანის უფლებათა პერსპექტივით განხილვასა და, გაუპატიურებისა და აბორტის მიმართ პატრიარქალურ საზოგადოებაში არსებული სოციალური და კულტურული ასპექტების ფონზე, ქალის საჭიროებაზე მორგებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია, არსებობდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ქალთა არსებითი თანასწორობის გარანტი იქნება.

ამ მომენტისათვის უცნობია სამინისტროს რეაგირება სახალხო დამცველის რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ლაშა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარიკა თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმე შეეხება შრომის კოდექსისა და მასთან დაკავშირებული ნორმების³ საფუძველზე, ბიოლოგიური მამებისათვის ბავშვის მოვლის გამო შევებულების და მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნაწილის ანაზღაურების უფლების არარსებობის კონსტიტუციურობას. რელევანტური კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შევებულების უფლების მქონე დასაქმებულში მოიზრება მხოლოდ ქალი, შესაბამისად, დასახელებული შევებულების უფლებით ვერ სარგებლობს ბავშვის ბიოლოგიური მამა.

EMC დავობს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის (თანასწორობის უფლება), 30-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების (შრომის უფლება) და 36-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების (ოჯახის კეთილდღეობისა და მეუღლეთა თანასწორობის უფლება) დარღვევის გამო. მოსარჩელის აზრით, რეგულირება დისკრიმინაციულია ბიოლოგიური მამების მიმართ, ერთი მხრივ, დედებთან და, მეორე მხრივ, მშვილტველ მამებთან შედარებით, რომლებსაც, შრომის კოდექსში არსებული სპეციალური ჩანაწერის საფუძველზე, ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში, აგრეთვე შეუძლიათ დაუბრკოლებლად ისარგებლონ ბავშვის მოვლის გამო შევებულებისა და მისი ანაზღაურების უფლებით. ამასთან, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ, ქალის თანასწორობის უფლებასთან, ასევე, ოჯახში თანასწორუფლებიანობის დაცვის გარანტიებთან წინააღმდეგობაში, სახელმწიფო გაუმართლებლად მხოლოდ ერთ-ერთ მშობელს ანიჭებს ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობას და ზღუდავს მშობლების შესაძლებლობას, საკუთარი შეთანხმებითა და სურვილის შესაბამისად გაიზიარონ ეს პასუხისმგებლობა. თანასწორუფლებიანობის გარდა, ბავშვის მოვლის გამო შევებულებისა და მისი ანაზღაურების უფლების შეზღუდვა კაცებისთვის იწვევს მათი შრომის უფლების შეზღუდვასაც.

ამ დრომდე საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი არ გადაწყვეტილა. საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს.

³ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტი. 28-ე, 29-ე მუხლები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს №231/ნ ბრძანების N1 დანართის მე-6 მუხლის პირველი წინადადება, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტი; „დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/ნ ბრძანების N1 დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი.

PHR სწრაფი კვების ობიექტ Wendy's-ის წინააღმდეგ

2017 წლის 9 იანვარს ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს ერთ-ერთი სწრაფი კვების ობიექტის – Wendy's-ის წინააღმდეგ. Wendy's-ის ობიექტის საბურთალოს ფილიალში (ცინცაძის ქუჩაზე), მეორე სართულზე განთავსებული საპირფარეოების ნიშნები, ისევე, როგორც შიგნით არსებული ინფრასტრუქტურა, უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელ პირებს, რომლებიც ბავშვებთან ერთად არიან დანესებულებაში და გადაწყვეტენ საპირფარეოს მოხმარებას. კერძოდ, ნიშნები შეიცავს დისკრიმინაციულ გზავნილებს. აღნიშნულ ფილიალში განთავსებულია სამი საპირფარეო: კაცებისთვის, ქალებისთვის და შშმ პირებისთვის. თუმცა, ამ სამიდან მხოლოდ ქალების საპირფარეოს ახლავს ბავშვის/არასრულწლოვნის ნიშანი. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პირის აღქმაში ეს ცალსახად მიაჩნდება, რომ ბავშვის შესვლა დასაშვებია მხოლოდ ქალების საპირფარეოში.

PHR-ის მოსაზრებით, აღნიშნული ნიშნები წარმოადგენს საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპების გახმოვანებას იმის თაობაზე, რომ ბავშვების მოვლა სწორედ ქალების, და არა – კაცების, საქმეა. აღნიშნული ნიშანი ფაქტობრივად უზღუდავს მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მყოფ კაცს/მამას შესაძლებლობას, შეიყვანოს ბავშვი საპირფარეოში, როდესაც ეს უკანასკნელი ამას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს. მამასადაამე, რიგ შემთხვევაში, ასევე გამორიცხავს მამების მხრიდან კანონმდებლობით განსაზღვრული მშობლის უფლების განხორციელებას, ხოლო ბავშვებს ხელს უშლის მათი უფლების რეალიზებაში – ორივე მშობლისგან მიიღონ თანაბარი ზრუნვა აღზრდის პროცესში. ბავშვების მიერ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების აღნიშნული მიზეზით, ისევე როგორც სხვა მიზეზით, შეკავებამ, შესაძლოა გამოიწვიოს ტკივილის განცდა და არასათანადო მოპყრობა.

2017 წლის ნოემბერში ორგანიზაციას სახალხო დამცველის მხრიდან ეცნობა, რომ Wendy's მზადაა, გაითვალისწინოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და, სქესთა შორის სავარაუდო უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, ობიექტებში არსებულ ყველა საპირფარეოზე განათავსოს ბავშვთან დაკავშირებული ნიშანი. აღნიშნული ნიშანი განთავსდება როგორც მამაკაცების, ასევე ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილ საპირფარეოებზე.

სახალხო დამცველი აგრძელებს განცხადების განხილვას.

„საფარი“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ

2017 წლის 27 ნოემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა „საფარმა“. მომჩივანი მიუთითებს, რომ სამედიცინო დანესებულებების მიერ მისგან ქალის საშვილოსნოს მილის გადაკეტვისათვის ქმრის წერილობითი თანხმობის წარდგენა წარმოადგენს დისკრიმინაციას. საჩივარს თან ერთვის სიტუაციური ტესტის ფარგლებში მოქალაქე ნ.ხ-ს მიერ ქუთაისის ინტერვენციულ კლინიკაში გაკეთებული აუდიოჩანაწერი, რომლითაც ირკვევა, რომ გინეკოლოგი ნ.ხ-ს საშვილოსნოს მილის გადაკეტვისთვის ქმრის წერილობით თანხმობას სთხოვს.

ქალები, ამ არათანასწორო მოპყრობის შედეგად, არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, ვინაიდან, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, მეუღლის თანხმობის გარეშე ჩაიტარონ პროცედურა, რომელიც მათ სხეულს ეხება. ამგვარი პრაქტიკა ქალებს აყენებს კაცზე დამოკიდებულ მდგომარეობაში, კაცის თანხმობის გარეშე ქალის გადაწყვეტილებას მნიშვნელობა არ ენიჭება. განსაკუთრებით დამამცირებელია კაცის თანხმობის მოთხოვნა იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი თანხმობა ქალის სხეულზე სამედიცინო ოპერაციის ჩასატარებლად არის საჭირო. აღნიშნული პრაქტიკა ამძაფრებს იმ სტერეოტიპებს და შეხედულებებს, რომ საზოგადოებაში გადაწყვეტილების მიმღები არის კაცი.

„საფარი“ სახალხო დამცველისგან ითხოვს ზოგადი წინადადების გამოცემას, რომლითაც ქმრის თანხმობის მოთხოვნა ჩაითვლება დისკრიმინაციის ხელშემწყობად. ასევე, ამ ზოგადი წინადადებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეთხოვება სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება ქალების საშვილოსნოს მილების გადაკეტვის პროცედურასთან დაკავშირებით. ეს პრინციპები ხაზგასმით აკრძალავს სამედიცინო დანესებულებების მხრიდან აღნიშნულ პროცედურაზე ქმრის თანხმობის მოთხოვნას.

ნ.შ. შპს „აი კი დეველოპმენტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

სახალხო დამცველის 2017 წლის 2 ოქტომბრის რეკომენდაციით დადგინდა, რომ დამსაქმებელმა შპს „აი კი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ ნ.შ-ს მიმართ განახორციელა პირდაპირი დისკრიმინაცია ორსულობის ნიშნით. უფრო კონკრეტულად, 2016 წელს, როდესაც მოსარჩელეს მოუწია, ესარგებლა ორსულობის,

მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შევსებით, დამსაქმებელმა განუმარტა, რომ არ ეკუთვნოდა მშობიარობის შემდეგ ერთჯერადი სახელმწიფო დახმარება. დამსაქმებლის დავალებით, მოსარჩელეს უნდა მოეძებნა თავისი შემცველი, რომელიც დასაქმებულის შევსებაში ყოფნის პერიოდში მის მოვალეობას შეასრულებდა. ნ.შ-მ მოძებნა თავისი შემცველი. 2017 წლის 3 თებერვალს შევსებულებიდან დაბრუნებულ ნ.შ-ს მისმა შემცველმა და მენეჯერმა აცნობეს, რომ ის აღარ იყო დასაქმებული.

სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის დადგენის შემდგომ, ნ.შ-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს დამსაქმებლის წინააღმდეგ. ნ.შ. დავობს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი – „რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია“ – უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა ჩაითვალოს პირის მიერ დისკრიმინაციული მოპყრობის გარემოების გაგებად და სწორედ ამ მომენტიდან აითვალოს ხანდაზმულობის სამთვიანი ვადა. სწორედ აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სახალხო დამცველის ინსტიტუტის ეფექტურობას და დისკრიმინაციის მსხვერპლთა უფლებების დაცვას კანონმდებლის ნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ნ.შ. დავობს, რომ დამსაქმებელს არ ჰქონდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების უფლება, რომ ეს იყო დისკრიმინაცია ორსულობის ნიშნით და ითხოვს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას (რომელიც ამ დრომდე არ ჩაჰბარებია), სამუშაო ადგილზე აღდგენას, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

ე.გ. „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2017 წლის 28 დეკემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა წამალდამოკიდებულმა ქალმა ე.გ-მ. მომჩივანი 2011 წლიდან ჩართულია „გლობალ ფონდის“ მეტადონის პროგრამაში. იგი 2011 წლიდან მომსახურებას იღებდა „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“. ე.გ. 2016 წლიდან გადავიდა კლინიკა „ურანტში“. ამ კლინიკაში გადასვლის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ იგი ექვემდებარებოდა არაპირდაპირ დისკრიმინაციას და შევიწროებას. კერძოდ, ოთახში, სადაც ექიმი პაციენტს უწერს დოზას, დამონტაჟებულია მონიტორი, სადაც ჩანს, თუ როგორ შედის პაციენტი ტუალეტში შარდის ჩასაბარებლად. ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის პაციენტებს, რომლებიც შედიან ექიმის ოთახში, შეუძლიათ დაინახონ მონიტორზე აღნიშნული პროცესი, რითაც ირღვევა პაციენტის პრივატული სივრცე და კონფიდენციალურობა. ვინაიდან გამოსახულება წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, აღნიშნული კადრები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი სამედიცინო პერსონალის გარდა სხვა პირებისთვის.

ე.გ-ს განცხადებით, ექიმების ოთახში შესული ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომია სხვა პაციენტების სამედიცინო დოკუმენტაცია და მათში დაფიქსირებული ინფორმაცია. ექიმის ოთახში შესულ ნებისმიერ პირს თავისუფლად შეუძლია, სხვა პაციენტის დოკუმენტები აიღოს, მათში ჩაიხედოს და მიიღოს გარკვეული ინფორმაცია (მათ შორის პაციენტის სახელი და გვარი, მეტადონის დოზა და ა.შ.). პაციენტების თქმით, ეს ხდება იმიტომ, რომ ექიმების ოთახში ერთად ყვება პაციენტის საბუთი და ისინი არ არის შენახული ცალკე გამოყოფილ ადგილას. შესაბამისად, ყველას, ვინც ოთახში შევა, შეუძლია, ნახოს, ჩართულია თუ არა ესა თუ ის პაციენტი მეტადონის პროგრამაში და რა დოზით იღებს მეტადონს.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავით მოწესრიგებულია ადამიანის პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ხელშეუხებლობის უფლება. ამ თავის 27-ე მუხლის თანახმად: „სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულება, დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.“ იმავე კანონის 28-ე მუხლი შეიცავს საფუძვლების ჩამონათვალს, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია. ზემოთ აღნიშნული არცერთი შემთხვევა არ ექცევა მოცემულ ჩამონათვალში. ინფორმაცია პაციენტზე წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. როდესაც პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაცია მჟღავნდება სამედიცინო პერსონალის დაუდევრობის გამო, კონკრეტულად კი მათი უმოქმედობით – განათავსონ მოცემული დოკუმენტები დაცულ ადგილას, ირღვევა ზემოხსენებული კანონით გარანტირებული პაციენტის კონფიდენციალურობის უფლება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს და მოითხოვა მეტადონის პროგრამის განმახორციელებელი ყველა დაწესებულების შემოწმება, ვინაიდან, ბენეფიციართა ჩვენებებზე დაყრდნობით, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მეტადონის მიმწოდებელ ყველა დაწესებულებას აქვს პრობლემა პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით.

ზემოხსენებული პრაქტიკა არის დისკრიმინაციის წამახალისებელი წამალდამოკიდებული პირების მიმართ, ვინაიდან სხვა პაციენტები (რომლებიც მკურნალობენ სხვა დაწესებულებებში ჯანმრთელობის სხვა პრობლემების გამო) არ დგანან პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და, განსაკუთრებით, შემდგომი სტიგმატიზაციის და კრიმინალიზაციის საფრთხის წინაშე.

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემისა, ე.გ. (მსგავსად სხვა წამალდამოკიდებული ქალებისა), „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ქავთარაძის ფილიალში მკურნალობისას, ხდებოდა არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი. კერძოდ, წამლის მისაღებად კლინიკაში მისულ ქალებს და კაცებს ერთ რიგში უწევთ დგომა. ქავთარაძის ფილიალში, ისევე, როგორც სერვისის მიმწოდებელ სხვა კლინიკებში, არ არის ცალკე შესასვლელი ქალებისათვის. ნარკოტიკების მომხმარებელი კაცები ნარკოდამოკიდებული ქალების მიმართ აგრესიულები არიან და ხშირად ისმის მათი მხრიდან დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი განცხადებები. აგრესიის მიზეზია წამალდამოკიდებულ ქალებთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული განსაკუთრებული სტიგმა. მიიჩნევა, რომ წამალდამოკიდებული ქალები სათანადოდ ვერ ასრულებენ საკუთარ გენდერულ როლს, არ არიან სამაგალითო დედები, შვილები, დები ან მეუღლეები. მათ მიმართ მოქმედებს ორმაგი სტანდარტი კაცებისგან განსხვავებით, რომელთა შემთხვევაშიც ნარკოტიკის მოხმარება ნაკლებად სტიგმატიზებულია. წამალდამოკიდებული ქალებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეინიშნება არა მხოლოდ იმ პირებისგან, რომლებიც არ მოიხმარენ ნარკოტიკებს, არამედ ნარკოტიკების მომხმარებელი მამაკაცებისგანაც. მათ თვალში ნარკოტიკის მოხმარება მამაკაცისთვის მისაღები ქცევაა, ხოლო ქალი, რომელიც ნარკოტიკს მოიხმარს, ღირებულებას კარგავს, რადგან არ ემორჩილება საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული ქცევის ნორმებს. შედეგად, წამალდამოკიდებულ ქალებს უწევთ ცხოვრება ორმაგი სტიგმატიზაციისა და ჩაგვრის პირობებში – როგორც მათი სქესის, ისე წამალდამოკიდებულების გამო.

მეტადონის პროგრამაში ჩართული ქალების ნაწილი, კაცების მხრიდან განხორციელებული შევიწროებისა და, ასევე, იმ ფაქტის გამო, რომ ქავთარაძის ფილიალში შესაძლებელია გამჟღავნდეს მათი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, მედიკამენტის დოზა) და ნარკოდამოკიდებულების ფაქტი, ხშირ შემთხვევაში, უარს ამბობს მკურნალობაზე და პროგრამას ეთიშებიან, რაც ნეგატიურად აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

გარდა მამაკაცების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფისა, რაც მეტადონის პროგრამაში ჩართული ქალებისთვის ყოველდღიურობას წარმოადგენს, ე.გ.-ს ქავთარაძის ფილიალში მეტადონის რიგში დგომის დროს მამაკაცმა ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა, შემთხვევა მოხდა კლინიკა „ურანტი“ ე.გ.-ს გადასვლამდე, 2016 წელს. მამაკაცმა (მისი ვინაობა უცნობია), რომელიც ელოდებოდა საკუთარი წამლის დოზას, ვერ აიტანა ის ფაქტი, რომ ნარკომომხმარებელმა ქალმა გაბედა რიგის დარღვევა და მას ყური ისეთი სიძლიერით აუწია, რომ ე.გ.-ს სისხლი წამოუვიდა. მამაკაცმა გააფრთხილა ის, რომ დალოდებოდა, სანამ ყველა არ მიიღებდა მედიკამენტს და ყველაზე ბოლოს მისულიყო წამლის ასაღებად. დაცვისგან ამ ფაქტს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

შემდგომში კლინიკის წარმომადგენლებმა ე.გ.-ს შესთავაზეს, თუ მისი სურვილი იქნებოდა, მოძალადეს სხვა ფილიალში გადაიყვანდნენ, თუმცა, მან უარი განაცხადა, რადგან არ უნდოდა მისი მიზეზით მომხდარიყო მამაკაცის სხვაგან გადაყვანა. იგი შიშობდა, რომ შესაძლოა ამას კიდევ უფრო დიდი აგრესია წარმოეშვა მისი მისამართით სხვა ბენეფიციარი მამაკაცების მხრიდან, თანაც ერთი მამაკაცის გარიდება ქავთარაძის ფილიალიდან არ შეცვლიდა არსებულ სიტუაციას.

ე.გ. და სხვა ბენეფიციარი ქალები ადმინისტრაციას სთხოვდნენ, უზრუნველყოთ სხვა შემოსასვლელი ქალებისთვის, რითაც მოგვარდებოდა რიგის პრობლემა – ქალებს და მამაკაცებს აღარ მოუწევდათ ერთ რიგში დგომა. ასევე, ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით, საუბარი იყო განრიგის შემოღებაზე (პირობითად, 10.00-დან 14.00 საათამდე მხოლოდ ქალებს ევლოთ კლინიკაში წამლის მისაღებად, მამაკაცები კი სხვა დროს მისულიყვნენ), მაგრამ კლინიკის წარმომადგენლებმა ამაზე უარი განაცხადეს. კლინიკაში ე.გ.-ს განუცხადეს, რომ არ აქვთ პერსონალის დამატების სახსრები, რათა რიგის პრობლემები მოწესრიგდეს. ამის შემდეგ, 2016 წლის 3 მარტს, ე.გ. გადავიდა კერძო კლინიკა „ურანტი“.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა სქესის მიუხედავად. დისკრიმინაცია არა მხოლოდ ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა, არამედ ერთი და იგივე მოპყრობა განსხვავებულ სიტუაციაში მყოფ პირთა მიმართ.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი

მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

არაპირდაპირ დისკრიმინაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც გარკვეული პრაქტიკა, მოქმედი ნორმა, მოთხოვნა ან პირობა, ერთი შეხედვით, ნეიტრალური ჩანს, მაგრამ მისი შედეგი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს კონკრეტულ ჯგუფზე. არაპირდაპირი დისკრიმინაციის საქმეებში დისკრიმინაცია დგინდება იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ყველას მიმართ გამოყენებული იყოს ერთი და იგივე წესი შესაბამის განსხვავებათა გათვალისწინების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, წამალდამოკიდებული ქალები წარმოადგენენ უფრო მონყვლად ჯგუფს, ვიდრე წამალდამოკიდებული მამაკაცები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი განიცდიან ორმაგ სტიგმას თავიანთი სქესის და წამალდამოკიდებულების გამო – ერთი მხრივ, საზოგადოების იმ წევრებისგან, რომლებიც ნარკოტიკს არ მოიხმარენ და, მეორე მხრივ, წამალდამოკიდებული მამაკაცებისგან. წამალდამოკიდებულების მკურნალობის სერვისების მიღების პროცესში ისინი განიცდიან ინტერსექციურ (ჯვარედინ) დისკრიმინაციას თავიანთი სქესის და ნარკოტიკის მოხმარების საფუძველზე.

საქმე ამჟამად სახალხო დამცველის მიერ განხილვის პროცესშია.

1.5. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლით ადამიანი დაცულია დისკრიმინაციული მოპყრობისგან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლი კრძალავს ისეთ მოპყრობას, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, რაიმე ნიშნით, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. თუ ასეთი მოპყრობა არ ემსახურება კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალება არ არის თანაზომიერი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ადგილი აქვს დისკრიმინაციას.

ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ დისკრიმინაცია შეიძლება არსებობდეს იმის მიუხედავად, პირს რეალურად ახასიათებს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი.

ნინო მაჩაიძე კარაოკე ბარის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)⁴

ლესბოსელი ქალი თამარ მაჩაიძე (სახელი და გვარი მოგონილია პირის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით) ხშირად სარგებლობდა ქ. თბილისში მდებარე სამი კარაოკე ბარის სერვისით, რომლებსაც ერთი ადმინისტრაცია და უსაფრთხოების პერსონალი ჰყავს. 2017 წლის 31 იანვარს იგი ჩვეულებრივ ეწვია ერთ-ერთ კარაოკე ბარს, მაგრამ დაცვის თანამშრომელმა განუცხადა, რომ ე.წ. „შავ სიაში“ მოხვდა დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნით და ბარის სერვისით სარგებლობა ეკრძალება. 2017 წლის 15 მარტს იგი ეწვია სხვა კარაოკე ბარს, სადაც დაცვის თანამშრომელმა იგივე განუცხადა და დაამატა, რომ იგი „გამავებულია“ მესამე დაწესებულებაშიც. თამარი დაინტერესდა, თუ რა გახდა ე.წ. „შავ სიაში“ მისი მოხვედრის მიზეზი, მაგრამ ამაზე პასუხი ვერც დაცვის თანამშრომლისგან და ვერც ადმინისტრაციისგან ვერ მიიღო. თამარს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციამ შეიტყო მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და სწორედ ეს დაედო საფუძველად მისთვის ზემოაღნიშნული დაწესებულების სერვისით სარგებლობის აკრძალვას. თამარმა რამდენჯერმე სცადა დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაკავშირება, მაგრამ მხოლოდ დაცვის თანამშრომლებთან კომუნიკაცია შეძლო. დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მასთან საუბარში აღნიშნა, რომ ე.წ. „შავ სიაში“ მისი მოხვედრა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი „გოგოებს ეჩაღიწება“.

დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელეს გააჩნია კარაოკე ბარების დაცვის თანამშრომლებთან საუბრის აუდიოჩანაწერი, რომელიც ინფორმირებული თანხმობის შედეგად არის მოპოვებული. მოსარჩელე ითხოვს დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრას, კერძოდ, კარაოკე ბარის მომსახურების მიღებას. მოსარჩელე თითოეული მოპასუხე მხარისგან ასევე ითხოვს 1000 ლარის ოდენობის

⁴ საქმე მომზადებულია National Endowment for Democracy (NED) <https://www.ned.org> და Astraea Lesbian Foundation For Justice (ASTRAEA) <https://www.ned.org> მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

მორალური ზიანის ანაზღაურებას. ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

ნათია ენდელაძე ტაქსის კომპანია „Maxim“-ის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)⁵

2016 წლის 3 ნოემბერს ტრანსგენდერმა ქალმა ნათია ენდელაძემ (სახელი და გვარი მოგონილია პირის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით) სახალხო დამცველს მიმართა. 2016 წლის 7 სექტემბერს თავის სამ მეგობართან ერთად ქ. თბილისში გამოიძახა ერთ-ერთი კომპანიის ტაქსი. გამოძახების ადგილზე ტაქსის მისვლის მომენტში ნათია და მისი მეგობრები, რომლებიც ასევე ტრანსგენდერი ქალები არიან, შემოსილები იყვნენ ქალის ტანსაცმლით, ქუსლიანი ფეხსაცმლით და ჰქონდათ მაკიაჟი. ნათია მიუთითებს, რომ, როდესაც მეგობრებთან ერთად ავტომობილს მიუახლოვდა და კარი გააღო, მძღოლმა დაუყვირა: „ფუ, თქვე პიდარასტებო, მანქანაში არ ჩაგვამთ“, რის შემდეგაც მანქანა სწრაფად დაძრა და წავიდა. ნათია ენდელაძემ დაუყოვნებლივ დარეკა ტელეფონის იმავე ნომერზე, რომლითაც ტაქსი გამოიძახა და მომხდარის შესახებ შეატყობინა. ნათიას კომპანიაში განუცხადეს, რომ წერილობით მიემართა და საჩივარს განიხილავდნენ, თუმცა, მისთვის ალტერნატიული ავტომობილი არ შეუთავაზებიათ.

ნათია ენდელაძე მიიჩნევდა, რომ მისთვის ტაქსის მომსახურებაზე უარი განპირობებული იყო მძღოლის ჰომოფობიური წინასწარგანწყობით და მას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი. მომჩივნის აზრით, ის გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით.

2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ტაქსის მძღოლ გ.გ-სა და ტაქსის კომპანია „Maxim“-ს (შპს „ტექნოკომი“) გენდერული იდენტობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა. რეკომენდაციაში აღნიშნულია:

განმცხადებელი არის ტრანსგენდერი ქალი. 2016 წლის 7 სექტემბერს მან თავის სამ მეგობართან ერთად ქ. თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, გამოიძახა კომპანია „Maxim“-ის ტაქსი. ნ-მ რამდენიმე წუთში მიიღო შეტყობინება: „21:26 წუთზე, თქვენთან მოვა გ. შავი ჰონდა ***. მგზავრობის ფასია 3,50 ლარი.“ ნ-ს გამოძახება დარეგისტრირდა ნომრით 5904467. როდესაც ტაქსი გამოძახების ადგილზე მივიდა, განმცხადებელი და მისი მეგობრები, რომლებიც ასევე ტრანსგენდერი ქალები არიან, შემოსილები იყვნენ ქალის ტანსაცმლით, ქუსლიანი ფეხსაცმლით და ჰქონდათ მაკიაჟი. განმცხადებელი მიუთითებს, რომ, როდესაც მეგობრებთან ერთად ავტომობილს მიუახლოვდა და კარი გააღო, მძღოლმა დაუყვირა: „ფუ, თქვე პიდარასტებო, მანქანაში არ ჩაგვამთ“, რის შემდეგაც მანქანა სწრაფად დაძრა და წავიდა.

განმცხადებელმა დაუყოვნებლივ დარეკა ტელეფონის იმავე ნომერზე, რომლითაც ტაქსი გამოიძახა და მომხდარის შესახებ შეატყობინა. „Maxim“-ში განუცხადეს, რომ კომპანიისათვის წერილობით მიემართა და მის საჩივარს განიხილავდნენ. შპს „ტექნოკომის“ მიერ 2016 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მძღოლის განმარტებით, მგზავრების რაოდენობა აღემატებოდა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლით გათვალისწინებულ რაოდენობას, რის გამოც, მან უარი განუცხადა განმცხადებელს მომსახურების განევაზე.

ამასთან, შპს „ტექნოკომმა“ მიუთითა, რომ კომპანიას არ ჰყავს საკუთარი ავტომობილები და მძღოლები. კომპანია არის ოპერატორი, რომელიც მძღოლებს გადასცემს შეკვეთას და თავად, დამოუკიდებლად, შემკვეთს მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურებას არ უწევს. 2016 წლის 13 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ესაუბრა ტაქსის მძღოლ გ.გ-ს. მისი განმარტებით, 2016 წლის 7 სექტემბერს მიიღო შეკვეთა და მგზავრების ასაყვანად მივიდა გამოძახების მისამართზე. მისი თქმით, ზოგადად, ორ მგზავრზე მეტს არ აძლევს უკანა სავარძელზე დაჯდომის უფლებას, ვინაიდან ამან შეიძლება მანქანის ნაწილი დააზიანოს. გ-მ აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მგზავრი ტრანსგენდერია თუ – არა, იმ შემთხვევაში, გადამწყვეტი იყო მგზავრთა რაოდენობა. როგორც იგი აღნიშნავს, მომსახურების განევაზე უარი განმცხადებლისათვის არ განუმარტავს, ვინაიდან არ ჰქონდა საშუალება, რომ იმ კონკრეტულ ადგილას მანქანა გაეჩერებინა და განმცხადებელს დალაპარაკებოდა.

გ.გ-ს მითითებით, ის განევიანებულია „Maxim“-ში, თუმცა რაიმე სახის პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ არ აქვს და სამუშაოდ საკუთარი სურვილის მიხედვით მიდის. განმცხადებლის მიერ ტაქსის მომსახურებაზე უარის შეტყობინების შემდეგ, „Maxim“-ს ნათიასთვის ალტერნატიული ავტომობილი არ შეუთავაზებია.

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო

⁵ საქმე მომზადებულია National Endowment for Democracy (NED) <https://www.ned.org> და Astraea Lesbian Foundation For Justice (ASTRAEA) <https://www.ned.org> მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

სამართლის ინსტრუმენტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ეს უფლება იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი, გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვების ჩაურევლად, პირადი გადწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან.

აღნიშნული უფლება, პირველ რიგში, მოიაზრებს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას, რაც გულისხმობს პიროვნების ზოგად თავისუფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე. იმავდროულად, მე-16 მუხლი მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროს, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებასა და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას.

გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები ასევე ხვდება მე-8 მუხლით დაცულ პირად სფეროში. აღნიშნული მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით“, არამედ მოიცავს ამ სფეროში გარე სამყაროს ჩართულობას, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, ასევე, თვითრეალიზების უფლებას – იქნება ეს პერსონალური განვითარების გზით თუ სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მეშვეობით. პირადი ავტონომიისა და თვითრეალიზების უფლება ასევე მოიცავს ადამიანის უფლებას, თავისი შეხედულებებისამებრ წარდგეს და წარმოჩინდეს საჯარო და საზოგადოებრივ ადგილებში. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს არ მიეცა საშუალება, საკუთარი გენდერული იდენტობის შესაბამისად წარმოჩენილიყო და ესარგებლა ტაქსის მომსახურებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ტაქსის მომსახურების მიღებაზე უარმა განაპირობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულნი იყვნენ, როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორობა უთანასწოროდ და უთანასწორობა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი არახელსაყრელ მდგომარეობაში არის ჩაყენებული ჰეტეროსექსუალ ადამიანებთან და, ასევე, ყველა იმ პირთან შედარებით, ვისაც ბიოლოგიური სქესის შესაბამისად აცვია და მათი სექსუალური ორიენტაცია თუ გენდერული იდენტობა არ არის იდენტიფიცირებადი. ამ პირებისგან განსხვავებით, განმცხადებლის გენდერული იდენტობის შესაბამისი გარეგნობა ჰომოფობიური დამოკიდებულებისა და ტაქსით მომსახურებაზე უარის თქმის მიზეზი გახდა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში არ ჩაითვლება

დისკრიმინაციად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია. უფლების შემზღუდველი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ტაქსის მძღოლ გ.გ-ს ჰქონდა თავისუფლება, რომ უარი ეთქვა მომსახურებაზე, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ უარი დაეფუძნებოდა ობიექტურ გარემოებებს.

გ.გ-ს განმარტებით, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ იყო მგზავრი. მან უარი განაცხადა მომსახურების განევაზე, რადგან დაინახა, რომ დასაშვებ რაოდენობაზე მეტი ადამიანი უნდა ჩამჯდარიყო მის მანქანაში და აღნიშნულს, შესაძლოა, დაეზიანებინა ავტომობილის უკანა სავარძლის ქვეშ არსებული ზამბარა. როგორც თავად ამბობს, უარის თქმისას, არ იცოდა, რომ მგზავრები ტრანსგენდერი ადამიანები იყვნენ. ამდენად, გ.გ. მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითებს მგზავრთა რაოდენობიდან გამომდინარე ავტომობილის დაზიანების საფრთხეს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ვინაიდან განმცხადებელს და მის მეგობრებს ეცვათ თავიანთი გენდერული იდენტობის შესაბამისი ტანისამოსი, ქუსლიანი ფეხსაცმელი და ჰქონდათ მაკიაჟი, გ.გ-სთვის განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო მგზავრების გენდერული იდენტობა. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მძღოლმა არ იცოდა განმცხადებლის გენდერული იდენტობის შესახებ, მსუბუქი ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ უკანა სავარძელზე, შესაძლებელია, მოთავსდეს 3 ადამიანი.

ამასთან, „Maxim“-დან შეტყობინების მიღების შემდეგ, გ.გ. მზად იყო, მომსახურებოდა მგზავრებს იმ დრომდე, ვიდრე მისთვის სავარაუდოდ აღქმადი გახდებოდა, რომ მგზავრები ტრანსგენდერი ადამიანები იყვნენ. მოპასუხე მხარის უარყოფით დამოკიდებულებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მან განმცხადებელს მომსახურების განევაზე უარის მიზეზი არ განუმარტა. მისი განცხადებით, იმ კონკრეტულ ადგილზე ავტომობილს ვერ გააჩერებდა, რათა განმცხადებელს გასაუბრებოდა. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული არგუმენტი ვერ იქნება მიჩნეული გონივრულად, ვინაიდან ტაქსის მძღოლს, მგზავრების ჩასხდომის მიზნით, განსაზღვრული დროით ავტომობილის გაჩერების ვალდებულება გააჩნია. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული მიზეზი – ავტომობილის შესაძლო დაზიანება – ვერ ჩაითვლება ისეთ ლეგიტიმურ მიზეზად, რომელიც გაამართლებდა ტაქსით მომსახურებაზე უარს.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს შპს „ტექნოკომის“ პასუხისმგებლობის საკითხი. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ნებისმიერ დაწესებულებას, მათ შორის კერძო კომპანიებს, ეკისრებათ ვალდებულება, რომ თავიანთი საქმიანობა, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას შეუსაბამონ. ამდენად, შპს „ტექნოკომმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ (მათ შორის, შუამავლობის გზით) საჯაროდ შეთავაზებული სერვისით ჯეროვანი სარგებლობა თანასწორად შეძლოს ყველა ადამიანმა, რამდენადაც შპს „ტექნოკომის“ მიერ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობა მომავალში, შესაძლოა, საფუძველად დაედოს დისკრიმინაციის წახალისებას.

განსახილველ საქმესთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებისას, სახალხო დამცველი ეყრდნობა არა მხოლოდ საქმეში არსებულ მასალებსა და მოპასუხე ტაქსის მძღოლთან გასაუბრების შედეგებს, არამედ ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ლგბტ თემი საქართველოში დღეს ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია. საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცები, ქალებთან შედარებით, ბევრად უფრო ნეგატიურად არიან განწყობილები ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ტრანსგენდერი ადამიანები პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში – იქნება ეს პირადი, პროფესიული, სოციალური თუ კულტურული სფერო. ხშირ შემთხვევაში, ისინი იძულებულნი არიან, ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოჩნდნენ იმ გარემოებით, რომელიც არ შეესაბამება მათ გენდერულ თვითაღქმას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეიძლება გახდნენ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი. ჩვენს კულტურაში არსებული აგრესიული დამოკიდებულება, რომელიც დამკვიდრებული სტერეოტიპებით საზრდოობს, ტრანსგენდერ ადამიანებს უზღუდავს საშუალებას, იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, მძღოლს და შპს „ტექნოკომს“ ეთხოვათ, მომსახურების განევისას უზრუნველყონ თანასწორობის პრინციპის დაცვა. შპს „ტექნოკომს“ ეთხოვა, შეიმუშაოს შინაგანანესი, სადაც განმტკიცებული იქნება მგზავრების მომსახურების ანტიდისკრიმინაციული პრინციპები, ასევე, „Maxim“-ში განევირჩიანებისას მძღოლებს მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის თაობაზე.

არც შპს „ტექნოკომს“ და არც მძღოლს სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ შეუსრულებია.

ნინო სირაძე საპატრულო პოლიციის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია WISG-ის მიერ)⁶

2017 წლის 27 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო სირაძემ (სახელი და გვარი შეცვლილია პირის იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით). ტრანსგენდერმა ქალმა ნინო სირაძემ 2016 წლის 13 ნოემბერს გამოიძახა საპატრულო პოლიცია. გამოიძახების მიზეზი, მისი განმარტებით, იყო დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველი მოპყრობა საკვები ობიექტის თანამშრომელთა მხრიდან. ადგილზე გამოცხადებულმა საპატრულო ეკიპაჟმა, გამოიძახებაზე რეაგირების ნაცვლად, ნინო სირაძე დააკავა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. 2016 წლის 6 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სასამართლომ დაადგინა: „ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ არის უტყუარად დადგენილი ის გარემოება, რომ ნინო სირაძის მიერ ჩადენილია სამართალდარღვევის ფაქტი, რის გამოც მის მიმართ შედგენილი იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ... სასამართლოს მიზნია, რომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირი არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით. ამიტომ მის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.“

პატრულ-ინსპექტორი, რომელმაც უშუალოდ დააკავა ნინო სირაძე და მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა, სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოხატავდა პირად დამოკიდებულებებს, ზოგადად, ტრანსგენდერი ქალების და, მათ შორის, ნინო სირაძის მიმართ. 2017 წლის 6 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ინსპექტორმა განმარტა: „წარმოდგენილ მასალაში ჩანს მისი საქციელი, ამკარა უპატივცემლობა როგორც ჩვენ მიმართ, ისე საზოგადოების მიმართ და ეს არ არის პირველი, დამერწმუნეთ, არც ბოლოა... [დაკავებულმა] პირადი საუბრისას განაცხადა, რომ მისთვის არის კარგი, როცა ვაკავებთ, ვავინროვებთ ... და ა.შ. ... დამკვიდრებული აზრია, რომ [ტრანსგენდერი ქალები] გამოხატავენ ამკარა უპატივცემლობას როგორც ჩემ მიმართ, ისე თქვენ მიმართ, საერთოდ არ აღიარებენ სახელმწიფო ინსტიტუტებს.“

მას შემდეგ, რაც მოსამართლემ სთხოვა ინსპექტორს, დეტალურად განემარტა, რატომ დააკავა ნინო სირაძე 166-ე მუხლით და არა – სხვა მუხლით, რომელიც პოლიციელის მიმართ მიყენებული შეურაცხყოფის დასაკვალიფიცირებლად სათანადო იქნებოდა, მან უპასუხა: „ამ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.“ ასევე, მოსამართლის კითხვაზე, ხართ თუ არა უშუალო მომსწრე დაკავებულის მხრიდან მოქალაქეების მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების, ინსპექტორმა უპასუხა: „არა, ჩვენ რომ მივედით, უკვე გადასული იყო იმაზე, რომ აი ამან ეს დამიშავა, იმან ის დამიშავა.“ მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე ინსპექტორი სასამართლოს წინაშე განმარტავს: „ნამდვილად არ ჩავთვალე, რომ ეს იყო მისი მხრიდან დაუმორჩილებლობა, უბრალოდ, არ ვიცი, როგორ ვთქვა, ხუმტურებად აღვიქვი, თუ არ ვიცი.“

საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია დისკრიმინაცია ნებისმიერი საფუძვლით, მათ შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით (მუხლი 14). საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კრძალავს პირდაპირ დისკრიმინაციას, რაც გულისხმობს ისეთი მოპყრობას ან პირობების შექმნას, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

წარმოდგენილ შემთხვევაში მივიჩნევთ, რომ ადგილი ჰქონდა ნინო სირაძის მიმართ პირდაპირ დისკრიმინაციას პატრულ-ინსპექტორის მხრიდან. პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენისათვის, საჭიროა, სახეზე იყოს პირის მიმართ არასახარბიელო მოპყრობა, რაც გამოიხატა ქალის თავისუფლების შეზღუდვაში; საჭიროა, არსებობდეს სხვა პირი/პირები, რომლებსაც ანალოგიურ სიტუაციაში სხვაგვარად მოეპყრნენ. ეს პირები არიან იმ საკვები ობიექტის თანამშრომლები, რომელთა მხრიდან მისი უფლებების დარღვევის ფაქტზე მიმართა პოლიციას ქალმა. პატრულ-ინსპექტორმა ჰომო/ტრანსფობიური წინასწარგანწყობების გამო, სათანადოდ არ გამოიკვლია განმცხადებლის მიმართ სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტი, მაგრამ ეჭვი არ შეჰპარვია საცხოობის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებში; და ბოლოს, აუცილებელია სახეზე იყოს დაცული საფუძველი, რომელიც განსახილველ შემთხვევაში გენდერული იდენტობა და გამოხატვაა.

⁶ საქმე მომზადებულია National Endowment for Democracy (NED) <https://www.ned.org> და Astraea Lesbian Foundation For Justice (ASTRAEA) <https://www.ned.org> მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ნინო სირაძისადმი არასახარბიელო მოპყრობის დადგენისათვის, აუცილებელია ყურადღების გამახვილება სასამართლოს დადგენილებაზე, რომლის თანახმადაც, მის მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მესამე წინადადების თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ პატრულ-ინსპექტორი წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით ადამიანის დაკავებაზე საგანგებოდ უფლებამოსილ პირს, არ შეიძლება, მან უფლებამოსილება იმგვარად გამოიყენოს, რომ გასცდეს კანონის ჩარჩოს, იმოქმედოს საკუთარი წინასწარგანწყობებისა და პერსონალური დამოკიდებულებების თანახმად.

რაც შეეხება კომპარატორებს, საცხოვრის თანამშრომლები ცალსახად შეგვიძლია ასეთად მივიჩნიოთ. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ პოლიცია გამოიძახა ნინო სირაძემ და ინსპექტორის პირველადი ინტერესი სწორედ მისი უფლებების დარღვევა უნდა ყოფილიყო. თუმცა, ვიდეოჩანანერზე გარკვევით ჩანს, რომ ის თითქმის არ იჩენს ყურადღებას მისი განმარტებების მიმართ და პირდაპირ მისი მხრიდან სავარაუდოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გამორკვევას იწყებს.

რაც შეეხება დაცულ საფუძველს, განმცხადებელი ტრანსგენდერი ქალია და ამის შესახებ პოლიციის თანამშრომლისათვის ცნობილია, რადგან სასამართლოს სხდომაზე აღნიშნავს, რომ დაკავებული თავს „ტრანსსექსუალად“ მიიჩნევს.

ნინო სირაძე სახალხო დამცველისაგან ითხოვს პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციის დადგენას და ამასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გამოცემას. ამის პარალელურად, საქმეს სწავლობს შსს-ს გენერალური ინსპექცია.

ვეგანური კაფე „კივის“ საქმე (მომზადებულია EMC-ს მიერ)

2016 წლის 29 მაისს ვეგანური კაფეს პერსონალსა და სტუმრებს ნეონაციისტური დაჯგუფების „ბერგმანის“ წევრებმა შეურაცხყოფა მიაყენეს. მათ კაფეში მიიტანეს ხორცის პროდუქტი და ცდილობდნენ, სტუმრებისთვის საჭმელში ჩაეყარათ, რასაც ჯერ „ბერგმანის“ ჯგუფის წევრებსა და კაფეს თანამშრომლებს, შემდეგ კი, ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და კაფეს პერსონალს შორის დაპირისპირება მოჰყვა. მეზობლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კაფეს თანამშრომლებს. აღნიშნული ფაქტის შემდგომ, კაფეს ფართის მესაკუთრემ დამქირავებელს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა მოსთხოვა, რისთვისაც ერთი თვე განუსაზღვრა. ვადის გასვლამდე კი, პერსონალსა და სტუმრებს კაფეს მიმდებარე ტროტუარზე გასვლა და დაჯდომა აუკრძალა.

საქმეში EMC ითხოვდა კაფეს ადმინისტრაციის მიმართ ფართის მესაკუთრის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას, რაც ფართით სარგებლობის დროს საკუთრების უფლების განგრძობად შეზღუდვასა და, საბოლოოდ, ქირავნობის ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტაში გამოიხატა. ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდებოდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. სახეზე არ იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლით გათვალისწინებული, ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისთვის განსაზღვრული გარემოებები. დგინდებოდა, რომ მესაკუთრის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მთავარ მოტივს წარმოადგენდა კაფეს პერსონალისა და სტუმრების განსხვავებული, არანორმატიული გარეგნობითა და ჩაცმულობით უკმაყოფილო ადგილობრივი მაცხოვრებლების პოზიცია, რასაც მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრებიც იზიარებენ. აღნიშნულს თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ ფართის მესაკუთრე, მისი ოჯახის წევრები და მეზობლები კაფეს პერსონალისა და სტუმრების აფილირებას, სავარაუდოდ, ლგბტ ჯგუფთან ახდენდნენ, რასაც საზოგადოებისთვის მიუღებლად მიიჩნევდნენ. კერძოდ, ფართის მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები კაფეს ადმინისტრაციას ხშირად უთითებდნენ, რომ მათი განსხვავებული გარეგნობა – ფერადი თმები, პირსინგი – ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო, ადგილობრივი მაცხოვრებლების გაღიზიანებას იწვევდა და, აქედან გამომდინარე, შემდგომში მათთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელების სურვილი აღარ ჰქონდათ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, EMC აღნიშნავდა, რომ მესაკუთრის მხრიდან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა წარმოადგენდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული შეხედულების გამო და ასოციაციურ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლეოდა ის ფაქტი, რომ მესაკუთრე, ლეგიტიმური მიზნის გარეშე, ერეოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით სარგებლობაში.

EMC-მ კაფე „კივის“ ადმინისტრაციის სახელით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. ორგანიზაცია ითხოვდა დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენას და თანასწორობის აღდგენისათვის ადეკვატური ღონისძიებების დაკისრებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და 2017 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ფართის მესაკუთრემ კაფე „კივის“ ადმინისტრაციის მიმართ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია განსხვავებული შეხედულებისა და ასოციაციური დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. მესაკუთრეს მიეცა რეკომენდაცია, სახელშეკრულებო თუ სხვა სახის ურთიერთობებში, თავი შეიკავოს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისგან.

გიორგი ნადირაძე და დავით მალლაკელიძე „Sector 26“-ის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

2016 წლის 19 აგვისტოს ღამის კლუბ „Sector 26“-ში გიორგი ნადირაძეს და დავით მალლაკელიძეს (სახელი და გვარი მოგონილია კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით), სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ღამის კლუბის დაცვის ორმა თანამშრომელმა. კერძოდ, გიორგი ნადირაძე და დავით მალლაკელიძე მეგობართან ერთად იმყოფებოდნენ ღამის კლუბში, რა დროსაც გიორგი ნადირაძემ მეგობარ ბიჭს დავით მალლაკელიძეს აკოცა. ფაქტიდან დაახლოებით 15-20 წუთში მათთან მივიდა კლუბის დაცვის ორი თანამშრომელი, რომლებმაც გიორგი ნადირაძეს ხელი გადაუგრიხეს და კლუბის სივრცე დაატოვებინეს. განხორციელებული ფიზიკური ძალადობის დროს, დაცვის თანამშრომლებმა გიორგი ნადირაძისა და დავით მალლაკელიძის მიმართ გამოიყენეს სიძულვილის ენა, მოიხსენიეს, როგორც „პიდარასტები“ და მიუთითეს, რომ კლუბში მათი ადგილი არ იყო.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, EMC-იმ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ითხოვა კლუბის ადმინისტრაციის მხრიდან გიორგი ნადირაძისა და დავით მალლაკელიძის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და თანასწორობის აღდგენისათვის ადეკვატური ღონისძიებების დაკისრება.

განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მათ დაინახეს, როგორ კოცნიდა ერთმანეთს ჰეტეროსექსუალი წყვილი, თუმცა, მათი შემთხვევისგან განსხვავებით, დაცვის თანამშრომლებს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ. ეს გარემოება და დაცვის თანამშრომლების მხრიდან გიორგი ნადირაძისა და დავით მალლაკელიძის მისამართით გამოყენებული ჰომოფობიური ენა მიუთითებდა დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. განმცხადებლებს, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, არ მიეცათ სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა. იმავდროულად, ჰეტეროსექსუალი წყვილებისგან განსხვავებით, მათ მიმართ განხორციელდა არათანაბარი მოპყრობა, ვინაიდან იმავე ქმედების ჩადენის მიუხედავად, კლუბის დატოვება მხოლოდ მათ მოსთხოვეს. ამასთან, კლუბის დაცვის თანამშრომლების მოპყრობა იყო არათანაზომიერი და არ ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს – საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობდა რაიმე ფაქტორი, რაც დაცვის თანამშრომლებს მსგავსად მოქცევას აიძულებდა. შესაბამისად, მათი მოქმედება განპირობებული იყო სექსუალური ორიენტაციის მიუღებლობით და არ ჰქონდა ობიექტური, გონივრული გამართლება.

EMC-მ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტს და ითხოვა „Sector 26“-ის მხრიდან გიორგი ნადირაძისა და დავით მალლაკელიძის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა. სახალხო დამცველის 2017 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, დადგინდა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და ღამის კლუბის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია.

ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ თანასწორობის მოძრაობასა და თანასწორობა 17-თან ერთად)

2017 წლის 20 მარტს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ლევან ბერიანიძემ და გოჩა გაბოძემ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ. მოსარჩელე მხარემ მოითხოვა არსებითი განხილვის გარეშე გასაჩივრებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმა ახდენდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების დაძლევას.

2014 წლის 4 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომლითაც ჰომოსექსუალებს უვადოდ ეკრძალებოდათ სისხლის დონორობა. გადაწყვეტილების მიღებამდე ჯანდაცვის მინისტრმა ბრძანებაში ცვლილება შეიტანა და ტერმინი „ჰომოსექსუალი“ შეცვალა სიტყვებით – „მამაკაცი, რომელსაც

სექსი აქვს მამაკაცთან“ (მსმ). ტერმინი „ჰომოსექსუალი“ მოიცავდა ადამიანს, რომელსაც ემოციური ლტოლვა ჰქონდა იმავე სქესის ადამიანის მიმართ, იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ჰომოსექსუალური ცხოვრების გამოცდილება. ტერმინი „მსმ“ მიუთითებს არა ემოციურ ლტოლვაზე, არამედ ქცევაზე, მამაკაცის სექსუალურ კავშირზე მამაკაცთან. „მსმ“ შეიძლება ჰომოსექსუალის გარდა იყოს ჰეტეროსექსუალი ან ბისექსუალი მამაკაცი, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია სექსუალური კავშირი მამაკაცთან. შესაბამისად, სისხლის დონორობა, მინისტრის ბრძანებაში შეტანილი ცვლილებებით, უვადოდ აეკრძალა მსმ-ს.

ვინაიდან კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული იყო ტერმინი „ჰომოსექსუალი“, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს სიტყვა ცნო არაკონსტიტუციურად. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ, 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, ასევე იმსჯელა მსმ-ებისათვის სისხლის დონორობის უვადოდ აკრძალვაზე და მიუთითა, რომ, მართალია, აღნიშნული ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – დაიცვას რეციპიენტის (სისხლის მიმღები) ჯანმრთელობა ინფიცირებული სისხლისგან, თუმცა, ამგვარი აკრძალვა ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს – არ არის ყველაზე ნაკლებად მზღლადვი საშუალება, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ლეგიტიმურ მიზანს მაშინ, როცა ნაკლებად მკაცრი ღონისძიებების გამოყენებით შესაძლებელია იმავე მიზნის მიღწევა – რეციპიენტის უზრუნველყოფა ჯანმრთელი სისხლით.

ამგვარ ნაკლებად მკაცრ ღონისძიებად საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია სისხლის დონორობის აკრძალვა „ფანჯრის პერიოდის“ ვადით. ინფექციური დაავადების აღმოჩენა შეუძლებელია ადრეულ ეტაპზე. ამას „ფანჯრის პერიოდს“ უწოდებენ. „ფანჯრის პერიოდის“ გასვლის შემდეგ, ყველაზე მოძველებული მეთოდითაც კი, მათ შორის იმუნოფერმენტული მეთოდით (ეს უკანასკნელი საქართველოში გამოიყენება), შესაძლებელია ვირუსის აღმოჩენა. სასამართლომ ჩათვალა, რომ „ფანჯრის პერიოდის“ მიღმა მსმ-ისათვის სისხლის დონორობის აკრძალვა არღვევდა თანაზომიერების მოთხოვნებს, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ თანასწორობის უფლებას და მე-16 მუხლით აღიარებულ პიროვნული განვითარების უფლებას.

2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტროს არ უცდია, დაედგინა მსმ პირებისათვის სისხლის დონორობის აკრძალვა „ფანჯრის პერიოდის“ ვადით. ჯანდაცვის სამინისტრომ დაუცველ ჰეტეროსექსუალურ აქტში მონაწილე პირს და იმ ადამიანს, რომელსაც ჰეტეროსექსუალური კავშირი ჰქონდა ინფექციური დაავადების მატარებელ ადამიანთან, დაუნესა სისხლის დონორობაზე 12-თვიანი შეზღუდვის პერიოდი. პარალელურად, მსმ-ებისათვის სისხლის დონორობაზე უვადოდ აკრძალვა ძალაში დარჩა.

2017 წლის 13 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის შუამდგომლობა. განჩინებით საქმისწარმოება შეწყდა. ამავე განჩინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო სადავო ნორმა და ჯანდაცვის სამინისტროს დაავალა 2017 წლის 1 ნოემბრამდე მსმ ადამიანებისათვის „ფანჯრის პერიოდის“ განსაზღვრა.

1.6. რელიგია

ეროვნული კანონმდებლობა და საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის საფუძვლებს შორის, პირდაპირ არის მითითებული რელიგიური კუთვნილება, რის გამოც, ის დისკრიმინაციის კლასიკურ ნიშნად მიიჩნევა. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი რელიგიურ კუთვნილებას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს, პირდაპირ ითვალისწინებს.

ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია რუსთავის მერიის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

„ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“ (შემდგომში კათოლიკური ეკლესია), 2013 წლის 16 აპრილიდან მოყოლებული, უშედეგოდ ცდილობს რუსთავის მუნიციპალიტეტში თავის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისთვის საჭირო ნებართვისა და სანებართვო მოწმობის მოპოვებას, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დისკრიმინაციული მოპყრობით.

თავდაპირველად, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესი დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა. კათოლიკურმა ეკლესიამ უპრობლემოდ შეძლო, ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მაისის ბრძანების საფუძველზე, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის მიზნით, ნებართვის

1-ლი სტადიის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღება. ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით პრობლემები არსებითად მას შემდეგ დაიწყო, რაც ადგილობრივმა კლერიკალურმა ჯგუფებმა და მრევლის წევრებმა საჯაროდ გამოხატეს პროტესტი რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის თაობაზე. 2014 წლის შემდეგ კათოლიკურმა ეკლესიამ არაერთხელ მიმართა რუსთავის მერიასა და საკრებულოს მშენებლობის ნებართვისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის მოთხოვნით. თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობას რამდენიმე წლის განმავლობაში წარდგენილ არაერთ განცხადებაზე წერილობითი პასუხი არ გაუცია, რის გამოც, კათოლიკურ ეკლესიას ხელოვნურად ეშლებოდა ხელი მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებაში. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის უმოქმედობის გამო, კათოლიკურმა ეკლესიამ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ, პროცესუალური საკითხების გამო, სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა, განმარტა, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემისას მოქმედებს პრინციპი – „დუმილი თანხმობის ნიშანია“. ეს კი გულისხმობს, რომ თუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ნებართვის გამცემმა ორგანომ არ გასცა მშენებლობის ნებართვა ან/და დასაბუთებული უარი, მშენებლობის ნებართვა გაცემულად მიიჩნევა და ნებართვის მაძიებელს შეუძლია, მოითხოვოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა. შესაბამისად, რუსთავის საკრებულოსა და მერიის მხრიდან კათოლიკური ეკლესიის განცხადებაზე პასუხის გაუცემლობა (დუმილი) სასამართლომ საკულტო ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვად მიიჩნია. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, კათოლიკურმა ეკლესიამ კიდევ რამდენჯერმე მიმართა რუსთავის ადგილობრივ თვითმმართველობას და, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემა მოითხოვა. რუსთავის მერიამ განცხადებები კვლავაც უპასუხოდ დატოვა. მთელი ამ დროის განმავლობაში, რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემის განხილვის პროცესს აქტიურად აპროტესტებდა ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის ნაწილი. ამასთან, სხვადასხვა დროს, ადგილი ჰქონდა საჯარო მოხელეების მხრიდან რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევისა და დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიმართ ღია ლოიალობის გამოვლენის ფაქტებს. მაგალითად, 2014 წლის 12 დეკემბერს რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ, კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში, გაიმართა ზეპირი ადმინისტრაციული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის 50-მდე წარმომადგენელი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები და მერიის თანამშრომლები. სხდომაზე დამსწრე პირებმა (მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებმა და საკრებულოს დეპუტატებმა) განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას. სხდომაზე მათ წარადგინეს ცალკეული საინფორმაციო მასალები, რომელშიც მითითებული იყო კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებები.

2015 წლის ივლისში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა ქვემო ქართლის გუბერნატორი, რომელიც ეკლესიას პრობლემის მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიც, რომელმაც კათოლიკურ ეკლესიას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ალტერნატიული მიწის ნაკვეთები შესთავაზა. შეთავაზებული მიწის ნაკვეთები განთავსებული იყო ქალაქის უკიდურეს პერიფერიაში, რის გამოც, ეკლესიამ უარი განაცხადა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლაზე. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესებში აქტიურად იყო ჩართული სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოც“. მანამდე მას გაცემული ჰქონდა რამდენიმე რეკომენდაცია კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის აუცილებლობის თაობაზე, თუმცა, სააგენტომ ვერცერთი რეკომენდაციის შესრულება ვერ უზრუნველყო.

პოლიტიკური მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემდეგ კათოლიკურმა ეკლესიამ, მშენებლობის სანებართვო მოწმობის მიღების მიზნით, EMC-ის წარმომადგენლობით, 2015 წლის 13 ნოემბერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ რუსთავის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი წარადგინა. მოსარჩელის მიერ აღძრული იყო მავალეებელი სარჩელი, რომლითაც იგი მოითხოვდა მოპასუხე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საკულტო ნაგებობის (კათოლიკური ეკლესიის) მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის დავალებას. აღნიშნულის გარდა, მოსარჩელე მოითხოვდა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენას.

საქმის განხილვის ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია უარყოფდა დისკრიმინაციულ მოტივს და მშენებლობის ნებართვის გაუცემლობის მიზეზად კათოლიკური ეკლესიისთვის გაცემული მშენებლობის ნებართვის 1-ლი სტადიის აქტის სამართლებრივ პრობლემურობას ასახელებდა. ბოლო განცხადებაზე წერილობითი პასუხის გაცემის გაჭიანურების მიზეზად კი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ იმ წერილზე პასუხგაუცემლობა დაასახელეს, რომლის საფუძველზეც, მერია სააგენტოს ხელახლა სთხოვდა რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობაზე პოზიციის დაფიქსირებას, მერიის მიერ მათთვის მიწოდებული ქალაქგეგმარებითი და სამართლებრივი

გარემოებების გათვალისწინებით. პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლოს მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის ფარგლებში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ განმარტა, რომ სააგენტო საკულტო ნაგებობის მშენებლობის თაობაზე რეკომენდაციის გაცემისას ადგენს მხოლოდ რელიგიურ მიზანშეწონილობას და არ შედის არსებით მსჯელობაში მშენებლობის რეგულაციებთან დაკავშირებით, რაც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების კომპეტენციას განეკუთვნება.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არცერთი არგუმენტი და, 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით, სრულად დააკმაყოფილა კათოლიკური ეკლესიის მიერ წარდგენილი სარჩელი. სასამართლომ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დასადგენად საკმარის გარემოებად მიიჩნია რუსთავის მერიაში სასულიერო პირთა მიწვევა კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის საკითხის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფითი განწყობის გამო, ასევე, მოსარჩელის განცხადების თვების განმავლობაში განუხილველობა. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულისგან, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსგან აღებული ახსნა-განმარტებების თანახმად, 2014 წლის დეკემბერში რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართული სხდომის მიზნად მერი მართლმადიდებელი მოსახლეობის აზრის მოსმენას და მათი წინააღმდეგობის მიზეზების გარკვევას ასახელებდა. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისგან მიღებული ახსნა-განმარტების თანახმად, „2014 წლის დეკემბერში, მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, არ აშენებულყო კათოლიკური ეკლესია. შეხვედრას ესწრებოდნენ სასულიერო პირები...“; „დღესდღეობით, მართლმადიდებელ მოსახლეობაში პროტესტი შენელებულია“. ამავე ოქმის თანახმად, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი აფასებს რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური მრევლის რაოდენობას და მიუთითებს, რომ „მრევლი კათოლიკურ ეკლესიას არ ჰყავს ბევრი“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გარდა, მითითებული საქმე შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმაც, რომელმაც დაადგინა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა და შესაბამისი რეკომენდაცია გასცა.⁷

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც ჯერჯერობით არცერთი სხდომა არ გამართულა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, რომის პაპის საქართველოში ვიზიტის შემდეგ, სახელმწიფომ კვლავ დაიწყო მოლაპარაკებების პროცესი კათოლიკურ ეკლესიასთან და, ეკლესიის მშენებლობის დროულად უზრუნველყოფის მიზნით, მინის ნაკვეთების გაცვლა შესთავაზა.

დღესდღეობით, კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მინის ნაკვეთის გაცვლისა და ეკლესიის მშენებლობის თაობაზე მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება.

მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები მოხეს საჯარო სკოლაში (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმე ეხება სოფელ მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მხრიდან, რელიგიური ნიშნით, მუსლიმი მოსწავლეების სავარაუდო დისკრიმინაციულ შევიწროებას. 2016 წლის 22 დეკემბერს მოხეს საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე თ.ბ. (18 წლის) კლასის დამრიგებელმა გაკვეთილიდან გაიყვანა და განუცხადა, რომ დირექტორი ნათია რეხვიამვილი არ დაადასტურებდა სკოლაში მის ჩარიცხვას, ვიდრე ის თავსაბურავს არ მოიხსნიდა. იმის მიუხედავად, რომ ასეთი მოთხოვნის საფუძველები სკოლის შინაგანანგესით არ იყო განსაზღვრული, დამრიგებლის მსგავსად, დირექტორმა პირად საუბარში თ.ბ-ს მოსთხოვა თავსაბურავის მოხსნა და განუმარტა, რომ ყველა უნდა დამორჩილებოდა სკოლაში არსებულ წესებს. 26-27 დეკემბერს სკოლის სხვა მუსლიმმა მოსწავლეებმა სოლიდარობა გამოხატეს თ.ბ-ის მიმართ და, პროტესტის ნიშნად, გაკვეთილებზე დასწრებაზე უარი განაცხადეს. სკოლის დირექტორი, სკოლაში შექმნილი სიტუაციის გადაჭრის ნაცვლად, დაპირისპირების მხარედ იქცა და მოსწავლეების წინააღმდეგ მუქარას/დასჯას მიმართა (მათ შორის, მე-12 კლასთან ჩატარებულ პირველივე გაკვეთილზე ხაზი გაუსვა თ.ბ-ისთვის საგანგებო გამოცდის დანიშვნის საჭიროებას); მოსწავლეები გააფრთხილა, რომ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის მათ სასამართლოს წინაშე მოუწევდათ პასუხის გაცემა; მასწავლებლებს, რომლებიც მე-12 კლასის მოსწავლეებს სავალდებულო გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სკოლის შენობაში უსასყიდლოდ ამზადებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, ასეთი საქმიანობა აუკრძალა; ოქროს მედლის კანდიდატ რამდენიმე მოსწავლეს განუცხადა, რომ მათი სკო-

⁷ სახალხო დამცველი, რეკომენდაცია (სსიპ ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციისათვის მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის თაობაზე, 2016, ხელმისაწვდომია: <https://emcrights.files.wordpress.com/2016/06/e183a0e18394e18399e1839de1839be18394e1839ce18393e18390e183aae18398e18390.pdf>.

ლის ოქროს მედლით დასრულება ეჭვქვეშ დგებოდა; მოსწავლეებს (მათ შორის, სხვა სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებს) სკოლის ავტობუსის მოსვლამდე საკლასო ოთახებში მოცდის საშუალებას აღარ აძლევდა). იმავდროულად, დირექტორი მუსლიმ მოსწავლეებს უკრძალავდა და საყვედურს უცხადებდა სოფელ მოხეში მდებარე ძველ საკულტო ნაგებობასთან ღია ცის ქვეშ მუსლიმების ორგანიზებულ ლოცვაში მონაწილეობის გამო.

ზოგადად, აღსანიშნავია 2014 წლიდან მოხეში მდებარე ისტორიულ შენობასთან დაკავშირებით მიმდინარე კონფლიქტში დირექტორის აქტიური ანტიმუსლიმური საჯარო პოზიციონირებაც, რაც მის რელიგიურ ნეიტრალობას დასაწყისშივე სადავოს ხდიდა.⁸

EMC წარმოადგენს სოფელ მოხეს საჯარო სკოლის მოსწავლეების ინტერესებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის, ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სახალხო დამცველის წინაშე. საქმეზე დისკრიმინაციული შევიწროების დადგენის გარდა, EMC სამინისტროს სპეციალური პოზიტიური ღონისძიებების გატარებას სთხოვს საჯარო სკოლაში რელიგიურ ნეიტრალიტეტზე, თანასწორობასა და მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული გარემოს შექმნის მიზნით.

საქმესთან დაკავშირებით, EMC ამტკიცებს, რომ თანასწორობის დაცვის გარანტიების საპირისპიროდ, სკოლის დირექციამ მუსლიმ მოსწავლეებს ღირსების შემლახავი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, მტრული და დამამინებელი გარემო შეუქმნა, რაც განათლების უფლებით სარგებლობისას, მუსლიმი მოსწავლეების მიმართ რელიგიური ნიშნით შევიწროება/დისკრიმინაცია იყო. ვერბალური ფორმით გამოხატულმა შევიწროებამ უფლების შეზღუდვის სახე მიიღო და მუსლიმი მოსწავლეები, რელიგიური კუთვნილების გამო, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა. სკოლის დირექტორის მოპყრობა, თავდაპირველად, ერთი მოსწავლის მიერ თავსაფრის ტარების ფაქტს უკავშირდებოდა, შემდგომში კი, თანაკლასელების სოლიდარობის გამო, ის თანაბრად გავრცელდა ყველა იმ მოსწავლეზე, ვინც მუსლიმი მოსწავლის მიერ თავსაფრის ტარების შეზღუდვას აპროტესტებდა.

2017 წლის 7 მარტს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და **თავსაბურავის მოხსნის თაობაზე მითითებისა და ამ საფუძველით სკოლაში ჩარიცხვაზე უარის გამო სავარაუდო შევიწროების ეპიზოდში დირექტორის პასუხისმგებლობა არ დაადგინა**. მეტიც, დეპარტამენტმა ინდივიდუალურ საქმეში კანონის დარღვევის მიღმა, ზოგადად, საჯარო სკოლების მიერ მოსწავლეებისთვის რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენების შეზღუდვის საკითხი შეაფასა. დეპარტამენტმა მიუთითა, რომ საჯარო სკოლებს, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, მსგავსი აკრძალვების დანესების ლეგიტიმური საფუძველი გააჩნიათ.

EMC-მ აღნიშნული გადაწყვეტილება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე გაასაჩივრა შემდეგი ძირითადი არგუმენტებით:

– დეპარტამენტის დასკვნა დისკრიმინაციის ფაქტის არარსებობის დასადასტურებლად უთითებს შეზღუდვის ნეიტრალურ ხასიათზე და აცხადებს, რომ მსგავსი აკრძალვა სკოლის ყველა, მათ შორის, ქრისტიან მოსწავლეზეც ვრცელდება, რაც მის დისკრიმინაციულ ბუნებას გამორიცხავს. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორის მიერ აშკარად გამოხატული რელიგიური შინაარსის სამოსის და სიმბოლიკის სასწავლო დროს აკრძალვა სკოლაში, სადაც მხოლოდ მუსლიმი და ქრისტიანი მოსწავლეები სწავლობენ, მისი **ფორმალური ნეიტრალურობის** მიუხედავად, არაპროპორციულ გავლენას ახდენს სწორედ მუსლიმი მოსწავლეების მიერ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაზე. მართლმადიდებელი მოსწავლეებისგან განსხვავებით, მუსლიმებისთვის **აშკარად გამოხატული** რელიგიური შინაარსის სამოსის (თავსაბურავის) ტარება დოქტრინალურ კავშირშია მათ რელიგიასთან. დეპარტამენტმა უგულვებლყო არაპირდაპირი დისკრიმინაციის სამართლებრივი ჩარჩო და შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი ზედაპირული და ფორმალური არგუმენტით გამორიცხა. ამავე დროს, თავსაბურავის ტარების აკრძალვის ფაქტის იზოლირებულმა შესწავლამ დეპარტამენტს არ მისცა შესაძლებლობა, აღნიშნული გარემოება მუსლიმი მოსწავლეების შევიწროების სხვა ფაქტებთან კავშირში განეხილა და მთლიანობაში გაეაზრებინა შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი. დასკვნაში დეპარტამენტი არ აფასებს საქმეზე EMC-ს მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც მოხეში, 2014 წელს გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტის დროს, საჯარო სკოლის ამჟამინდელი დირექტორის, ნათია რეხვიამშვილის საჯარო ანტიისლამურ განწყობებს აჩვენებს.

– დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულია, რომ მოხეს საჯარო სკოლის შინაგანაწესში რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით შეზღუდვა ან რეგულაცია არ იყო გათვალისწინებული. იმის მიუხედავად, რომ დეპარტამენტმა თავსაბურავის მოხსნის თაობაზე სკოლის დირექტორის მითითების ფაქტი არ გამორიცხა, მის კანონშესაბამისობასა და ამ შეზღუდვით რელიგიის თავისუფ-

⁸ <https://www.youtube.com/watch?v=JGYmKqJIT-s&feature=youtu.be>

ფლების უკანონო შეზღუდვის საკითხზე საერთოდ არ იმსჯელა. რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისთვის ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეზღუდვის გამართლებისთვის აუცილებელი იყო იმის დადასტურება, რომ შეზღუდვა განხორციელდა „კანონის საფუძველზე“, რაც დეპარტამენტს არ გაუკეთებია.

– დეპარტამენტის დასკვნა, შინაგანანესში პირდაპირი აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, ყურადღებას ამახვილებს თავად ასეთი აკრძალვის ბუნებაზე, რომელიც სკოლის (სამეურვეო საბჭოს) რეგულირების სფეროში შესაძლოა მომავალში მოექცეს. დასკვნის თანახმად, ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე, მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები, ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისა ან ძალადობისაკენ ნაქეზების საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე. შიდა აუდიტის დეპარტამენტი აღნიშნული ნორმის რელევანტურობას ასაბუთებს იმ არგუმენტით, რომ „სასკოლო სივრცეში (და არა მხოლოდ) მყოფ პირთა ნაწილი თავსაფრის ტარების თემას უკავშირებს სასკოლო სივრცის გარეთ მიმდინარე პროცესებს, კერძოდ, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიური დანიშნულების ისტორიული ობიექტის საკითხს.“ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროცესის შეფერხებისა და დაპირისპირების გამომწვევი მიზეზი სოფელ მოხეში სწორედ მუსლიმი მოსწავლისთვის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი გახდა და არა – პირიქით. ამასთან, რაიმე დაპირისპირების თავიდან აცილების ინტერესზე მსჯელობის დროს, სამინისტროს, პირველ რიგში, უნდა გაეთვალისწინებინა თავად დირექტორის ღია ანტიმუსლიმური განცხადებები და საჯარო აქტიურობა 2014 წელს, მოხეში გამოვლენილი კონფლიქტის დროს.

– ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მომავალში, თუ სკოლის სამეურვეო საბჭოს ექნება ნება და მიიღებს გადაწყვეტილებას სკოლაში რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით, აღნიშნული დანაშაული არ იქნება შესაბამისობაში საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან.

– ამასთან, საჩივარში EMC უთითებდა, რომ პრობლემური იყო უწყების მიერ გამოყენებული საერთაშორისო პრაქტიკის რელევანტურობა და რეცეფციის ვალიდურობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია თავად დასკვნაში მითითებული გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულყოფილი განმარტება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მასწავლებლისთვის თავსაფრის ტარების აკრძალვა და განმარტა, რომ ჰიჯაბის ტარება არის ინდივიდუალური გამოხატვა და არა – სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რელიგიური შინაარსის აქტი. ამასთან, სასამართლოს აზრით, თავსაფრის ტარება არ ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ნეიტრალიტეტს. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს რელიგიური და იდეოლოგიური ნეიტრალიტეტი აღქმული უნდა ყოფილიყო არა როგორც იზოლირებული დამოკიდებულება სახელმწიფოსა და რელიგიის მკაცრი სეპარაციის გაგებით, არამედ როგორც ღია და ყოვლისმომცველი, რწმენის თავისუფლების ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოფის საშუალება. ნეიტრალიტეტის ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ სკოლის პირობებში, სადაც საზოგადოება თავისუფლად არ ახორციელებს საკუთარი სოციალური არსებობის ორგანიზებას და რომელზეც სახელმწიფომ თავად იკისრა პასუხისმგებლობა.

ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Lautsi v. Italy (II)*. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საკლასო ოთახში ჯვარცმის დასაშვებად ცნობისას გაითვალისწინა ამავე სკოლაში თავსაფრის ტარების შესაძლებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა წევრი სახელმწიფოების კულტურულ და ისტორიულ მრავალფეროვნებაზე და იქვე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს კონვენციით აქვს დადგენილი სხვადასხვა რელიგიური თემის პატივისცემის ვალდებულება. ევროპული სასამართლოს მსჯელობით, ჯვარცმის ხილვადობა სკოლებში არ გულისხმობდა ქრისტიანობის სავალდებულო შესწავლას. გარდა ამისა, საჯარო სკოლები რელიგიურ ნეიტრალიტეტს იცავდნენ იმ მხრივაც, რომ, მაგალითად, მუსლიმი მოსწავლეებისთვის არ იყო აკრძალული თავსაბურავების ტარება და მოსარჩელების მიერ არც სკოლის წარმომადგენლების მხრიდან ყოფილა დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები აღწერილი.

ამდენად, ევროპული სასამართლოს აზრით, არც ჰიჯაბის ხილვადობა გულისხმობს მუსლიმური რელიგიის თავსმოხვევას. ამავე დროს, ჰიჯაბის ტარება, როგორც ამას გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც უსვამს ხაზს, რელიგიური გამოხატვის ინდივიდუალურ აქტს წარმოადგენს და ვერ გაუთანაბრდება ინდოქტრინაციას. ჰიჯაბის ტარება, როგორც ინდივიდუალური რელიგიური გამოხატვა, ცალსახად ვერც ქართული კანონმდებლობით შეფასდება „საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება[დ]“.

დეპარტამენტის დასკვნის ბოლოს აღნიშნულია, რომ თავსაფრის ტარების შეზღუდვა არსებობს ისეთ სახელმწიფოებშიც კი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები შეადგენენ. თუმცა, ამ

კუთხით დეპარტამენტი საერთაშორისო ინსტრუმენტების მიდგომების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ეთანხმება მოსაზრებას, რომ თავსაფრის ტარების შეზღუდვის აუცილებლობას დემოკრატიულ სახელმწიფოში, მოსახლეობის დომინანტი მუსლიმური იდენტობის გამო, შესაძლოა, სწორედ უმრავლესობის მიერ თავსაფრის ტარების ფაქტი იწვევდეს და არა – პირიქით. ამასთან, დეპარტამენტი, თავსაფრის ტარების შეზღუდვის მაგალითებზე საუბრისას, არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში თავად მუსლიმური თავსაფრისთვის მინიჭებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას (მაგალითად, თურქეთი, საფრანგეთი). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორივე ქვეყნის წინააღმდეგ განხილულ საქმეებში ამ ქვეყნებში სწორედ თავსაფრის აკრძალვის პოლიტიკურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. დეპარტამენტის მიერ მითითებულ საქმეზე *Leyla Sahin v. Turkey* დიდი პალატა ვრცელ განხილვას უთმობს თურქეთის კონსტიტუციით დადგენილი სეკულარიზმის მკაცრ რეჟიმს და კონკრეტულად თურქეთის სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული სისტემის შენარჩუნებისთვის ამ პრინციპის მნიშვნელობას. დიდი პალატა პირდაპირ უთითებს ბოლო წლებში თურქეთში რელიგიური სიმბოლოს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და ექსტრემისტულ ჯგუფებზე, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შარიათის კანონებისათვის ნორმატიული ძალის მინიჭებაზე საუბრობდნენ. ისიც ხაზგასასმელია, რომ *Sahin*-ის საქმეზე სასამართლო მხოლოდ ამ ფაქტორების ჩამოთვლის შემდგომ გადადის შეზღუდვის თანაზომიერების შემოწმებაზე და აქაც უთითებს, რომ შემოწმება ხდება ამ კონკრეტულ გარემოებებში თავსაფრის ტარების შეზღუდვის შესაძლო გამართლებაზე.

ზოგადი განათლების შესახებ კანონი უზრუნველყოფს საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის დაცვას, კერძოდ, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კრძალავს რელიგიური სიმბოლოების განთავსებას და ინდოქტრინაციას, ამავე დროს, ფართო მხარდაჭერას უცხადებს ინდივიდუალურ რელიგიურ გამოხატვას.

საქმე სახალხო დამცველსა და სამინისტროს პირველად 2016 წლის 29 დეკემბერს წარედგინა. მას შემდეგ, EMC-მ აღნიშნულ ორგანოებს საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის, ასევე, სკოლაში იდენტიფიცირებული დისკრიმინაციული შევიწროების სხვა ფაქტების გამო, კიდევ ორჯერ მიმართა. 2017 წლის 7 მარტს, განათლების სამინისტრომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა,⁹ რაც გასაჩივრდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, როგორც ზემდგომ თანამდებობის პირთან. მინისტრმა საქმის სათანადო განხილვა არ უზრუნველყო და საჩივარზე EMC-მ კვლავ შიდა აუდიტის სამსახურის ბუნდოვანი პასუხი მიიღო.

აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველმა, EMC-ის მიერ წარმოებულ სხვა 5 შემთხვევასთან ერთად, რომლებიც საჯარო სკოლებში რელიგიური დისკრიმინაციის, ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის ფაქტებს უკავშირდებოდა, გადაწყვეტილება მიიღო და დარღვევა დაადგინა. კერძოდ, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ თავსაფრის მოხდის თაობაზე მითითების ეპიზოდში თ.ბ.-ს ობიექტურად გაუჩნდა განცდა, რომ დირექტორის მითითების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მას სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით პრობლემა შეექმნებოდა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ თ.ბ.-სა და მის მშობელს 22 დეკემბერს განხორციელებულ ჩარიცხვასთან დაკავშირებით 23 დეკემბრამდე არ აცნობეს, რაც, შესაძლოა, სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან სწორედ მოსწავლეზე ზეწოლის მიზანზე მეტყველებდეს.

სახალხო დამცველი რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ განმარტებას აკეთებს სკოლაში რელიგიური ატრიბუტიკის ტარების შეზღუდვასთან დაკავშირებით და სრულად იზიარებს EMC-ის, როგორც განმცხადებლების, წარმომადგენლის არგუმენტებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შესაბამის დასკვნასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის შეფასებით, „თანამედროვე განათლების სისტემის მიზანს არა ადამიანთა მსოფლმხედველობრივი, მათ შორის, რელიგიური განსხვავებების გათანაბრება და მათი **ასიმილაცია**, არამედ, სწორედ ამ მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანის პიროვნების თავისუფალი და მრავალმხრივი განვითარების შემაფერხებელი ამგვარი იძულებითი გათანაბრება **თანასწორობის სამართლებრივ პრინციპთან თავად მოვიდოდა წინააღმდეგობაში.**“

რელევანტური კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის ვრცელი მიმოხილვის ფონზე, სახალხო დამცველი ადგენს, ერთი მხრივ, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, მეორე მხრივ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მისი „გამართლებ[ის]“ აბსოლუტურ უკანონობას, არაპროპორციულობას, არაგონივრულობასა და კონტრპროდუქტიულობას.

პირველ რიგში, სახალხო დამცველი, მუსლიმური თავსაბურავის ტარების რეგულირების განსაკუ-

⁹ შიდა აუდიტის დეპარტამენტი განმარტავს, რომ „ჩატარებული წარმოების შედეგად დადგენილი გარემოებებისა და საქმესთან დაკავშირებული პირების წერილობითი ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერებით არ დასტურდება დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი“ და, დადასტურების შემთხვევაშიც კი, ასეთი აკრძალვა შესაბამისობაშია ქართულ კანონმდებლობასთან.

თრებული სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მართებულად მიუთითებს სკოლის ჩაცმულობის რეგულირების უფლებამოსილების ფარგლებში საკითხის განხილვის დაუშვებლობაზე. მისი განმარტებით, პირის რელიგიური იდენტობის გამომხატველი ატრიბუტიკის ტარების საკითხის გად-ანწყვეტა იმ ნორმებით, რომლებიც სკოლაში ჩაცმულობის წესს განსაზღვრავს, რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობას დააკნინებდა. მოცემულ შემთხვევაში, თ.ბ-სთვის ჰიჯაბის ტარებაზე უარი, მისი შინაარსით, რელიგიურ იდენტობაზე უარის თქმას უტოლდებოდა.

რაც შეეხება თავსაბურავის ტარების წარმოჩენას სკოლაში დაპირისპირების შესაძლო მიზეზად, სახალხო დამცველი მას ვრცელ კონტექსტში ხედავს და საკითხისთვის „პოლიტიკური“ მნიშვნელობის მინიჭებად აფასებს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თავად დირექტორის აკრძალვას, და არა – თავსაბურავის ტარების ფაქტს, მოჰყვება სკოლაში დაპირისპირება. სახალხო დამცველი იხსენებს სკოლის დირექტორის მიერ მუსლიმური სამლოცველოს, მუსლიმი თემის წინააღმდეგ გამართულ გამოსვლებში მონაწილეობისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებს და ამით ხსნის ჰიჯაბის ტარების აკრძალვის განხილვის მცდელობას სოფელში არსებული დაპირისპირების კონტექსტში. იქვე, სახალხო დამცველი ეჭვს გამოთქვამს სკოლის მუსლიმი დირექტორისა და, შემდგომში, ასევე მუსლიმი მოვალეობის შემსრულებლის შეცვლის ფაქტზე სკოლაში, სადაც მოსწავლეების უმრავლესობა (90%) მუსლიმია.

EMC-ის სხვა განცხადების მაგალითზე, სახალხო დამცველმა უფრო ვრცლად იმსჯელა, ზოგადად, საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის მდგომარეობაზე და საჯარო განათლების მართვაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ორგანოს – განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, მოხეს საჯარო სკოლაში შექმნილი დისკრიმინაციის წამახალისებელი გარემოსა და წარდგენილი ზოგადი წინადადების შინაარსის გათვალისწინებით, შეისწავლოს მოხეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებლის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხი, ჩამოაყალიბოს ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო ერთიანი მიდგომა საჯარო სკოლებში რელიგიური იდენტობის გამომხატველი ატრიბუტიკის, მათ შორის, ტრადიციული მუსლიმური თავსაბურავის (ჰიჯაბის) ტარების საკითხზე, აღმოფხვრას სასკოლო სივრცეში რელიგიური ატრიბუტიკის არააკადემიური მიზნებით გამოყენების და რელიგიურ რიტუალებში სკოლის მოსწავლეების ჩართვის პრაქტიკა, მასწავლებლის ეთიკის კოდექსით პირდაპირ აკრძალოს მასწავლებლის მიერ დისკრიმინაციის განხორციელება, ასევე, მათ მიერ სიძულვილის ენის გამოყენება სკოლაში და მის ფარგლებს გარეთ, საჯარო სივრცეში, განახორციელოს სხვა პოზიტიური ღონისძიებები რელიგიური ან ეთნიკური თვალსაზრისით არაერთგვაროვან რეგიონებში უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.¹⁰

ა.ა. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსა და დირექტორის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2017 წლის 3 ოქტომბერს საიამ სახალხო დამცველს მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის ორი მუსლიმი მოსწავლე გოგონას სახელით. საქმე ეხება ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორის მხრიდან მოსწავლე გოგონასათვის სკოლის ტერიტორიაზე მუსლიმური რელიგიური სიმბოლოს – ჰიჯაბის ტარების აკრძალვას.

საია სახალხო დამცველთან ასაჩივრებს სკოლის შინაგანანესის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომელიც მოსწავლეს უკრძალავს სკოლაში ქუდის, კეპის, ბენდენის და თავსახვევის ტარებას.

შინაგანანესის ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლითაც აკრძალულია ირიბი დისკრიმინაცია (ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულების დაუშვებლობა).

საია მიიჩნევს, რომ თავსახვევის ამკრძალავი შინაგანანესი ნეიტრალურია რელიგიური სიმბოლოების მიმართ, თუმცა, ამ დებულების აღსრულების პრაქტიკა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მუსლიმ გოგონას ქრისტიან თანატოლებთან შედარებით. სკოლის შინაგანანესი მსგავს აკრძალვას არ აწესებს მოსწავლის მიერ საჯარო სკოლაში ქრისტიანული ჯვრის ტარებასთან დაკავშირებით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა დანესებულებამ, მათ შორის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლამ, თავისი შიდა რეგულაციები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან.

მომჩივნები სახალხო დამცველს სთხოვენ, რეკომენდაციით მიმართოს თელავის მუნიციპალიტეტის

¹⁰ იხ. სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/saqartvelos-saxalxo-damcveli-sadjaro-skolebshi-moswavleta-indoqtrinaciis-faqtebs-exmianebe.page> .

სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს, რომ შეიცვალოს შინაგანან-
ესი, რათა მუსლიმ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეთ, ატარონ ჰიჯაბი.

საიას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან
ეცნობა, რომ შესაძლებელია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ გადაიხედოს შინაგანანესი. სახალხო
დამცველს ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ამ დრომდე არ გამოუცია.

სავიზო-საბაჟო შემოწმებისას, მუსლიმი თემის წინააღმდეგ უფლებამოსილებების დისკრიმი- ნაციული გამოყენების საქმე (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმე ეხება საზღვრის კვეთის დროს სავარაუდო დისკრიმინაციულ პრაქტიკას, კერძოდ, პოლიციის
მიერ მუსლიმი თემის წარმომადგენელი განმცხადებლებისთვის (ჯ.ა. ნ.დ. და მ.ნ.) შექმნილ თვითნე-
ბურ ბარიერებს, გაუმართლებელ და ხანგრძლივ დაყოვნებას, რელიგიური კუთვნილების საკითხებზე
დაკითხვებსა და რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის განმეორებად შემთხვევებს. საპატრულო
პოლიციამ განმცხადებლები სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე ორი საათის განმავლობაში დააყოფ-
ნა, რელიგიურ კუთვნილებასა და თურქეთში ვიზიტის დეტალებთან დაკავშირებით დაკითხვა და პირადი
მოხმარებისთვის შემოტანილი რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევით დაემუქრა. განმცხადებლებ-
ის რელიგიური კუთვნილება და საქმიანობა საპატრულო შემოწმების საგანი მხოლოდ მათი მუსლიმად
იდენტიფიცირების შემდგომ გახდა. მათი დაყოვნებისა და გამოკითხვის პროცესში, სხვა პირები საზ-
ღვარს ყოველგვარი გართულებისა და შეჩერების გარეშე კვეთდნენ.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა, განმცხადებლების
გარდა, სხვა პირების იდენტიფიცირებაც მოახდინა, რომლებიც საზღვრის კვეთის დროს ანალოგიურ
დისკრიმინაციულ მოპყრობას დაექვემდებარნენ.

სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტი დაეთანხმა განმცხადებლებს და პირდაპირი
დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. ამით დადასტურდა, რომ საზღვრის კვეთის დროს მუსლიმი თემის
წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება (დაყოვნება, დაკითხვა, რელიგიური ლიტერატურის ჩამორთ-
მევა) მათი რელიგიური კუთვნილებით იყო განპირობებული და რაიმე ობიექტური/გონივრული
გამართლება არ ჰქონდა. სახალხო დამცველის შეფასებით, „საზღვრის კვეთისას, დაყოვნება, რელიგი-
ური ატრიბუტიკისა თუ ნივთების შემოტანაზე შექმნილი დაბრკოლებები ემსახურება მათში [მუსლიმ
თემში] რელიგიური აქტივობის დათრგუნვას.“ შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებები თვითნებურია
და დაუშვებელია უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში.

საქმე საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 23 თებერვალს წარედგინა. 2017 წლის 25 აპრილს,
სახალხო დამცველმა საქმეზე პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა და რეკომენდაციით მი-
მართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ „შემოსავლების სამსახურს“, უზრუნველყონ საბაჟო-გამშვებ
პუნქტებზე შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელებისას რელიგიური ნეიტრალიტეტის დაც-
ვა და შემომსვლელ-გამსვლელ პირთა სავიზო/საბაჟო კონტროლი ყოველგვარი დისკრიმინაციის გა-
რეშე. გამოვლენილი სისტემური პრობლემის საპასუხოდ, სხვა რეკომენდაციებთან ერთად, სახალხო
დამცველმა საჭიროდ მიიჩნია რელიგიური ნეიტრალიტეტისა და თანასწორობის საკითხებზე შესაბამი-
სი უწყებების თანამშრომლების ეტაპობრივი გადამზადება.

მ.ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წინააღმდეგ (საქმე მომზა- დებულია საიას მიერ)

მ.ა. არის ერთ-ერთი მუსლიმური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2017 წლის 14 ივნისს მ.ა-მ თბილისის
საქალაქო სასამართლოს მიმართა საქართველოს შსს-ს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წინააღმ-
დეგ.

2017 წლის მარტიდან დღემდე, მ.ა. საზღვრის კვეთისას 3-ჯერ დააყოვნეს და ჩაუტარეს პირადი და ბარ-
გის შემოწმება. ასევე, უსვამდნენ შეკითხვებს უცხო ენაზე არსებულ წიგნებთან დაკავშირებით. კერ-
ძოდ, ეკითხებოდნენ, წიგნები ხომ არ იყო რელიგიური შინაარსის. მ.ა. მიიჩნევს, რომ ყოველგვარი ახს-
ნა-განმარტების გარეშე საზღვარზე მისი დაყოვნება განპირობებული იყო რელიგიისა და რელიგიური
ორგანიზაციის წევრობის ნიშნით.

მ.ა. ითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას დისკრიმინაციული მოპყრობისთვის. საქმეს განიხილავს
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მას შემდეგ, რაც ეს საქმე გადაეგ-
ზავნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან.

ქობულეთში მუსლიმ მოსწავლეთა პანსიონატის საქმიანობისთვის დისკრიმინაციული ხელშეშლის საქმე (მომზადებულია EMC-ს მიერ)

2014 წლის 10 სექტემბრიდან ამ დრომდე, ქობულეთში მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებს და ხელს უშლის მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნასა და საქმიანობას. 2014 წლის 10 სექტემბერს, ადგილობრივმა მოსახლეობამ, მუსლიმი თემის შეურაცხყოფის მიზნით, პანსიონატის შესასვლელთან ღორის თავი დაკიდა, 15 სექტემბერს კი, პანსიონატის ადმინისტრაციას არ მისცა სასწავლო პროცესის დაწყების საშუალება და მუქარის გზით აიძულა შენობის დატოვება. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდგომ, ადგილობრივი მოსახლეობა პანსიონატში მუსლიმი თემის შესვლის პროცესს მკაცრად აკონტროლებს და მათ დაწესებულების გახსნის შესაძლებლობას არ აძლევს. მონმეთა განმარტებებით და სხვა მტკიცებულებებით დგინდება, რომ დომინანტი ჯგუფის მხრიდან განგრძობადი ძალადობრივი ქმედებებისა და მუქარის ფაქტების მიუხედავად, ადგილზე მუდმივად მობილიზებული პოლიცია პასიური დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა და მას არაფერი გაუკეთებია სამართალდარღვევის ფაქტების აღკვეთის, მუსლიმი თემის საკუთრების უფლებისა და გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისთვის.

2014 წლის ბოლოს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური სამართალწარმოების ფარგლებში, EMC-მ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. საქმეს EMC აწარმოებს პანსიონატის ადმინისტრაციის, თანამშრომლებისა და მოსწავლის მშობლის სახელით. მოპასუხე მხარეს წარმოადგენენ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სამი ფიზიკური პირი, რომლებიც, მოსარჩელეთა მტკიცებით, ადგილობრივი მოსახლეობის არამშვიდობიან შეკრებებს აორგანიზებდნენ და რეგულარულად ხელს უშლიდნენ პანსიონატის საქმიანობას. ძირითად სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონებით თავისუფლად სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონატის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, განგრძობითი დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა. გარდა ამისა, მოთხოვნას წარმოადგენდა რელიგიური ნიშნით განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაციის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის სიმბოლური თანხით – 1 ლარით ანაზღაურება.

მოსარჩელე მხარის მითითების თანახმად, მოპასუხე ფიზიკური პირების ხელშეშლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის შედეგად, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით (საკუთრების უფლება), პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით (განათლების უფლება) და მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) გარანტირებული უფლებები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა თითქმის ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. განხილვის ფარგლებში, მოსარჩელე მხარის შუამდგომლობით, გამოიკითხა დაახლოებით 40 მონმე, რომელთა დიდ ნაწილს პოლიციის ის თანამშრომლები წარმოადგენდნენ, რომლებიც, შსს-ს მიერ მონოდეზული ინფორმაციის თანახმად, კრიტიკულ ეპიზოდებში პანსიონატის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგეობდნენ. მონმის სტატუსით დაიკითხნენ ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადგილობრივი ოფისების წარმომადგენლები. მონმეთა დაკითხვის გარდა, სასამართლომ ასევე ადგილზე დაათვალიერა პანსიონატის ტერიტორია.

2016 წლის 19 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, მხოლოდ მოპასუხე ფიზიკურ პირებთან მიმართებით. მათ დაევალებათ განგრძობადი დისკრიმინაციის აღკვეთა და მორალური ზიანის ანაზღაურება – სიმბოლურად, 1 ლარის ოდენობით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია შსს-ს მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. წარდგენილი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ მათ წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ასევე გაასაჩივრა მოსარჩელე მხარემაც. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ კერძო პირების მიერ განხორციელებული განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის პარალელურად, შსს-სთვის, დისკრიმინაციული უმოქმედობის გამო, პასუხისმგებლობის განუსაზღვრელობა წინააღმდეგობრივი და პრობლემური იყო. მუსლიმი თემი თავისი უფლებებით სარგებლობას სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრიმინაციული, უმოქმედო პოლიტიკის გამო ვერ ახერხებდა. ცხადია, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად

შესრულების შემთხვევაში, კერძო პირების დისკრიმინაციული ქმედებები და მუსლიმი თემის უფლებების განგრძობადი შეზღუდვის ფაქტები აღიკვეთებოდა.

2016 წლის 28 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მოპასუხე ფიზიკური პირების სააპელაციო საჩივარი და ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მუსლიმი თემის მოთხოვნა, ძალაში დარჩა. მეორე მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე მხარის სააპელაციო საჩივარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (სასარჩელო მოთხოვნა შსს-ს წინააღმდეგ) განსჯადობით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაეგზავნა. სასამართლოს შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ არსებული დავის საგანი, არსებითად, ადმინისტრაციული პალატის განსჯად თემას წარმოადგენდა.

მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. უზენაესმა სასამართლომ წარდგენილი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. შესაბამისად, მოპასუხე ფიზიკური პირების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

რაც შეეხება საქმის იმ ნაწილს, სადაც მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2017 წლის 18 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა EMC-ის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სადავო ნაწილი, რომლითაც სასამართლომ არ დაადგინა შსს-ს მხრიდან უმოქმედობით განხორციელებული დისკრიმინაცია, ძალაში დარჩა. მითითებული განჩინება EMC-მ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

ახალი მეჩეთის მშენებლობა (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი – ორთა ჯამეს ისტორიული მეჩეთი მდებარეობს. აღნიშნული სივრცე მლოცველებს ვერ იტევს, რის გამოც, ყოველ პარასკევს, ჯუმას ლოცვის დროს, რამდენიმე ასეულ ადამიანს (500-დან 1000-მდე მლოცველს) ქუჩაში, არასათანადო პირობებში უწევს ლოცვა. სადღესასწაულო ლოცვების, ზაირამის დროს, მეჩეთში, ლოცვის მიზნით, 3000-დან 5000-მდე ადამიანი გროვდება. ასეთ დღეებში მრევლის დიდი ნაწილი, ათასობით მუსლიმი, იძულებულია, ნვიძაში, თოვლსა და ქარში ქუჩაში ილოცოს. ასეთი სივიწროვე და გარემო ფაქტორები მუსლიმი ქალების დიდ ნაწილს სრულად ართმევს ლოცვის აღსრულების საშუალებას. მუსლიმი თემი ბათუმში ახალი მეჩეთის საჭიროებაზე უკვე არაერთი წელია საუბრობს. ახალი მეჩეთის ასაშენებლად სახელმწიფოსაგან მიწის ნაკვეთის გამოყოფას მუსლიმი თემი 1990-იანი წლებიდან აქტიურად ითხოვს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ, მუსლიმი თემს რამდენიმე საჯარო დაპირება მისცა მეჩეთის აშენების თაობაზე. თუმცა, 2014 წელს ერთ-ერთი მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციის – სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ სასულიერო პირების მცირე ნაწილმა (სულ 23 კაცი) ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლითაც ისინი ბათუმში, ახალი მეჩეთის მშენებლობის ალტერნატივად, სამმართველოს რეზიდენციისა და მედრესესთვის შენობის გადაცემას ითხოვდნენ. აღნიშნული შეთანხმების მიღწევა დაემთხვა მთავრობის მიერ ოთხი რელიგიური ჯგუფის (მუსლიმი თემი, ებრაული თემი, კათოლიკური ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია) დაფინანსების პრაქტიკის ამუშავებას. დაფინანსებიდან ყველაზე დიდ წილს მუსლიმი თემი იღებს, თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი კი (75%), სასულიერო პირების ხელფასებზე გამოიყენება. მემორანდუმის საფუძველზე, ხელისუფლებამ საკუთარი დაპირების შესრულებაზე ოფიციალურად თქვა უარი და განაცხადა, რომ ბათუმში ახალი მეჩეთი აღარ აშენდებოდა. სამმართველოსა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად, რეალურად, მუსლიმი თემის საჭიროება და სურვილი, აშენებულიყო ახალი მეჩეთი ბათუმში, არ შეცვლილა. აღნიშნული დადასტურდა მუსლიმი თემის მიერ 12000 ხელმოწერის შეგროვებითაც ახალი მეჩეთის აშენების მოთხოვნით.

2016 წლის თებერვალში ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა ხელმოწერები (ხელმოწერებს შორის იყვნენ სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ სასულიერო პირები) გადაუგზავნა სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის, აჭარის მთავრობას, ბათუმის მერიასა და საქართველოს მთავრობას და ქალაქის ცენტრში, ხელმისაწვდომ ადგილას, მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემის მოთხოვნით მიმართა, თუმცა, მუსლიმი თემს ბათუმში მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის გამოყოფაზე უარი ეთქვა.

მუსლიმი მრევლის თვითორგანიზებითა და წარმომადგენლობით დარეგისტრირდა ორგანიზაცია ა(ა) იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი“. მაშინ, როდესაც სახელმწიფომ მუსლიმი თემს არ გა-

დასცა მეჩეთის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი, 2016 წლის 7 სექტემბერს მუსლიმმა თემმა, მრევლის შემონიშნულობების საფუძველზე, განვადებით შეისყიდა ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთი ახალი მეჩეთის ასაშენებლად.

2017 წლის 8 თებერვალს ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ განცხადებით მიმართა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ფონდის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის 1-ლი სტადიის გაცემა, საკულტო ნაგებობის – მეჩეთის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა მოითხოვა.

2017 წლის 4 მაისს, რამდენიმეთვიანი ადმინისტრაციული წარმოების შემდგომ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოსცა ბრძანება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, მითითებული აქტის საფუძველზე, მოსარჩელეს, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 მაისის ბრძანების საფუძველზე, უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე.

2017 წლის 10 ივნისს ა(ა)იპ „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“, მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინა. მუსლიმი თემის ინტერესებს სასამართლოში ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) იცავენ. სარჩელის ძირითადი მოთხოვნაა მუსლიმი თემის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გაცემული უარყოფითი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალება და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა.

მშენებლობის ნებართვის 1-ლი სტადიის გაცემის თაობაზე მერიის სადავო გადაწყვეტილებაში ძირითადად ორი არგუმენტი გამოყენებულია: 1. სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6), რომელიც არის მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა და მისი განაშენიანების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლები. მერიის მტკიცებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე კვარტლის მყარად ჩამოყალიბებული განაშენიანება არ უნდა შეიცვალოს და მისი სამომავლო განვითარება უნდა გაგრძელდეს იმ ზონაში არსებული დომინირებული სახეობის – საცხოვრებელი სახლების მშენებლობით; 2. საკულტო ნაგებობას ესაჭიროება განსაკუთრებული ინფრასტრუქტურა გადაადგილების, ავტოტრანსპორტის მოძრაობის, გაჩერების და სხვა თვალსაზრისით, რომლის მოწყობის შესაძლებლობა მითითებულ მიწის ნაკვეთზე რთულია.

მოსარჩელე მხარის შეფასებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის არგუმენტები აშკარად დაუსაბუთებელი და უკანონოა. კერძოდ, ადგილობრივმა თვითმმართველობამ საცხოვრებელ ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე დისკრეციული უფლებამოსილება კანონის მოთხოვნების დარღვევით გამოიყენა და ქალაქში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებულ მწვავე სოციალურ საჭიროებას მხოლოდ ქალაქგანვითარების აბსტრაქტული ინტერესი დაუპირისპირა, რითაც, მოცემულ შემთხვევაში, რელიგიის თავისუფლების დაცვის აღმატებული საჯარო ინტერესი სრულად უგულებელყო.

მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები, მითითებულ ზონაში ასევე დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.¹¹ აღსანიშნავია, რომ სწორედ მითითებული დათქმის შესაბამისად, კანონმდებლობის თანახმად, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, საცხოვრებელ ზონა 6-ში, დაშვებულია „საეკლესიო ობიექტების“ მშენებლობა. „საეკლესიო ობიექტი“ უნდა განიმარტოს არადისკრიმინაციულად და ნეიტრალურად, რომელიც, ეკლესიის გარდა, სხვა სახის საკულტო ნაგებობებსაც მოიაზრებს. თავის მხრივ, ასეთი დანიშნულების ობიექტის მშენებლობისთვის საჭიროა სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღება.¹² სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას კი, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის წარდგინების საფუძველზე, იღებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.¹³ აღსანიშნავია, რომ კომისია არის საკონსულტაციო ორგანო, მისი გადაწყვეტილება არ წარ-

¹¹ „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების მე-12 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹² ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N50 დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹³ 2012 წლის 14 სექტემბრის ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

მოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.¹⁴ შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა, რომლითაც საცხოვრებელ ზონა 6-ში შესაძლებელია საკულტო ნაგებობის აშენება, უშუალოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით ხდება.

ამასთან, მოსარჩელე მხარე უთითებს სადავო გადაწყვეტილების დისკრიმინაციულ ხასიათზე და სასამართლოს მხრიდან რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენასა და აღმოფხვრას მოითხოვს. მოსარჩელე მხარე მოუწოდებს სასამართლოს, მხედველობაში მიიღოს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგადი პოლიტიკური კონტექსტი. მათ შორის, გასათვალისწინებელია საკულტო ხასიათის შენობა-ნაგებობის გახსნასა და მშენებლობასთან დაკავშირებით ბოლო წლებში მუსლიმი თემის მიმართ გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობის, დევნისა და სახელმწიფოს არასაკულტო, დისკრიმინაციული პოლიტიკის პრობლემაც. ამასთან, ქალაქ ბათუმში, მათ შორის საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს, არაერთი საეკლესიო ნაგებობაა აშენებული. ზოგიერთ შემთხვევაში, მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი მართლმადიდებელ ეკლესიას სწორედ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გადასცა. ამის პარალელურად, სახელმწიფოს მიერ მუსლიმი თემისთვის საკუთარი სახსრებით შეძენილ მიწის ნაკვეთზე მეჩეთის მშენებლობის სამართლებრივი შესაძლებლობის შეზღუდვა რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციას წარმოადგენს.

მუსლიმი თემის სახელით წარდგენილი სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო. საქმესთან დაკავშირებით ჯერჯერობით სხდომა არ ჩატარებულა.

იეჰოვას მოწმის სამსახურიდან გათავისუფლების საქმე (მომზადებულია EMC-ს მიერ)

ს.რ. 2012 წლიდან დასაქმებული იყო ერთ-ერთ მაღაზიათა ქსელში, სხვადასხვა პოზიციაზე. დასაქმების დღიდან თანამშრომლების დიდი ნაწილისთვის ცნობილი იყო მისი რელიგიური იდენტობის (იეჰოვას მოწმე) შესახებ და ამის გამო სამსახურში მას პრობლემა არასდროს შეჰქმნია. ამ პერიოდის განმავლობაში, დაკისრებული მოვალეობების კარგად შესრულების გამო, მის მიმართ რამდენიმეჯერ იყო გამოყენებული ნახალისების სხვადასხვა ღონისძიება (დანინაურება და ა.შ).

ს.რ-ს სამსახურში პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც იმ ფილიალის მენეჯერი შეიცვალა, რომელშიც ის იყო დასაქმებული. მენეჯერმა, დანიშვნის შემდგომ, ს.რ-ს მიმართ დაიწყო დაუსაბუთებელი შენიშვნების გამოთქმა, რომელიც არსებითად განპირობებული იყო მენეჯერისთვის დასაქმებულის რელიგიური იდენტობის მიუღებლობით. მენეჯერი სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ცდილობდა ს.რ-ისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მას აიძულებდა სამსახურის საკუთარი ნებით დატოვებას, ან დამსაქმებელს შრომითი ხელშეკრულების სხვა საფუძვლით შეწყვეტის შესაძლებლობას მისცემდა.

მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობის პერიოდში ს.რ-ის მიმართ არცერთი დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა, ახალი მენეჯერის დანიშნიდან ერთ თვეში, 2016 წლის აგვისტოში, დასაქმებულს ოთხი დისციპლინური სახდელი დაეკისრა. ამის გამო, საბოლოოდ, მასთან ცალმხრივად შეწყდა შრომითი ხელშეკრულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კოდექსის თანახმად, დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, თუკი დასაქმებულის მიმართ, ბოლო 1 წლის განმავლობაში, უკვე გამოყენებულა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.

2016 წლის 29 ოქტომბერს, EMC-ის იურისტების წარმომადგენლობით, ს.რ-მ დამსაქმებლის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. იგი მოითხოვდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. სასარჩელო მოთხოვნას, შრომითი უფლებების დაცვასთან ერთად, წარმოადგენდა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა და დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება სიმბოლური 1 ლარის ოდენობით.

მას შემდეგ, რაც სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, დამსაქმებელმა ს.რ-ის საქმის მორიგებით დასრულება შესთავაზა. შეთავაზების თანახმად, სარჩელის გამოსმოების სანაცვლოდ, დამსაქმებელი

¹⁴ 2012 წლის 14 სექტემბრის ქ. ბათუმის საკრებულოს დადგენილება „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი.

მას გადაუხდოდა ნახევარი წლის ხელფასს. ბენეფიციარი, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე იქიდან გამომდინარე, რომ საქმე მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო გარკვეულ რისკებს შეიცავდა (საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები მხოლოდ მონმეთა ჩვენებების საფუძველზე დასტურდებოდა, რომლებიც არ იყვნენ თანახმა, დამსაქმებლის სანინააღმდეგო ჩვენება მიეცათ), დათანხმდა მორიგების აღნიშნულ პირობებს და სარჩელი გამოიხმო.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მთავრობის სავარაუდო დისკრიმინაციული უარი (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმე ეხება, დაპირების მიუხედავად, ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების (საქართველოს მთავრობის, აჭარის ა/რ მთავრობის, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს) უარს და, ბათუმში ახალი მეჩეთის სანაცვლოდ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთან არარელევანტურ ალტერნატივაზე (სამმართველოსთვის მედრესეს და რეზიდენციის შენობების გადაცემა და ორთა ჯამეს ისტორიული შენობის რეკონსტრუქციისა და გაფართოების ინიციატივა) შეთანხმებას, რომელიც არ ხსნის ახალი მეჩეთის რეალური საჭიროების საკითხს.

სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის დიდი მასშტაბის უძრავი ქონების გადაცემის არასაკუთარული პრაქტიკის გათვალისწინებით,¹⁵ რომელიც რესტიტუციის პოლიტიკის მიღმა მიმდინარეობს, მუსლიმი თემისთვის ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე ფაქტობრივი უარი, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ქართველი მუსლიმი თემის მიმართ სახელმწიფოს განსხვავებულ მოპყრობას წარმოაჩენს.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი აერთიანებს, მინიმუმ, 12000 მუსლიმს, მათ შორის, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ ინდივიდუალურ სასულიერო პირებს. ჯგუფი თვითორგანიზებულად ცდილობს მეჩეთის მშენებლობის პროცესის წარმართვას. ხელისუფლებას ამდენი ხნის განმავლობაში, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე გაკეთებული საჯარო დაპირების მიუხედავად, არ წარმოუდგენია მისი უმოქმედობის დამაჯერებელი, სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესით გამყარებული დასაბუთება. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებების შესაბამისად, უძრავი ქონების გადაცემის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს, სახელმწიფომ განუხრელად უნდა დაიცვას თანასწორობის პრინციპი.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საჭიროებასა და სახელმწიფოს მიერ საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებაზე მიუთითებენ საქართველოს სახალხო დამცველი, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები (მათ შორის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის ევროპული კომისია,¹⁶ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი¹⁷) და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.¹⁸

საქმე საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 26 ოქტომბერს წარუდგინა. 2017 წლის 24 იანვარს EMC-მ სახალხო დამცველს დამატებითი მტკიცებულებები წარუდგინა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიზნით, მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის 2006 წლიდან 2016 წლის ჩათვლით გადაცემული მიწის ნაკვეთების შესახებ. თანასწორობის დეპარტამენტს გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

წყალარინების სისტემასთან ქობულეთის პანსიონატის მიერთებაზე გამგეობის დისკრიმინაციული უარი (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმე (იხ. ქობულეთის საქმე)¹⁹ ეხება, ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან ორგანიზებული (თვეების განმავლობაში მიმდინარე) ძალადობრივი წინააღმდეგობის ფონზე და ამ საბაბით,

¹⁵ რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკის კვლევა (2014 - 2015), ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2016/07/16/emc-101/>.

¹⁶ ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-ENG.pdf>

¹⁷ მოსაზრება ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680590fb5>

¹⁸ <http://www.state.gov/j/drl/rls/irf/religiousfreedom/index.htm?year=2015&dclid=256191#wrapper>

¹⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის სექტემბერში მუსლიმური პანსიონატის გახსნისთვის გაწეული წინააღმდეგობის ფაქტებზე ფიზიკური პირების მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. სასამართლომ EMC-ის არგუმენტაცია შსს-ის პასუხისმგებლობის ნაწილში არ გაიზიარა და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

შპს „ქობულეთის წყლის“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის²⁰ უმოქმედობას – უარს მუსლიმური პანსიონატის გახსნისთვის აუცილებელ სამუშაოებზე, კერძოდ, წყალარინების სისტემასთან მიერთებაზე. აღნიშნული საქმე საანგარიშო პერიოდში განიხილა სახალხო დამცველმა.

დისკრიმინაციის განმასხვავებელი პირების მიმართ სახელმწიფოს შემწყნარებლობა მიუთითებს სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მოტივების გაზიარებასა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების შეუსრულებლობაზე.

სახალხო დამცველი იზიარებს განმცხადებლების პოზიციას, დეტალურად მიმოიხილავს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების არსს და მიიჩნევს, რომ „ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობას შორის მშვიდობის შენარჩუნების არჩეული გზით მხოლოდ მუსლიმი თემის წარმომადგენლები ზარალდებიან, ვინაიდან დომინანტი რელიგიური ჯგუფის სურვილის საფუძველზე, თემი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას, მათ საკუთრებაში არსებულ შენობაში რელიგიის თავისუფლების რეალიზაცია მოახდინონ სწავლების გზით.“ სახალხო დამცველი დამატებით აღნიშნავს, რომ „2 წლის განმავლობაში ხელისუფლებას არ ჰქონია კონფლიქტის მოგვარების მიზნით პოზიტიური ღონისძიებების გატარების მცდელობა“. ამის მაგალითად ომბუდსმენს ადგილობრივი მოსახლეობის სწორად ინფორმირების ან სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულების შეუსრულებლობა მოჰყავს.

საქმე საქართველოს სახალხო დამცველს 2016 წლის 27 ივლისს წარედგინა. 2016 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „ქობულეთის წყალს“, რათა მან დაუყოვნებლივ ჩაატაროს წყალარინების სისტემასთან პანსიონატის მიერთებისთვის საჭირო სამუშაოები; ასევე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რათა მან სამართალდამცავ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია და ხელი შეუწყოს აღნიშნული სამუშაოების განხორციელებას. ამასთან, სახალხო დამცველმა ზოგადი რეკომენდაციით მიმართა მუნიციპალიტეტს, რომ მან უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები რელიგიური ჯგუფების თანასწორობის უფლების დაცვა, მათ შორის, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გზით. მიუხედავად სახალხო დამცველის 2016 წლის 19 სექტემბრის რეკომენდაციისა, წყალარინების სისტემასთან პანსიონატის მიერთება არ მომხდარა. ამის მიზეზი მოსახლეობის მიერ დამყარებული დე ფაქტო კონტროლი გახლავთ, რაც სახელმწიფო უწყებების, ამ შემთხვევაში, შპს „ქობულეთის წყლისა“ და გამგეობის დამორჩილებაში გამოიხატა.

1.7. შეზღუდული შესაძლებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში შეზღუდული შესაძლებლობა პირდაპირ არ არის მოხსენიებული. საქმეში „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შესაძლებელია, წარმოადგენდნენ „სოციალურ ჯგუფს“, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციის მე-14 მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული დისკრიმინაციის კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „გონივრული მისადაგება“ გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ მე-2 და მე-5 მუხლების თანახმად, კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს.

²⁰ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შსს-ის ქმედებების შეფასება სცდებოდა სახალხო დამცველის კომპეტენციას, რადგან სავარაუდოდ დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავის ფარგლებში, მოსარჩელები შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობის შეფასებას მოცემულ ეპიზოდთან დაკავშირებითაც ითხოვდნენ.

ვ.კ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2017 წლის 9 აგვისტოს სახალხო დამცველს საჩივრით მიმართ მოქალაქე ვ.კ-მ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ ვ.კ. არის უსინათლო. სწორედ ამ საფუძვლით, 2000 წლის 26 ოქტომბერს დაუდგინა პირველი ჯგუფის ინვალიდობა და დაენიშნა შესაბამისი პენსია (დღეისათვის ეს არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის პენსია). 2011 წელს ვ.კ-მ განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაცია. სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ბენეფიციარის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად, 2011 წლის აგვისტოდან დარეგისტრირდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მიენიჭა სოციალურად დაუცველის სტატუსი, რის საფუძველზეც, სარგებლობს გარკვეული შეღავათებით.

სააგენტოს უფლებამოსილი პირი რამდენჯერმე იყო მისული ვ.კ-ს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. ყოველ ჯერზე, დეკლარაციის შევსებისას, ვ.კ-მ, როგორც ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, დეტალურად აღუწერა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური აგენტის მიერ დასმულ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა. მათ შორის, მიუთითა რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სტავროპოლის მხარის ქალაქ კისლოვოდსკში დანიშნული პენსიის შესახებ. დეკლარაციის შევსების შემდგომ, უსინათლობის გამო, არ მიეცა შესაძლებლობა, პირადად გასცნობოდა სოციალური აგენტის მიერ დეკლარაციაში მითითებულ ინფორმაციას. სოციალურმა აგენტმა თვითონ წაუკითხა დეკლარაციაში შეტანილი ყველა მონაცემი და, ნდობის საფუძველზე, ვ.კ-მ ხელი მოაწერა. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ სოციალურ აგენტს სრულყოფილად არ შეუვსია დეკლარაცია, კერძოდ, არ შეუტანია მონაცემი რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სტავროპოლის მხარის ქალაქ კისლოვოდსკში დანიშნული პენსიის შესახებ, რის გამოც, თითქოს ყალბი/არასწორი მონაცემები მიანოდა სააგენტოს უფლებამოსილ პირს. ამ საფუძვლით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 10 ივლისის ბრძანებით, გაუქმდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაცია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და ისე მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანება განსაზღვრავს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესს (სადაც დეტალურად არის განერილი დეკლარაციის შევსების წესი), კერძოდ, დეკლარაციის შევსების დასრულების შემდგომ ოჯახის უფლებამოსილი პირის ხელმოწერის აუცილებლობას, რაც ადასტურებს, რომ ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციაში ასახულია სრულად, შეესაბამება სიმართლეს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე. უსინათლობის გამო, ბენეფიციარს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გასცნობოდა დეკლარაციაში მითითებულ ინფორმაციას. აღნიშნული ბრძანება არ მოიცავს დეკლარაციის გაცნობის განსხვავებულ წესებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

ეს წესი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი და ნეიტრალურია, არ არის გონივრულად მისადაგებული მხედველობის არმქონე პირების საჭიროებებთან, რის გამოც, მომჩივანი სახალხო დამცველისგან ითხოვს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას.

PHR ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ

2017 წლის 24 აპრილს PHR-მა განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს. ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის №7 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან კომუნალური გადასახადები უფინანსდებოდათ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს. შესაბამისად, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ჭიათურის მუნიციპალიტეტში და არ არიან უსინათლონი, ერთმევათ აღნიშნული სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება.

სოციალური დაცვის უფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა, რომელიც გარანტირებულია ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. ამ დროს კი, ჭიათურის მუნიციპალიტეტმა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან უსინათლონი, დაანება შეზღუდვა, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ სოციალური დახმარების უფლებით სარგებლობას. განსახილველ შემთხ-

ვევაში უსინათლო პირები და ის პირები, რომლებიც არ არიან უსინათლოები, მიჩნეულნი უნდა იყვნენ არსებითად თანასწორებად, ვინაიდან მათ აერთიანებთ საერთო სტატუსი – მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც ერთი სტატუსის მატარებელ ხალხს შორის ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომა, სახეზეა განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ, ხოლო არათანაბარ მოპყრობას არ აქვს ობიექტური გამართლება.

PHR სახალხო დამცველისაგან ითხოვდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის იმგვარი რეკომენდაციის შემუშავებას, რომლითაც სოციალური დახმარებით სარგებლობა თანაბრად შესაძლებელი იქნებოდა როგორც მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებისთვის, ასევე სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

2017 წლის 25 სექტემბერს სახალხო დამცველმა საქმეზე გამოსცა რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული ღირსების უფლების დარღვევას. სახალხო დამცველის თქმით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული ადამიანის ღირსება და პატივი მჭიდროდ უკავშირდება სათანადო ცხოვრების დონის არსებობას. სახალხო დამცველმა ასევე მიუთითა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის 28-ე მუხლის მეორე პუნქტზე, რომლითაც გარანტირებულია შშმ პირების სოციალური დაცვის უფლება.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არ იყვნენ უსინათლოები, იყვნენ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების არსებითად თანასწორნი. ამის მიუხედავად, ჭიათურის საკრებულოს ნორმატიული აქტით ხდებოდა განსხვავებული მოპყრობა – კომუნალური გადასახადი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უნაზღაურდებოდათ მხოლოდ უსინათლო პირებს და არა – ყველა სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოემოხა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, გადადის მოპასუხე მხარეზე. დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, როდესაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება.

ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით ჭიათურის საკრებულოს მიერ სახალხო დამცველისთვის გაგზავნილი პასუხის თანახმად, უსინათლო პირებს უპირატესობა მიენიჭათ იმის გამო, რომ ეს კატეგორია წარმოადგენს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თითქმის მესამედს. მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, ჭიათურის საკრებულო გეგმავდა მომავალში კომუნალური გადასახადის დაფინანსებას სხვა ბენეფიციარებისთვისაც.

ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობა ვერ გამართლებს თანაბარ მდგომარეობაში მყოფ დაუცველ პირთა ჯგუფში პრიორიტეტების გამოყოფას და განსხვავებულ მოპყრობას. ამდენად, სახელმწიფომ გონივრულ ვადაში უნდა უზრუნველყოს სოციალური ბენეფიციტით სარგებლობა ყველა იმ პირისათვის, ვისაც ისეთივე სტატუსი აქვს, როგორც პრიორიტეტით გამოყოფილ კატეგორიას.

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არ არის სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის ნასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ. ამდენად, შეზღუდული შესაძლებლობის პირების სოციალური დახმარების მიმღებთა სამიზნე ჯგუფად გამოყოფა, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, თავისთავად დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში პრიორიტეტული ჯგუფის გამოყოფა თანაბარ მდგომარეობაში მყოფი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს შორის, რომელთაც მეტ-ნაკლებად მსგავსი საჭიროებები აქვთ, განსაკუთრებით, რეგიონში ფინანსური დახმარების კუთხით, ვერ იქნება გამართლებული მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური სახსრების ნაკლებობით.

სახალხო დამცველისათვის ასევე ბუნდოვანი დარჩა, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა პირებისგან განსხვავებით, რა ფინანსური საჭიროება გააჩნდათ უსინათლოებს. ამასთან დაკავშირებით ჭიათურის საკრებულოს სახალხო დამცველისათვის სათანადო განმარტება არ

წარუდგენია. შესაბამისად, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებული საშუალება არ იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული და დაადგინა, რომ საკრებულოს გასაჩივრებული დადგენილება დისკრიმინაციულია.

სახალხო დამცველმა ქიათურის საკრებულოს მოუწოდა, გონივრულ ვადაში უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისთვის კომუნალური გადასახადების დასაფარად ფინანსური სახსრების გამოყოფა.

ამ დრომდე უცნობია ქიათურის საკრებულოს პასუხი აღნიშნულ რეკომენდაციაზე.

PHR იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ

2016 წლის 22 ნოემბერს PHR-მა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ სახალხო დამცველს საჩივრით მიმართა. მხარდაჭერის მიმღებ პირს, სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩაუტარდა ფსიქოსოციალური ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც, მას გარკვეულ სფეროებში მხარდაჭერი ესაჭიროებოდა. ექსპერტიზის შეფასებას არ დაეთანხმა ორგანიზაცია PHR, ვინაიდან მისი აზრით, ექსპერტიზის შეფასება არ ითვალისწინებდა მხარდასაჭერი პირის მაღალფუნქციურ შესაძლებლობებს. მხარდასაჭერი პირი არის თემის აქტიური წევრი, რომელიც სრულფასოვნად ინტეგრირებულია საზოგადოებაში და მუშაობს ადგილობრივ კავშირში. ორგანიზაცია შეეცადა, მოეძიებინა ალტერნატიული ექსპერტული შეფასების ორგანო, თუმცა, აღნიშნული შეფასების განხორციელებაზე უარი განაცხადა ოცამდე პროფესიონალმა, მათ შორის, ათმა ფსიქიატრმა, რის გამოც, შეუძლებელი გახდა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება.

PHR-ის აზრით, ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების საშუალება, ხოლო სასამართლოს მხრიდან ავტომატურად ხდება სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნის გათვალისწინება, შეიცავს დისკრიმინაციული მოპყრობის ნიშნებს.

სახალხო დამცველმა აღნიშნული პრაქტიკა დისკრიმინაციის წამახალისებლად მიიჩნია და 2017 წლის 21 ივნისს გამოსცა ზოგადი წინადადება, რომელშიც აღნიშნულია: სასამართლოების მიერ ექსპერტიზისათვის დასმული კითხვები არ არის ზუსტი და ექსპერტს სთხოვს არა კონკრეტულ სფეროსთან მიმართებით პირის ინდივიდუალური საჭიროების შეფასებას მხარდაჭერის ხარისხისა და ინტენსივობის დადგენის მიზნით, არამედ, ზოგადად, პირის ფსიქოსოციალური საჭიროების დადგენას. აღნიშნული აჩვენებს სასამართლოს მხრიდან ფორმალურ მიდგომას. შესაბამისად, ექსპერტიზის ბიუროს დასკვნებიდან არ იკვეთება კონკრეტული პირის ფსიქოსოციალური მდგომარეობისა და ცალკეული უფლებებით დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობას შორის კავშირი.

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ექსპერტიზის ბიუროს დასკვნები და, შემდგომში, ამ დასკვნების საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები პირისთვის მხარდაჭერის დანიშნის საჭიროებისა და სფეროების შესახებ, არ არის დაფუძნებული კონკრეტული პირის საჭიროებებზე. დასკვნების უმრავლესობაში ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ პირს მხარდაჭერი ესაჭიროება „ყველა სფეროში“. ის ფაქტი, რომ არ ფასდება პირის ინდივიდუალური საჭიროებები, ვლინდება იმაშიც, რომ მას ისეთი უფლებებით სარგებლობაში ეშლება ხელი, რომლებიც, შესაძლოა, არ გამოდინარეობდეს ინდივიდუალური შემთხვევიდან. კვლევის თანახმად, მხარდაჭერის ინსტიტუტთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა შაბლონურია და, ძირითადად, ეფუძნება ექსპერტიზის დასკვნის ციტირებას, რომელიც თავის მხრივ აბსოლუტურად შაბლონურია.

მაშინ, როდესაც პირს წართმეული აქვს უფლება, საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილებები და ხდება მისი ნების სრულად ჩანაცვლება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება აღიქვან, როგორც „ობიექტები“, ხოლო როდესაც ისინი არიან გადაწყვეტილების მიღების ცენტრში და ხდება მათი ინტერესების გათვალისწინება, ისინი იქცევიან „სუბიექტებად“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის საჭიროებისადმი ერთნაირი, შაბლონური მიდგომა არ არის გამართლებული. სასამართლოსა და ექსპერტიზის ბიუროს მიერ პირის ინდივიდუალური საჭიროებების უგულვებელყოფა მხარდაჭერის საკითხის განხილვისას, დაბრკოლებას უქმნის ყველა მცდელობას, მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განხილვა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, ხელს უწყობს დისკრიმინაციის წამახალისებელი, მასტიგმატიზებული გარემოსა და განწყობების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პირთა მიერ თავიანთი ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობას.

ზოგადი წინადადებით სახალხო დამცველი საერთო სასამართლოებს სთხოვს, დადგინდეს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო ვალდებული იქნება, მხარდასაჭერი სფეროები და ფარგლები განსაზღვროს პირის ინდივიდუალური ფსიქოსოციალური საჭიროებიდან და მისი ინტერესებიდან გამომდინარე; ასევე, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ეთხოვა, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შეფასებისას გამოიყენოს ინდივიდუალური მიდგომა.

PHR სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ

2017 წლის 7 აგვისტოს PHR-მა საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე მოცემულია სტატისტიკური ინფორმაცია, სადაც მე-7 პუნქტში – „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა“ – ასახულია რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნები და სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით. აღნიშნული პუნქტის 7.1. ქვეპუნქტში მითითებულია ინფორმაცია მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში ჩართული ბავშვების რაოდენობასთან დაკავშირებით (2017 წლის სტატისტიკური მონაცემები). აღნიშნულ დოკუმენტში ბავშვთა შესახებ მონაცემები დაყოფილია ორ კატეგორიად: „ჯანმრთელი ბავშვი“ და „შშმ ბავშვი“.

ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ ჩანაწერი უხეშად ერევა თანასწორობის უფლებაში, კერძოდ, შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს და ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, ასევე საქართველოს კონსტიტუციასა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს. ბავშვების დაყოფა ჯანმრთელ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად, ამყარებს საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებს, ქმნის ვარაუდს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არ არის ჯანმრთელი. ამგვარმა დაყოფამ, შესაძლოა, გააძლიეროს საზოგადოების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, მით უფრო მაშინ, როდესაც ამგვარი ინფორმაცია გამოქვეყნებულია იმ სახელმწიფო უწყების – კერძოდ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს – ვებგვერდზე, რომელიც უშუალოდ არის ვალდებული, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური რეაბილიტაცია და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მათ სრულ ინტეგრაციას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

PHR საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ

2017 წლის 11 აგვისტოს PHR-მა საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №392 ბრძანებით – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოსთვის მიმართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ – დამტკიცდა ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოსთვის მიმართვის ფორმა, რომლის საშუალებითაც სსსმ მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია, მიმართოს სამმართველოს და მოითხოვოს ბავშვის ჩართვა ინკლუზიური განათლების პროგრამაში.

მოგვიანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 5 იანვრის ბრძანებით, ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და შეიცვალა მიმართვის ფორმა. კერძოდ, პირვანდელი ფორმა ითვალისწინებდა ცალკე გრაფას ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მახასიათებლებთან დაკავშირებით, ცვლილების შემდეგ მიმართვის ფორმას ცალკე გამოეყო კითხვარი, რომლითაც ხდება ბავშვის მახასიათებლების შეფასება. კითხვარს ავსებს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ან მასწავლებელი. ორივე შემთხვევაში, სამმართველოსთვის განცხადებით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი არის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. საყურადღებოა, რომ როგორც ცვლილების შემდგომ, ასევე ცვლილებამდე მოქმედი მოდელი სრულად მორგებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კეთილსინდისიერებაზე და სკოლას/პედაგოგს არ ავალდებულებს, საკუთარი ინიციატივით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს მოსწავლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა და იზრუნოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე.

მაშინ, როდესაც საქართველოში დღეს მოქმედი სისტემით, მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათ-

ლებლო საჭიროების სტატუსის მისანიჭებლად, საჭიროა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, ხოლო თანხმობის არარსებობის პირობებში, მოსწავლე ვერ ისარგებლებს იმ ბენეფიტებით, რომლებიც აუცილებელია მის მიერ სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, დისკრიმინაციულად ირღვევა სსსმ ბავშვთა განათლების უფლება. კერძოდ, ბავშვები, რომლებსაც სწავლების პროცესში ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თავიანთ საჭიროებაზე მორგებული განათლების ნაცვლად, სხვა ბავშვების მსგავსად, რომელთაც არ აქვთ ინდივიდუალური საჭიროებები, იღებენ ზოგად განათლებას. ეს კი ნიშნავს, რომ სახეზე გვაქვს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა სახელმწიფოს მხრიდან.

ამასთან, საქართველოს მთავრობის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ მიუთითებს, რომ ბავშვის საჭიროების უგულებელყოფა, მათ შორის საგანმანათლებლო საჭიროებისა, წარმოადგენს ბავშვის მიმართ ძალადობის სპეციალურ ფორმას, ანუ უგულებელყოფას. ამავე დადგენილების თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია გააკეთოს შეტყობინება ძალადობის ნებისმიერ ფორმაზე, რის შემდეგაც ხდება სოციალური სამსახურის ჩართვა. შემოთავაზებული რეგულაციით კი, სკოლას ჩამოცილებული აქვს პასუხისმგებლობა მსგავსი რეაგირების განხორციელების კუთხით.

ამ საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

ანა მაისურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

2017 წლის 17 მარტს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ა.მ-მ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გამონაკლისის დანესება მხოლოდ იმ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რომელთაც აქვთ მხედველობის პრობლემა, არის დისკრიმინაციული სხვა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებით დაცულ თანასწორობისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის დადგენილების სადავო დანაწესი, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სოციალური პაკეტით სარგებლობის შეზღუდვის ნაწილში, არ ემსახურება იმგვარ მიზანს, რომ შეზღუდვა მიზნის მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებად განიხილებოდეს, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ თვითმიზნურ შეზღუდვას და განპირობებული არ არის ობიექტური გარემოებებითა და საჭიროებებით. დანესებული შეზღუდვა, ცალკეულ პირებს აიძულებს, საერთოდ უარი თქვან საჯარო სამსახურში თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებაზე. აღნიშნული კი, თავის მხრივ, შეუძლებელია იყოს იმგვარი სახელმწიფოს მიზანი, რომელიც პირთა თავისუფალი განვითარების თანაბარი გარემოს შექმნისკენ არის მიმართული. შესაბამისად, სადავო ნორმით დანესებული შეზღუდვა იმ მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებსაც ეს სტატუსი არ მინიჭებიათ მხედველობის გამო, არის დისკრიმინაციული. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ყველა მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში, ისევე ისარგებლონ სოციალური პაკეტის მიღების უფლებით, როგორც ეს ხდება მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით, ვინაიდან შესაძარებელი ჯგუფები წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს და სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ უნდა მოხდეს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

მოსარჩელე ითხოვს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

მ.მ. და ე.გ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

2017 წლის 1-ლ მაისს მოსარჩელებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ. მოსარჩელებმა, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, კერძოდ, აქვთ მხედველობის პრობლემა, 2017 წლის 30 იანვარს მიმართეს ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და სთხოვეს სამართლებრივი კონსულტაციის განევა – ბანკებში უსინათლო პირებისათვის მომსახურების შეზღუდვასა და სერვისის დამოუკიდებლად მიღებასთან დაკავშირებით სარჩელის შეტანის შესახებ.

მოსარჩელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, თავად შეეტანათ საქმე სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, თუმცა, როგორც გაირკვა, უსინათლო მოქალაქეებისთვის როგორც სასარჩელო, ისე სასამართლოს დანარჩენი ოფიციალური ფორმების შევსება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ელექტრონული ფორმების გამოყენება უსინათლო პირებისთვის ხელმისაწვდომი წამკითხველი პროგრამის დახმარებით შეუძლებელი აღმოჩნდა – პროგრამას გაუჭირდა ფორმის წაკითხ-

ვა. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, მოსარჩელებმა, 2017 წლის 9 მარტს, განცხადებით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც მოსარჩელებს, კანონით დადგენილი ერთი თვის განმავლობაში, განცხადებაზე პასუხი არ გასცა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შესაგებლის ფორმები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ ამ ფორმებით. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული აღნიშნული ფორმები არის სასამართლოსთვის მიმართვის ერთადერთი საშუალება. ამის მიუხედავად, არც ერთი მათგანი არ არის ადაპტირებული უსინათლო პირების საჭიროებებზე, რაც შეუძლებელს ხდის მათთვის სასამართლოსთვის მიმართვას იმ შემთხვევაში, თუ თავად სურთ საკუთარი უფლებების დაცვა. ამის პარალელურად, შეზღუდვის არმქონე ნებისმიერ პირს ხელი მიუწვდება აღნიშნულ შესაძლებლობაზე.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, შეზღუდული შესაძლებლობის თუ სხვა ნიშნის მიუხედავად, გააჩნია ლეგიტიმური რწმენა, რომ სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებები არ შეილახება, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მათ დაერღვევათ კონკრეტული უფლებები, ისინი შეძლებენ გამოიყენონ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები. მოცემულ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული სასარჩელო ფორმები წარმოადგენს უსინათლო პირების მიმართ უფლებების დისკრიმინაციულ დარღვევას, რაც გამოიხატება მათ მიერ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სასამართლო ფორმები არ არის მორგებული პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, არამედ ის არათანაზომიერად შემზღუდველ წესებს ავრცელებს სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის გამო. საბჭოს მიერ სავალდებულო და არაადაპტირებული სასამართლო ფორმების დამტკიცებით, უსინათლო პირებს ეზღუდებათ სასამართლოსთვის დამოუკიდებლად მიმართვის უფლება, რაც თავისთავად გულისხმობს მათ იძულებას, მუდმივად საჭიროებდნენ გარეშე პირების დახმარებას და, უთანასწორო მოპყრობის შედეგად, ვერ მოახდინონ ფუნდამენტური უფლებების დამოუკიდებლად რეალიზება.

ამასთან, ერთ-ერთი მოსარჩელე არის იურისტი, რომელსაც, არსებული სადავო რეგულაციით, ეზღუდება პროფესიული განვითარების უფლება. თუ არ მოხდა სასამართლო ფორმების ადაპტირება, ე.გ. ვერასოდეს შეძლებს, გახდეს პრაქტიკოსი იურისტი და წარმოადგინოს ადამიანები სასამართლოში, რისი შესაძლებლობაც სრული მხედველობის მქონე იურისტებს აქვთ.

განსახილველ საქმესთან მიმართებით, უცნობია, თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უსინათლო პირებისათვის ადაპტირებული სასამართლო ფორმების არქონა, შესაბამისად, მოპასუხე მხარეს მოუწევს, ამტკიცოს, რომ დიფერენცირებას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად: ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.“ დისკრიმინაციის შესახებ არსებულ დავებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ არსებული პრაქტიკის მიხედვით, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან ერთად, უნდა მოხდეს მორალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან ამგვარი მოპყრობა მსხვერპლში იწვევს ძლიერ შინაგან ტანჯვას. №2ბ/4067-16 საქმეზე – გ.ბ. ლ.გ-ის წინააღმდეგ – სასამართლომ განმარტა, რომ „მორალურ ზიანს იწვევს მოსარჩელის მიერ დისკრიმინაციის შედეგად სულიერი და მორალური ტკივილის განცდა“; „არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის, საკმარისია, არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება შეიძლება უკავშირდებოდეს უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას.“

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან სახეზეა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ აღებული ვალდებულების უგულვებელყოფა. კერძოდ, მოსარჩელებს, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე, დაერღვათ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება იმის გამო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სასამართლო ფორმები არ ითვალისწინებს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებს, რაც წარმოშობს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს. მოსარჩელების მიერ მოთხოვნილია 5000 ლარი.

მ.მ. სს ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

მ.მ. 2017 წლის 27 იანვარს მეუღლესთან ერთად მივიდა „ლიბერთი ბანკის“ ვაჭა-ფშაველას ფილიალში საბანკო მომსახურების მიღების მიზნით. მოსარჩელე არის უსინათლო, ხოლო მისი მეუღლე – მცირემხედველი. მოსარჩელეს სურდა ახალი ბარათის დამზადება, რაც მოითხოვს ხელშეკრულების პირობების გაცნობასა და ხელმოწერას. მოსარჩელემ ვერ შეძლო ხელშეკრულების ტექსტის წაკითხვა და ბანკის ოპერატორს სთხოვა დახმარება, რომელმაც განუმარტა, რომ იგი არ იყო ვალდებული, მომხმარებლისთვის დოკუმენტი წაეკითხა, ამიტომ შესთავაზა, მოსარჩელის თანმხლებ პირს – მეუღლეს გაენიჭა მისთვის დახმარება პროცედურის დასრულებაში. მოსარჩელის მეუღლე არის მცირემხედველი, რის გამოც, ტექსტის წაკითხვა ვერც მან შეძლო. მ.მ-მ, პრობლემის გადაჭრის მიზნით, მოითხოვა ფილიალის დირექტორთან გასაუბრება. დირექტორის განცხადებით, საბანკო მომსახურების მიღებისას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დახმარება უნდა გაუწიოს თანმხლებმა პირმა, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, მათ შორის მ.მ-ს მეუღლე. მოსარჩელემ უარი თქვა მომსახურების განწვევის პროცესში მესამე პირის ჩართვაზე. მას განემარტა, რომ თანმხლები პირის დაუხმარებლად ვერ მიიღებდა ბანკში ვერანაირ მომსახურებას, რის შემდგომაც მოუწია ბანკის დატოვება სერვისის მიღების გარეშე.

„ლიბერთი ბანკის“ მიერ მოსარჩელისთვის დამოუკიდებლად მომსახურების განწვევაზე უარის თქმის შედეგად, დაირღვა მისი არაერთი შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გარანტირებული უფლება, კერძოდ, თანასწორობის, ხელშეკრულების თავისუფლად დადების, ხელმისაწვდომობის, დამოუკიდებელი ცხოვრების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა და ღირსების უფლება.

მოცემულ შემთხვევაში, „ლიბერთი ბანკის“ მიერ დანერგილი პრაქტიკა წარმოადგენს უსინათლო მომხმარებელთა უფლებების დისკრიმინაციულ დარღვევას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი, რომელთაც აქვთ მხედველობის შეზღუდვა, ვერ იღებენ მომსახურებას სხვების თანასწორად. ბანკის მიერ დანერგილი პრაქტიკა არ არის ორიენტირებული მომხმარებლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე, არამედ ის არათანაზომიერად შემზღუდველ წესებს ავრცელებს სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის გამო. განსახილველ შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მოსთხოვეს მესამე პირის თანხლება, რომელიც მოსარჩელის მაგივრად წაიკითხავდა სახელშეკრულებო პირობებს, ხოლო ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში, უარი უთხრეს მომსახურებაზე. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ამგვარი პირობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს მრავალგვარი დამხმარე ტექნიკური საშუალება (მაგალითად, წამკითხველი პროგრამა, ბრაილით დაბეჭდილი კონტრაქტი და ა.შ.), რომლის გამოყენებითაც, შესაძლებელი იქნებოდა მომხმარებლისთვის ინდივიდუალური მომსახურების მიწოდება ყოველგვარი მესამე პირის ჩარევის გარეშე, არის არათანასწორი მოპყრობა, რაც არღვევს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებს.

განსახილველ შემთხვევაში შესაძარებელ ჯგუფს წარმოადგენს ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებიც, რომლებსაც არ აქვთ მხედველობის შეზღუდვა და თავისუფლად, მესამე პირის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე, ახერხებენ საბანკო დაწესებულებაში ხელშეკრულების დადებას და მათთვის სასურველი მომსახურების სწრაფად და ხარისხიანად მიღებას. ამის პარალელურად, მოსარჩელე, ბანკში არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის გამო, იძულებულია, მუდმივად გვერდით ჰყავდეს მესამე ადამიანი, რომელიც ხელშეკრულების პირობების გაცნობაში დაეხმარება.

მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოსგან ითხოვს დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრას და, მორალური ზიანის სახით, 3000 ლარის ანაზღაურებას.

გ.ს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

დავის არსს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სტატუსის დამდგენი კანონმდებლობის დისკრიმინაციული შინაარსი. არსებული რეგულირებით, დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს არ ენიჭებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ განმცხადებლის სახელით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. საქმეში განმცხადებელს წარმოადგენს აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მქონე ბავშვის მშობელი, რომელიც დავობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების მარეგულირებელი კანონმდებლობის დისკრიმინაციულობაზე, რომელიც აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს შუამ ბავშვის სტატუსს არ ანიჭებს. ერთ-ერთი განმცხადებელი აგრეთვე არის ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), რომელიც ასაბუთებს, რომ

იგივე რეგულაცია ასევე გამოიციხავს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს სტატუსის მინიჭების არსებული წესიდან.

განმცხადებლები მიუთითებენ, რომ სტატუსის დამდგენი სხვა დაავადების მსგავსად, დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოზის მქონე ბავშვებს გააჩნიათ სპეციალური საჭიროებები, მათ შორის, რეაბილიტაციისა თუ თერაპიის მიმართულებით, რაც უნდა წარმოადგენდეს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების საფუძველს. ამასთან, განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები, სტატუსის არქონის გამო, ავტომატურად გამოირიცხებიან ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ყველა იმ პროგრამისა თუ სერვისიდან, რომლებიც უშუალოდ პირის სტატუსის არსებობას, ამ პროგრამითა თუ სერვისით სარგებლობისთვის, სავალდებულო საფუძველად მიიჩნევა.

ამ ეტაპზე საქმე განხილვის პროცესშია.

თ.მ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც საჯარო სექტორში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კონკრეტული ჯგუფისათვის კრძალავს სოციალური პაკეტის მიღების შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია სახალხო დამცველის წინაშე წარმოადგენდა განმცხადებლის ინტერესებს, რომელიც დავობდა, რომ „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით არსებული რეგულაცია მას დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა, ერთი მხრივ, სოციალური პაკეტის მიმღებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებთან შედარებით, რომლებიც დასაქმებულნი არიან (სურვილი აქვთ, დასაქმდნენ) კერძო სექტორში და, მეორე მხრივ, საჯარო სექტორში დასაქმებულ (დასაქმების მსურველ), სოციალური პაკეტის მიმღებ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შედარებით, რომლებსაც კანონმდებლობა არ უზღუდავს სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლებას საჯარო საქმიანობის პერიოდში. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს, დადგენილი სტატუსიდან გამომდინარე, გააჩნია განსაკუთრებული საჭიროებები. შესაბამისად, მათი ინტერესი, მიიღონ კანონით გათვალისწინებული სოციალური პაკეტი, არ უნდა იყოს დასაქმების სექტორზე დამოკიდებული.

სახალხო დამცველმა დაადგინა პირდაპირი დისკრიმინაცია დასაქმების სფეროს ნიშნით და რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სხვების თანაბრად, უზრუნველყოს სოციალური პაკეტით. სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ერთნაირი შეზღუდვის მქონე პირებს თანაბარი საჭიროებები აქვთ, შესაბამისად, მათი ინტერესი, მიიღონ გათვალისწინებული სოციალური პაკეტი – არის თანაბარი. კანონმდებლობის ამგვარი მოქმედების პირობებში განმცხადებელს ჩამორთმეული აქვს სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს.

ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობის მხრიდან, რეკომენდაციის აღსრულების მიზნით, კონკრეტული ქმედებები არ განხორციელებულა.

მ.მ. და გ.ე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია არ არის მისაწვდომი უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის, რამდენადაც აღნიშნული ვებგვერდები არ არის შესაბამის საჭიროებებზე მორგებული. სარჩელის წარდგენის მიზანია, სასამართლომ მოსარჩელების მიმართ დაადგინოს დისკრიმინაცია და აღმოფხვრას იგი ვებგვერდების ადაპტირების გზით.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოსარჩელების – მ.მ-სა და გ.ე-ს სახელით. საქმეზე მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მოსარჩელებს დადგენილი აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, კერძოდ, უსინათლო და მცირემხედველი პირის სტატუსი. მათ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მოსარჩელების და მათ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, ქმედების განხორციელება – დისკრიმინაციის ფაქტის შეწყვეტა და მოსარჩევეებისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩევე მხარე მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციული ქმედება გამოიხატება მოპასუხის უმოქმედობაში, კერძოდ, მისი და მის მიერ ადმინისტრირებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდების უსინათლო/მცირემხედველი პირებისთვის მიუწვდომლობაში, რაც განგრძობით ხასიათს ატარებს და მუდმივად არღვევს მათ უფლებებს. უსინათლო/მცირემხედველი პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დამოუკიდებლად, სხვა პირთა დახმარების გარეშე გაეცნონ ამ ვებგვერდებზე განთავსებულ ინფორმაციას, რაც ზღუდავს მოსარჩევეთა რიგ კონსტიტუციურ უფლებებს, კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლად, დამოუკიდებლად მიღების, პიროვნული თვითრეალიზაციის, ღირსების, შრომის, ჯანდაცვის, აგრეთვე, სოციალური უზრუნველყოფის უფლებებს.

წარდგენილი სარჩელი წარმოებაში მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, თუმცა, დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, განსახილველად გადაუგზავნა სამოქალაქო კოლეგიას. სარჩელი განხილვის ეტაპზეა და ამ დროისათვის გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ს.ფ. ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

2017 წლის 11 ოქტომბერს ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ წინააღმდეგ. 2017 წლის 10 აპრილს ს.ფ-მ გაიკეთა ხერხემლის ოპერაცია, რასაც შემდგომი გართულებები მოჰყვა. 2017 წლის 18 აპრილს მას ჩაუტარდა ექიმის კონსულტაცია და ვინაიდან აღნიშნული გართულებები იყო საკმაოდ მწვავე, იგი იძულებული გახდა, სასწრაფო წესით გაფრენილიყო ისრაელში.

ამავე დღეს, 2017 წლის 18 აპრილს, ს.ფ-მ „საქართველოს ავიახაზების“ საიტზე ბილეთის შეძენასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამოწმებისას ნახა, რომ აეროპორტში ეტლით სარგებლობისთვის საჭირო იყო ბილეთის დაჯავშნა ფრენამდე 72 საათით ადრე, თუმცა, ვინაიდან მისი გამგზავრება დაიგეგმა ძალიან სწრაფად, კერძოდ, ფრენამდე ერთი დღით ადრე, 2017 წლის 19 აპრილის ავიაბილეთი მან შეიძინა 2017 წლის 18 აპრილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური მომსახურებისთვის დადგენილი ვადების დაცვა ობიექტურად შეუძლებელი იყო. გაფრენის დღეს, 2017 წლის 19 აპრილს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე.

2017 წლის 19 აპრილს აეროპორტში მისულმა ს.ფ-მ ავიაკომპანიის წარმომადგენელს, რომელიც მგზავრთა რეგისტრაციას ახორციელებდა, განუმარტა თავისი მდგომარეობა და ეტლით სარგებლობა ითხოვა, თუმცა, ერთ შემთხვევაში, უარი მიიღო, სხვა წარმომადგენელმა კი უპასუხა, რომ ეტლით სარგებლობისთვის მას 104 ევრო უნდა გადაეხადა. აღსანიშნავია, რომ ავიაკომპანიის საიტზე არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეტლით სარგებლობისათვის დაწესებულია გარკვეული საფასური. საბოლოოდ, ს.ფ-მ ვერც თბილისის და ვერც ისრაელის აეროპორტში ჩაფრენისას ვერ შეძლო ეტლით სარგებლობა.

ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზები“ არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს, კერძოდ, აეროპორტში მისვლისას ს.ფ. წარმომადგენელს სპეციალური საჭიროების მქონე პირს, რაც ავიაკომპანიის თანამშრომლებმა შეიტყვეს მისივე ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, აღნიშნულის აღქმა გარეგნული ნიშნებითაც იყო შესაძლებელი. ამის მიუხედავად, მან ვერ შეძლო მის საჭიროებაზე მორგებული სერვისის მიღება. მართალია, ს.ფ-ს არ ჰქონდა მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა, მოცემული მომენტისთვის იგი გათანაბრებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან. შესაბამისად, ავიაკომპანიის მიერ ს.ფ-სთვის სპეციალური მომსახურების განევაზე უარის თქმის შედეგად, დაირღვა საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი ნორმებით გარანტირებული უფლებები.

მ.მ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია PHR-ის მიერ)

მ.მ. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, მოთავსებული იყო სტაციონარში, კერძოდ, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“. აღნიშნულმა დაწესებულებამ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სტაციონარში მ.მ-ს მოთავსების შესახებ შესაბამისი ბრძანების გამოცემის მოთხოვნით.

2017 წლის 18 ოქტომბრის დახურულ, გასვლით სხდომაზე სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული მიმართვა და მიიღო გადაწყვეტილება შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ მ.მ-ს მოთავსების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის დროს არ განხორციელებულა

აუდიოჩანერა, შესაბამისად, სასამართლო სხდომის ოქმი შედგა სხდომის მდივნის მიერ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, მ.მ-მ გააკეთა განცხადება კლინიკაში მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, თუმცა, ჩვენ მიერ გამოთხოვნილ სასამართლო სხდომის ოქმში აღნიშნული გარემოება ასახული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან კანონით განსაზღვრულია სასამართლოს ვალდებულება სასამართლო სხდომის აუდიოჩანერის შესახებ, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფა და განსხვავებული პრაქტიკის ჩამოყალიბება წარმოადგენს დისკრიმინაციას, რადგანაც პირები, რომელთა საქმეც, მათი მდგომარეობისა და საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, განიხილება გასვლით სხდომაზე, აღმოჩნდებიან განსხვავებულ მდგომარეობაში იმ პირებთან შედარებით, რომელთა საქმეებიც განიხილება სასამართლო დარბაზში. შესაბამისად, სახეზეა დისკრიმინაციის ნიშნები. მსგავს მიდგომას არ შეიძლება ჰქონდეს ობიექტური და გონივრული გამართლება, არ შეიძლება, არსებობდეს საფუძველი, რომლითაც გამართლდება აუდიოჩანაწერის გაკეთების უგულებელყოფა, ვინაიდან ასეთი პრაქტიკა არღვევს პირის უფლებას – სასამართლომ მისი საქმე განიხილოს სამართლიანად და სხვათა თანასწორად. ამასთან, არსებობს საფრთხე, რომ პირის მიერ სასამართლო პროცესზე გაჟღერებული ინფორმაცია სრულყოფილად ან სრულიად არ აისახოს სასამართლო სხდომის ოქმში, რითაც შესაძლოა ზიანი მიადგეს მხარის ინტერესებს.

PHR-მა მიმართა სახალხო დამცველს, აღნიშნული საკითხი შეისწავლოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სახალხო დამცველი ამ ეტაპზე სწავლობს აღნიშნულ საქმეს.

PHR საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

„ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის №87/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, 4-14 წლის ასაკის პაციენტები თავსდებათ ბავშვთა განყოფილებაში, 15-17 წლის ასაკის პაციენტები – მოზარდთა განყოფილებაში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – მოზრდილთა განყოფილებაში.

15-17 წლის ასაკის პაციენტების მოთავსება მოზრდილთა განყოფილებაში დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არცერთ გამონაკლის შემთხვევას არ განიხილავს, როდესაც შესაძლებელია არასრულწლოვანთა მოთავსება მოზრდილთა განყოფილებაში. კოდექსი მაქსიმალურ აქცენტს აკეთებს არასრულწლოვანთა ინტერესებზე. სრულწლოვანთან ერთად არასრულწლოვნის განთავსების გამორიცხვის არსებობა მიუთითებს, რომ აღნიშნულმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასზე. ამის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებაში ეს რისკები უგულებელყოფილია.

თუ ერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია ბავშვთა საუკეთესო ინტერესები და, მათი უსაფრთხოებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აკრძალულია ბავშვების განთავსება მოზრდილებთან ერთად (მაშინაც კი, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, არასრულწლოვანი თავსდება პატიმრობის დანესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში, რაც გულისხმობს, რომ განთავსება არ არის დაკავშირებული ხანგრძლივობასთან და, მცირე ხნით განთავსების შემთხვევაშიც, აღნიშნული რეგულაცია უნდა იყოს გათვალისწინებული), ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებისას, არასრულწლოვან პაციენტთა უფლებების დაცვა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა ფსიქიატრიულ დანესებულებას მოზარდთა განყოფილება.

შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანება განსხვავებულ და უფრო დაბალ სტანდარტს აწესებს ფსიქიატრიულ დანესებულებაში განთავსებული პირების მიმართ. შედეგად კი, ის, რაც ერთ შემთხვევაში საზიანო და დაუშვებელია, მეორე შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, დასაშვებად არის მიჩნეული.

ერთი და იგივე ასაკის ბავშვების მიმართ მოქმედებს განსხვავებული მიდგომა, რაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის წინაპირობაა. PHR-მა მიმართა სახალხო დამცველს თანასწორობის უფლების დარღვევის დადგენისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის №87/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის მოდიფიცირების მიზნით რეკომენდაციის

შემუშავების თხოვნით იმგვარად, რომ 15-17 წლის ასაკის მოზარდების მოთავსება დაუშვებელი იყოს მოზრდილთა განყოფილებაში.

სახალხო დამცველის მხრიდან მიმდინარეობს საქმის შესწავლა.

ზ.კ. თბილისის საკრებულოს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებით გაუქმდა მანამდე არსებული რეგულაციები და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ჩამოერთვათ შშმ პირების ამოსაცნობი ნიშნის აღების უფლება. ამ ქმედებამ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩააყენა მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები. საიას ბენეფიციარი ზ.კ. არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელსაც საზოგადოებაში სრულფასოვანი ჩართულობისთვის ესაჭიროება ავტომანქანით სარგებლობა და სპეციალურად შშმ პირებისთვის გამოყოფილ ადგილზე პარკირება. დისკრიმინაციულმა რეგულაციამ ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, ვინაიდან ხშირად საათობით უწევს ლოდინი, რათა შეძლოს საავადმყოფოებითა ან სხვა აუცილებელი ობიექტებით სარგებლობა. საქმეს განიხილავს სახალხო დამცველი.

1.8. პოლიტიკური ასოცირება

როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, ისე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას პოლიტიკური შეხედულების გამო. ადამიანი ამ ნიშნით დისკრიმინაციას, შესაძლოა, მაშინაც დაექვემდებაროს, როდესაც, მართალია, თავად ინდივიდს არ გააჩნია ისეთი პოლიტიკური შეხედულებები, რის გამოც მას არასათანადოდ მოეპყრობიან, თუმცა, ამგვარი მოპყრობის მიზეზი მსხვერპლის ოჯახის წევრის, ნათესავის ან მეგობრის პოლიტიკური შეხედულებებია. ამგვარ დისკრიმინაციას ასოციაციურ დისკრიმინაციას უწოდებენ. ასოციაციური დისკრიმინაციის აკრძალვა გამომდინარეობს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტიდან, სადაც აღნიშნულია: „ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.“ ამ მუხლით საკმარისია იმის დამტკიცება, რომ პირის მიმართ არახელსაყრელი მოპყრობა მოტივირებულია არა თავად ამ პირის, არამედ მისი ოჯახის წევრის ან ახლობლის პოლიტიკური შეხედულების გამო, იმისათვის, რომ დადგინდეს დისკრიმინაცია პოლიტიკურ შეხედულებებთან ასოცირების ნიშნით.

ეკატერინე მიშველაძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

მოსარჩელე მუშაობდა საზოგადოებრივ მაუწყებელში პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ წამყვანად. ეკატერინე მიშველაძის სამსახურიდან გათავისუფლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდიის“ გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა 2016 წლის 11 თებერვალს მიიღო. თუმცა, გადაცემა „პირველი სტუდია“ ეთერში ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყებიდან (2015 წლის სექტემბერი) აღარ გადის. გადაცემა ოფიციალურად 2016 წლის თებერვალში გაუქმდა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ეკა მიშველაძის სამსახურიდან გათავისუფლების ოფიციალურ საფუძვლად „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტს (სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას) მიუთითებს. ამგვარ გარემოებად „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ „პირველი სტუდიის“ დახურვასა და ახალი გადაცემის ეთერში გაშვების არამიზანშენილიად მიჩნევას ასახელებს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია 2015 წლის სექტემბრის დასაწყისში (ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყების წინ) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მრჩევლის, ბასა ჯანიკაშვილის განცხადება – „ქალბატონ ეკას მინდა მივულოცო მთელი გულით და სულით ოჯახის შექმნა. იყო პრომოს დამზადების პროცესი, ველოდებოდით, რომ ეკა უნდა ჩამოსულიყო, ეს პრომო უნდა დაგვემზადებინა და ასეთი კარგი ამბავი დავგახვედრა... გათხოვდა პოლიტიკურ ლიდერზე, მომავალ პარლამენტის თავმჯდომარეზე, სხვათა შორის, აქვე ვინინასწარმეტყველე... მაუწყებელს აქვს თავისი კოდექსი... როგორც მარეგულირებელ კომისიას, ასევე მაუწყებელს, სადაც შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. მე შემიძლია ეს მეილზე გამოგიგზავნოთ. ეს არის პრობლემა“. აღნიშნული ცხადად წარმოაჩინს ეკატერინე მიშველაძის სამსახურიდან გათავისუფლების რეალურ მოტივს (ოჯახის წევრის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრობა).

სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და სხვა თანმდევი მოთხოვნები. ასევე, ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნაა დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

2017 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ეკატერინე მიშველაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და მოპასუხეს დააკისრა კომპენსაციის გადახდა. დისკრიმინაცია არ დაადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი ნაწილდება იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომლის მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. „როდესაც დასაქმებული მიუთითებს შრომის ხელშეკრულების მოშლის დისკრიმინაციულ საფუძველზე, მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება... ამასთან, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება არ ნიშნავს, რომ მოსარჩელე სრულად თავისუფლდება მტკიცების ვალდებულებისაგან: მან უნდა დაასახელოს ის ფაქტები, რაც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს ქმნის და წარმოადგინოს საჭირო მტკიცებულებები, დაასახელოს კომპარატორი – მიუთითოს ანალოგიურ ვითარებაში მყოფ პირზე, რომლის მიმართაც სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება მოხდა და ა.შ.“ სასამართლო ამ შემთხვევაში იზიარებს მოპასუხის მითითებას, რომ ბასა ჯანიკაშვილის ზემოაღნიშნული ინტერვიუ გამოხატავდა ამ უკანასკნელის პირად მოსაზრებას და მას განცხადება არ გაუკეთებია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სახელით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბასა ჯანიკაშვილს არ ეკავა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ ხელმძღვანელი თანამდებობა, მის უფლებამოსილებაში არ შედიოდა შრომითი ხელშეკრულებების დადება ან შეწყვეტა. საზოგადოებასა და მესამე პირებთან სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ წარმოადგენს გენერალური დირექტორი.

სასამართლო, აქვე იმ გარემოებასაც იღებს მხედველობაში, რომ 2015 წლის განმავლობაში, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველ არხზე რამდენიმე გადაცემა დაიხურა, ხოლო გადაცემათა ნაწილი შემოდგომიდან ეთერში გავიდა შეცვლილი ფორმატით ან სახელწოდებით და ა.შ. რაც დასტურდება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ცნობით, რომელიც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

ნ.ტ. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

ნ.ტ. მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში. 2017 წლის მარტში დაწყებული რეორგანიზაციის პროცესში ბენეფიციარს შესთავაზეს ახალ თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად გადანიშნვა. ვინაიდან შეთავაზებული თანამდებობა ფუნქციურად წარმოადგენდა რეორგანიზაციამდე დაკავებული თანამდებობის ანალოგიურს, მან მოითხოვა, რომ შემთავაზებულ თანამდებობაზე დანიშნულიყო კონკურსის გარეშე, რაზეც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უარი უთხრა და სამსახურიდან გაათავისუფლა.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან და დადიოდა მათ სასამართლო პროცესებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ.ტ. მიიჩნევს, რომ სამსახურიდან მისი გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული საფუძველით.

ნ.ტ-მ, დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1-ლ მაისს მიმართა.

1.9. ოჯახური მდგომარეობა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას ოჯახური მდგომარეობის ნიშნით. ეს დაცული ნიშანი უკავშირდება დისკრიმინაციის მსხვერპლის სხვა პირთან, ამ შემთხვევაში, ოჯახის წევრთან კავშირს – ადამიანი არახელსაყრელ მდგომარეობაში ექცევა სწორედ იმის გამო, რომ ოჯახური კავშირი გააჩნია ამა თუ იმ ინდივიდუალური თუ გვარეობითი ნიშნის თუ სტატუსის მატარებელ სხვა პირთან. ამ ნიშნით დისკრიმინაცია დგინდება მაშინ, თუ დამტკიცდება, რომ საჯარო ან კერძო პირები ადამიანს არ ჩააყენებდნენ არახელსაყრელ მდგომარეობაში, თუკი მას ოჯახური კავშირი არ ექნებოდა კონკრეტულ ადამიანთან.

მ.ს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

მ.ს-ს 7-სულიანი ოჯახი ცხოვრობს მძიმე პირობებში. ოჯახის შემადგენლობაში შედიან: მ.ს; მისი მეუღლე ო.ს. და მათი 5 შვილი, რომელთაგან 4 არასრულწლოვანია. ო.ს. რუსეთის მოქალაქეა. იგი, მრავალი წელია, საქართველოში ცხოვრობს, თუმცა, არ აქვს ბინადრობის მოწმობა (რადგან არ აქვს მის მისაღებად საჭირო ფინანსური შესაძლებლობა) იმის მიუხედავად, რომ აქვს ბინადრობის ნებართვის მიღების სამართლებრივი საფუძველი. მ.ს-მ არაერთხელ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გარდაბნის რაიონულ განყოფილებას საარსებო შემწეობის მისაღებად. ამ უკანასკნელმა 2016 წლის 10 ოქტომბერს მ.ს-ს აცნობა, რომ შეწყდა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესი. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესის შეწყვეტას წინ უძღვოდა, სოციალური აგენტის მიერ განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, ბენეფიციარის მეუღლის – ო.ს-ს დოკუმენტების წარსადგენად ერთთვიანი ვადის განსაზღვრა, რის შემდეგაც უნდა გაგრძელებულიყო ოჯახის შესაფასებელი პროცედურების განხორციელება. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტის წარუდგენლობის გამო, სოციალური დახმარების დანიშვნა შეჩერდა. დღევანდელი მდგომარეობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართვა, თუ იარსებებს ოჯახის ყველა წევრის დოკუმენტები ან, თუ ო.ს. აღარ იქნება მ.ს-ს ოჯახის წევრი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები ასეთი მიზნის მიღწევის თანაზომიერია. დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. მე-8 მუხლის მიზნებისთვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა სახლი, რომელიც წარმოადგენს სოციალურ საცხოვრისს და რომელიც პირებს დაკავებული აქვთ. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, პირადი ცხოვრება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს არის პიროვნების უფლება, მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, „1. ოჯახს უფლება აქვს, მოითხოვოს საარსებო შემწეობა. 2. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის დასანიშნად განაცხადის შევსებისას ოჯახის წარმომადგენელმა თან უნდა იქონიოს „საკუთარი და „ოჯახის დეკლარაციის“ მიხედვით ოჯახის ყველა წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში, დაბადების მოწმობა) ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც მითითებულია დოკუმენტის მფლობელის პირადი ნომერი“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტში ასევე მითითებულია, რომ „5. სააგენტოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პირადად შეამოწმოს თითოეული წევრის პირადობის/ბინადრობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში, დაბადების მოწმობა) ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და იქიდან ამოინეროს პირადი ნომრები.“

აღნიშნული ნორმები ცალსახად მიუთითებს, რომ ოჯახის წევრების ბინადრობის მოწმობის წარდგენა არის სავალდებულო პირობა, ერთი მხრივ, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, ხოლო მეორე მხრივ, საარსებო შემწეობის დასანიშნად. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი ვერ წარადგენს ბინადრობის მოწმობას ან მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს (მისი არარსებობის გამო), კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მთლიანად ოჯახს (მის ყველა წევრს) ართმევს შესაძლებლობას, მოხდეს მისი შეფასება. აღნიშნული რეგულაციები დისკრიმინაციულია და, აქედან გამომდინარე, მ.ს-სა და მის შვილებს დისკრიმინაციული საფუძვლით ეთქვა უარი, მომხდარიყო მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და, შესაბამისი ქულების მინიჭების შემთხვევაში, საარსებო შემწეობის დანიშვნა. განსახილველი საქმის მიზნებისთვის, შეიძლება გამოიყოს ოჯახების შემდეგი კატეგორიები: 1) ოჯახები, რომელთა შემადგენლობაში შედიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოში ცხოვრებისთვის აქვთ ბინადრობის ნებართვა; 2) ოჯახები, რომელთა შემადგენლობაში შედიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოში ცხოვრებისთვის არ აქვთ ბინადრობის ნებართვა. პირველი კატეგორიის ოჯახებს შესაძლებლობა აქვთ, გახდნენ საარსებო შემწეობის მიმღები სუბიექტები, ხოლო მეორე კატეგორიის პირები საარსებო შემწეობას ვერ იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სოციალური მდგომარეობა, შესაძლებელია, არ განსხვავდებოდეს პირველ კატეგორიაში შემავალი ოჯახების მდგომარეობისგან. მოცემულ შემთხვევაში, პრაქტიკულად, იმისთვის, რომ ადამიანმა შესაბამისი ბენეფიტი ისარგებლოს, უარი უნდა ეთქვას თავის მეუღლესთან ქორწინებაზე. სხვაგვარად გამორიცხულია სოციალური დახმარების მიღება მისთვის და მისი შვილებისთვის. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სადავო ნორმებით არსებითად თანასწორი ოჯახები ექცევიან განსხვავებულ პირობებში. ამდენად, დადგენილია, რომ არსებული რეგულაცია ახდენს დიფერენცირებულ მოპყრობას, თუმცა, დიფერენცირებული მოპყრობა ავტომატურად არ გულისხმობს დისკრიმინაციის არსებობას.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე – „ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – მიღებული გადაწყვეტილების მე-2 თავის მე-3 პარაგრაფში მიუთითა: „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა ზოგადად დიფერენცირებულ მოპყრობას, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.“ ამდენად, უნდა შეფასდეს, ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება თუ არა საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს თუ არა ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია თუ არა ასეთი მიზნის მისაღწევად. მიზნის შეფასებისას ვიხელმძღვანელებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, რომელიც განასხვავებს ორი სახის ტესტს: 1) მკაცრი შეფასების ტესტს; 2) რაციონალური დიფერენციაციის ტესტს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, „დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან და რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გადამწყვეტია, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ არსებითად თანასწორი პირები არსებული რეგულაციის პირობებში მნიშვნელოვნად სცილდებიან ერთმანეთს და განსხვავებულ ვითარებაში ექცევიან ოჯახური მდგომარეობის ნიშნით. ოჯახების ერთი ჯგუფი (რომელთა შორისაც საჩივრის შემომტანი პირის ოჯახი ერთიანდება), ოჯახის წევრის საქართველოში ყოფნის სტატუსიდან გამომდინარე, საერთოდ მოკლებულია შესაძლებლობას, საარსებო შემწეობის დასანიშნად მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რაც მკვეთრად ამორებს შესაძარებელ პირებს ერთმანეთს. ამდენად, მიზნის შეფასება უნდა მოხდეს „მკაცრი ტესტით“. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით, უფლების შეზღუდვის შეფასების მკაცრი ტესტი გულისხმობს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებას. ამასთან, ამ ტესტის ფარგლებში „ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი და არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური

გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმარტებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, დაუძლეველ სახელმწიფო ინტერესად არ მიიჩნევა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. 2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი, სომხეთის მოქალაქეები მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის მე-14 მუხლის (თანასწორობის უფლება) დარღვევა, ვინაიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ზოგადი განათლების ვაუჩერს სახელმწიფო ბიუჯეტი არ აფინანსებდა. ამ საქმეში დიფერენცირების მაღალი ხარისხის გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა მკაცრი შეფასების ტესტი. მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ უცხოელების მიმართ საქართველოს მოქალაქეების განსხვავებული მოპყრობა გამონეუული იყო საბიუჯეტო რესურსების დაზოგვით. ეს არგუმენტი უარყო საკონსტიტუციო სასამართლომ და №2/3/540 გადაწყვეტილების 55-ე პარაგრაფში განაცხადა შემდეგი: „ნიშნდობლივია, რომ მოპასუხეს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცებისთვის სახელმწიფოს „დაუძლეველ ინტერესზე“ საერთოდ არ მიუთითებია. საქართველოს პარლამენტმა მიუთითა საბიუჯეტო რესურსის დაზოგვის აუცილებლობაზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის განათლების უფლების მინიჭება გაუმართლებლად ძიმე ტვირთად დააწვევა სახელმწიფო ბიუჯეტს ან სხვა რაიმე ინტერესებს დააზიანებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეზე არ არსებობს დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესი“, რომელიც გაამართლებდა მოსარჩელე კლასის დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. შესაბამისად, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება თანასწორობის ძირითად უფლებას და არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.“

ამავე გადაწყვეტილების 26-ე პარაგრაფში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „ამონურვადი რესურსების დაზოგვა, ზოგადად, შეიძლება წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. ყურადსაღებია, რომ სახელმწიფოს გააჩნია შეფასების საკმაოდ ფართო ზღვარი მაშინ, როდესაც საქმე უკავშირდება შეზღუდვად რესურსებს და ეკონომიკური სტრატეგიის დაგეგმარებას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამონურვადი სახელმწიფო რესურსი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, პირველ რიგში, ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ რეალიზაციას უნდა მოხმარდეს.“

სახელმწიფოს ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვასა და სოციალური დახმარების მიმღებ პირთა განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა რამდენიმე საკითხი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ოჯახი განმარტებულია, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი. აღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ მოცემული საკითხების რეგულირების მიზნებისთვის, ოჯახად ითვლება ყველა ერთად მცხოვრები და საერთო მეურნეობით დაკავშირებული პირი. ოჯახის შეფასებისას, ბუნებრივია, მხედველობაში მიიღება თითოეული წევრის როგორც შემოსავალი, ასევე საჭიროებები. საკითხის ამგვარად მონესრიგებას შესაძლოა ჰქონდეს კიდევ გარკვეული მიზანი, რაც უშუალოდ უკავშირდება ოჯახის რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენას და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან გასაცემი დახმარების მიმღებ პირთა წრის განსაზღვრას. მითითებული აქტების მიხედვით, სოციალური დახმარების მიმღებად გვევლინება მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის საფუძველზე მყოფი პირი. მოცემულ შემთხვევაში გასაგებია, რომ ო.ს. ფორმალურად ვერ აკმაყოფილებს სოციალური დახმარებისთვის დადგენილ წინაპირობებს (რაც უკავშირდება მხოლოდ ბინადრობის ნებართვის მისაღებად საჭირო თანხის უქონლობას). მოქმედი რეგულაციები არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უფლებამოსილმა პირმა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასოს ამ პირის გარეშე და, შესაბამისად, ოჯახის იმ წევრებმა, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები ან ფლობენ ბინადრობის ნებართვას, მიიღონ საარსებო შემწეობა.

იმ ოჯახების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელთა შემადგენლობაში საქართველოში ბინადრობის უფლების არმქონე პირებიც შედიან, არავითარი ლეგიტიმური მიზანი არ გააჩნია და, შესა-

ბამისად, სახეზეა დასრულებული დისკრიმინაცია. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ №2/3/540 გადაწყვეტილების 24-ე პარაგრაფში განაცხადა: „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებებში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.“

საიამ სახალხო დამცველისგან მოითხოვა დისკრიმინაციის დადგენა ოჯახური მდგომარეობის ნიშნით. სახალხო დამცველმა 2017 წლის 13 ოქტომბერს რეკომენდაცია გამოსცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე. სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია და მინისტრისგან მოითხოვა სოციალური დახმარების შესახებ არსებული კანონმდებლობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ ერთი რომელიმე წევრის მიერ სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობამ, არ გამოიწვიოს სხვა წევრებისთვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვა.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდებოდა ადამიანის განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენება სოციალური დახმარების მიღების უფლებასთან მიმართებით. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ეს უფლება გამომდინარეობდა გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლიდან. ამ უკანასკნელით აღიარებულია ადამიანის უფლება სოციალურ უზრუნველყოფაზე. ასევე, სოციალური შემწეობის მიღება გარანტირებულია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების პაქტის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით, რომლითაც თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და საცხოვრებელი ბინა.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციაში მიუთითა, რომ სახეზე იყო ასოციაციური დისკრიმინაცია, ვინაიდან ოჯახის ერთ წევრთან კავშირის გამო ოჯახის დანარჩენი წევრები ვერ იღებდნენ სოციალურ დახმარებას. სახალხო დამცველმა აღნიშნა: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს ასოციაციით და აღქმით დისკრიმინაციას. ასოციაციით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი. ო.პ-ს და ბინადრობის მონმობის არმქონე სხვა პირებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარების მისაღებად, სხვა პირობებთან ერთად, წაყენებული აქვთ ზემოხსენებული ნებართვის აღების ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სახალხო დამცველი არ აფასებს ო.პ-სთვის ბინადრობის ნებართვისა და მონმობის მინიჭების საკითხის კანონშესაბამისობას, შესწავლის საგანს წარმოადგენს, ამ უკანასკნელის ოჯახზე მიერთებით, დანარჩენი წევრებისთვის სოციალური შემწეობის შეწყვეტის საკითხი. აქედან გამომდინარე, ო.პ-სთვის დადგენილმა კრიტერიუმებმა გავლენა მოახდინა ოჯახის დანარჩენ წევრებზე. მაშასადამე, ასოციაციით დისკრიმინაციის დადგენის თვალსაზრისით, შესაძარბელ სუბიექტს წარმოადგენს სოციალური დახმარების მიმღები ყველა ოჯახი, რომელსაც ოჯახის წევრად არ შეუერთდა ბინადრობის მონმობის არმქონე პირი.

სახალხო დამცველმა მიმართა ჯანდაცვის მინისტრს და სთხოვა, ინფორმაცია მიეწოდებინა დიფერენცირების ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით. ჯანდაცვის სამინისტროს ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველისათვის ინფორმაცია არ მიუწოდებია. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ განსხვავებული მოპყრობა თვითმიზნური და, შესაბამისად, დისკრიმინაციული იყო.

1.10. გამოხატვა

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას გამოხატვის ნიშნით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო კონვენციის მე-14 მუხლით აკრძალულია დისკრიმინაცია კონვენციით გარანტირებული უფლებებით, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წლის 20 მაისს დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-10 მუხლთან კავშირში – საქმეზე „ბაიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“.²¹ ამის მიზეზი იყო ის, რომ რუსეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კრძალავდა ე.წ. „არატრადიციული სექსუალური ურთიერთობის“ სასურველად წარმოჩენას. ევროპული სასამართლოს დაკვირვებით, რუსული კანონმდებლობა ჰომოსექსუალური ურთიერთობის შესახებ მოსაზრებას, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების შესახებ ინფორმაციასთან შედარებით, არახელსაყრელად ექცეოდა.²² გამოხ-

²¹ ეს გადაწყვეტილება არ შესულა ძალაში, ვინაიდან გასაჩივრებულია დიდ პალატაში.

²² გადაწყვეტილების 90-ე პარაგრაფი <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-174422>

ატვის ნიშნით დისკრიმინაცია სახეზე გვაქვს მაშინ, როცა დადგინდება, რომ პირი არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს კონკრეტული შინაარსის მოსაზრების გამოხატვის გამო და ადამიანის მიმართ ეს ღონისძიება არ იქნებოდა გამოყენებული, მას სხვა შინაარსის მოსაზრება რომ გამოეხატა. გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენისას, საჭიროა, დადასტურდეს, რომ დისკრიმინაციის განმარტაციულად ერთი შინაარსის მოსაზრებას, საპირისპირო მოსაზრებასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს.

გ.კ. შპს „ბიბლუსის“ წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

საქმე შეეხება შრომითი ურთიერთობის შემდგომ დამსაქმებლის მიერ ზოგიერთი დასაქმებულის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებას – კერძოდ, დასაქმებულის მალაზიათა ქსელის ერთ-ერთ მალაზიაში შესვლისა და გადაადგილების, ასევე, მასთან კავშირში, სერვისის მიღების დისკრიმინაციულ შეზღუდვას.

განმცხადებელი გ.კ. 2016 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის 15 თებერვლამდე დასაქმებული იყო შპს „ბიბლუსში“ – ბიბლუსი გალერეაში, რეზერვი კონსულტანტის თანამდებობაზე. განმცხადებელი, თავის სხვა თანამშრომლებთან ერთად, შრომითი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, მონაწილეობდა შრომით დავასა და დამსაქმებელთან მოლაპარაკებების პროცესში, რაც განპირობებული იყო მძიმე სამუშაო გარემოთი, სამუშაო პირობებითა და ორი თანამშრომლის სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებით. შრომითი პირობების გაუმჯობესების, ასევე, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, დასაქმებულებმა ჩაწერეს ვიდეომიმართვა, სადაც ისინი აღწერდნენ დასაქმების ადგილზე არსებულ შრომით პირობებსა და პრობლემებს და სოციალურ ქსელებში გაავრცელეს. შრომით დავაზე მოლაპარაკების პროცესში, დამსაქმებელმა სამსახურიდან გაათავისუფლა განმცხადებელი და მას შენობის (მალაზიის) ტერიტორიაზე შესვლა და მომსახურების მიღება აუკრძალა. განმცხადებელმა ორჯერ სცადა „ბიბლუსი გალერეას“ ტერიტორიაზე შესვლა და მომსახურების მიღება, თუმცა, კომპანიის დაცვამ ორჯერვე განმცხადებელს შენობის ტერიტორია დაატოვებინა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა განმცხადებელმა (გაფრთხილების შემდგომ) ვიდეოკამერით გადაიღო. ამავე პერიოდში, გ.კ.-ს გარდა, მალაზიაში შესვლის უფლება შეეზღუდათ ყოფილ თანამშრომლებს – მ.ა.-ს და შ.ლ.-ს. ორივე მათგანი, განმცხადებლის მსგავსად, აქტიურად იყო ჩართული „ბიბლუსის“ ადმინისტრაციასთან შრომითი პირობების გაუმჯობესების მოლაპარაკების პროცესში.

საქმეში განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა განსხვავებული შეხედულების ნიშნით. შპს „ბიბლუსის“ მენეჯმენტის მხრიდან მას ეზღუდება „ბიბლუსი გალერეას“ ტერიტორიაზე შესვლისა და მომსახურების მიღების უფლება, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნება. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სწორედ მის მიერ გამოხატული აზრი/შეხედულება, რომელიც შეეხებოდა შპს „ბიბლუსს“, როგორც დამსაქმებელს, გახდა ბიბლუსის ადმინისტრაციის მხრიდან განმცხადებლის შენობაში არშეშვების, მომსახურებასა და სერვისზე წვდომის შეზღუდვის საფუძველი. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ კომპანიის მხრიდან განხორციელებული ჩარევა უფლებით დაცულ სფეროში წარმოადგენს თვითმიზნურ ქმედებას, რომელსაც არ აქვს ლეგიტიმური მიზანი. ეს შეზღუდვა ატარებს კომპანიის მხრიდან დასჯის ხასიათს მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ყოფილი დასაქმებულის მიმართ. შესაბამისად, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ჩარევას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და არის თვითმიზნური.

განმცხადებელი ითხოვს, რომ შპს „ბიბლუსის“ მხრიდან გ.კ.-ს მიმართ დადგინდეს დისკრიმინაციის ფაქტი, ამასთან, სახალხო დამცველმა, დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციით მიმართოს შპს „ბიბლუსს“ და საქმეზე გამოიცეს ზოგადი წინადადება „ბიბლუსის“ ყოფილი თანამშრომლებისათვის შენობის ტერიტორიაზე გადაადგილების უკანონოდ შეზღუდვის პრევენციის მიზნით.

2017 წლის 4 დეკემბერს სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია „ბიბლუსის“ ქმედებებში²³ და მიმართა რეკომენდაციით, უზრუნველყოს განმცხადებლის შეუფერხებელი შესვლა აღნიშნული მალაზიის ნებისმიერ ფილიალში, ასევე, მისთვის მომსახურების განევა თანასწორ პირობებში. სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ არათანასწორი მოპყრობა მომჩივნის მიმართ ხდებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობისას. სახალხო დამცველმა მიუთითა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლება იცავს ადამიანის უფლებას, წარდგეს და წარმოჩნდეს საზოგადოებრივ ადგილებში. განმცხადებელს არ ეძლევა საშუალება, გააკეთოს არჩევანი და მიიღოს მომსახურება შპს „ბიბლუსის“ ფილიალში – „ბიბლუსი გალერეაში“, რის

²³ <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4974.pdf>

გამოც, სახალხო დამცველის განმარტებით, განმცხადებელს ეზღუდებოდა კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული უფლება.

სახალხო დამცველის თქმით, განმცხადებელი იყო არსებითად თანასწორი იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც „ბიბლუსის“ მალაზიებში შესვლა და მომსახურების მიღება შეეძლოთ. ამის მიუხედავად, „ბიბლუსი“ განმცხადებელს განსხვავებულად ეპყრობოდა. მოპასუხემ განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად მიუთითა, რომ განმცხადებლის მალაზიებში არშეშვების მიზანი წესრიგის დაცვა იყო. სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ განმცხადებლისათვის დაწესებული შეზღუდვა არ იყო წესრიგის მისაღწევად ვარგისი საშუალება. სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია იმის გამო, რომ მალაზიაში შესვლის აკრძალვა ხდებოდა არა უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად, არამედ მომჩივნის მიერ „ბიბლუსთან“ დაკავშირებით გამოთქმული განსხვავებული შეხედულების გამო. ეს გარემოება დასტურდებოდა განმცხადებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შპს „ბიბლუსის“ მხრიდან გ.კ-ს მიმართ 2017 წლის 21 თებერვალს ადგილი ჰქონდა პირდაპირ დისკრიმინაციას განსხვავებული შეხედულებების ნიშნით.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქართველოში შემოსვლაზე თვითნებური და დისკრიმინაციული უარი (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

2017 წლის 19 აპრილს Meydan.tv-ის აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ჯამალ ალი, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრინდა თბილისში დაგეგმილ სამსახურებრივ შეხვედრებზე დასასწრებად, საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოუშვეს. ჯამალ ალისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის ოფიციალურ საფუძველს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები“ წარმოადგენს. აღნიშნული საფუძველი კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული, რის გამოც, გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების შემოწმება თითქმის შეუძლებელია.

Meydan.tv აზერბაიჯანულენოვანი ონლაინ მედია-პლატფორმაა, რომელიც გერმანიაში დაფუძნდა. იგი ფარავს როგორც აზერბაიჯანში, ასევე რეგიონში მიმდინარე მოვლენებს სამ ენაზე – აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. Meydan.tv ალიევის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი და აქტიურად აშუქებს აზერბაიჯანში სახელისუფლებო კორუფციის საკითხებს. ამის გამო, მითითებული მედია-პლატფორმის თანამშრომელთა დიდი ნაწილი, მათ შორის ჯამალ ალიც, საკუთარი საქმიანობის გამო, პოლიტიკური და განსხვავებული შეხედულების ნიშნით, იდეენტებიან აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ და სხვა ქვეყნებში უწევთ ცხოვრებას.

ჯამალ ალის საქართველოში ხშირად უწევდა სამსახურებრივი და პირადი ვიზიტები. ამ მიზნით, ის არაერთხელ ყოფილა საქართველოში და 2017 წლის 19 აპრილამდე საქართველოს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია.

არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქართველოში ჯამალ ალის შემოშვებაზე უარი Meydan.tv-ში მის ჟურნალისტურ საქმიანობას, უფრო ზუსტად კი, 2017 წლის იანვარში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-ის შესახებ მის მიერ მომზადებულ კრიტიკულ სიუჟეტს უკავშირდება. კერძოდ, Meydan.tv-ზე 2017 წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა ჯამალ ალის სიუჟეტი,²⁴ რომლის ძირითადი მიზანი იყო აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის, SOCAR-ის განსხვავებული პოლიტიკის ჩვენება საქართველოსა და აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის სოფლებსა და ბაქოს მიმდებარე რაიონებში მოსახლეობას ბუნებრივი აირი შეფერხებით მიეწოდება. ამის გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს ზამთარში გათბობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. სიუჟეტის მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR, საკუთარი რესურსებით აზერბაიჯანში არსებული პრობლემების მოგვარების ნაცვლად, საქართველოში არსებული საკულტო ნაგებობების დიდ ნაწილს გაზით უფასოდ ამარაგებს. აღნიშნული სიუჟეტის შემდგომ, 2017 წლის 29 მარტს, თბილისში გარკვეულმა პირებმა გამართეს საპროტესტო აქცია,²⁵ რომლის ძირითადი მოთხოვნაც იყო საქართველოს ტერიტორიაზე Meydan.tv-ისა და ჯამალ ალის საქმიანობის აკრძალვა. სწორედ ამ აქციის შემდგომ, პირველივე ვიზიტის განხორციელებისას, ჯამალ ალიმ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაუსაბუთებელი უარი მიიღო საქართველოში შემოსვლაზე.

2017 წლის მაისში ჯამალ ალის საქართველოში შემოსვლაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება EMC-იმ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ადმინისტრაცი-

²⁴ ვიდეო ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=7AHetMZRMy0>

²⁵ ვიდეო ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=K5Dy9eunlkg>

ული საჩივრის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა ჟურნალისტისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ვინაიდან გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ არსებობდა ჟურნალისტისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველი. ამავე დროს, საქმის ფაქტობრივი გარემოებები ქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობაზე, რის შედეგადაც, სახელმწიფოს მიერ სადავო გადაწყვეტილებით ირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების მოთხოვნები.

2017 წლის 10 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ჯამალ ალის უარი ეთქვა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსგავსად, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება არანაირ დასაბუთებას არ შეიცავს. შესაბამისად, გაურკვეველია, რა გარემოებაზე დაყრდნობით ეთქვა ჯამალ ალის უარი საქართველოში შემოსვლაზე. გადაწყვეტილება მხოლოდ ბლანკეტურად, კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითების გარეშე, განსაზღვრავს, რომ ჯამალ ალი არ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისთვის საკმარისი საფუძველი იყო, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონშესაბამისია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

EMC აღნიშნულ გადაწყვეტილებებს უახლოეს მომავალში გაასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ბოლო პერიოდში, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს აზერბაიჯანის არადემოკრატიული ხელისუფლებისგან დევნილი აქტივისტების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლების საქართველოში ცხოვრებისა და საქმიანობის შემზღუდავ, სავარაუდოდ, თვითნებურ და დისკრიმინაციულ პრაქტიკას. აზერბაიჯანის მოქალაქეებს, რომლებიც აზერბაიჯანის პოლიტიკური სისტემისა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული და ოპოზიციური დამოკიდებულებით გამოირჩევიან, საქართველოს ხელისუფლება ხშირად უზღუდავს საქართველოში შემოსვლისა და ცხოვრების შესაძლებლობას.²⁶ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს კი, ის სხვადასხვა აბსტრაქტული და თვითნებური დასაბუთებით (ძირითადად, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესის მითითებით) ამართლებს. აღნიშნული პრაქტიკა აჩენს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ საქართველოს ხელისუფლება, მეზობელი არადემოკრატიული ხელისუფლებისადმი პოლიტიკური ლოიალობის გამო, თვითნებურად და დისკრიმინაციულად უზღუდავს კრიტიკულად განწყობილ აზერბაიჯანის მოქალაქეებს საქართველოში ცხოვრების, განვითარებისა და საქმიანობის შესაძლებლობას.

1.11. საცხოვრებელი ადგილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში საცხოვრებელი ადგილი სიტყვასიტყვით არის მოხსენიებული, შესაბამისად, ის კლასიკურ ნიშანს წარმოადგენს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი საცხოვრებელ ადგილს, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს, პირდაპირ ითვალისწინებს.

ვლადიმერ ჩიტაია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

წინამდებარე საქმე შეეხება კანონმდებლობით დადგენილი იმ ნორმების²⁷ კონსტიტუციურობას,

²⁶ იხ. საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (IPHR), „თავისუფლება ახლა“ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ მომზადებული ერთობლივი ანგარიში რეპრესია საზღვრებს მიღმა: „აზერბაიჯანიდან დევნილი მოქალაქეები საქართველოში“, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/2017/11/21/emcraport/>.

²⁷ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „რ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების, მე-4 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №225/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, ასევე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან და 39-ე მუხლთან მიმართებით.

რომელთა თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნებისთვის, პირველადი განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა არ აქვთ პირებს, რომლებსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნიათ, მათ შორის, მოსარჩელე პირის მსგავს მდგომარეობაში მყოფ უსახლკარო პირებს.

EMC დავობს, აღნიშნული ნორმების მოქმედების შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (თანასწორობის უფლება), მე-15 (სიცოცხლის უფლება), მე-17 (ღირსების უფლება) და 39-ე (უფლება სოციალურ უსაფრთხოებაზე) მუხლების დარღვევაზე. სადავო ნორმების მიხედვით, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე ნაკლებია. ამის პარალელურად, ბაზაში რეგისტრაციისთვის, ასევე, ოჯახად კვალიფიკაციისთვის აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრულია მუდმივ განცალკევებულ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრება. იმის მიუხედავად, უსახლკარო პირი აკმაყოფილებს თუ არა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის მეორე წინაპირობას, კერძოდ, შეფასების შემთხვევაში, იქნებოდა თუ არა მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლები, უსახლკარო პირები სანაყის ეტაპზე ხვდებიან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სოციალური საჭიროების მქონე პირთა კატეგორიის მიღმა. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამონაკლისსაც კი, როდესაც უსახლკარო პირებს შეუძლიათ კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობა.

თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია EMC-ს მიერ)

წინამდებარე საქმე შეეხება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის²⁸ კონსტიტუციურობას. კერძოდ, პირი ვერ დარეგისტრირდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ იგი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე ამ ფაქტს არ ეთანხმება. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში პირის რეგისტრაცია შეუძლებელია იმის მიუხედავად, დააკმაყოფილებდა თუ არა იგი საარსებო შემწეობის მისაღებად განსაზღვრულ შინაარსობრივ კრიტერიუმებს რეგისტრაციის მიზნებისთვის პირველადი განაცხადის წარდგენის შესაძლებლობის შემთხვევაში.

წარდგენილი სარჩელის ფარგლებში EMC დავობდა აღნიშნული ნორმების მოქმედების შედეგად საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (თანასწორობის უფლება), მე-15 (სიცოცხლის უფლება), მე-17 (ღირსების უფლება) და 39-ე (უფლება სოციალურ უსაფრთხოებაზე) მუხლების დარღვევაზე. მიუხედავად იმისა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში მცხოვრები პირები აკმაყოფილებენ თუ არა კანონმდებლობით დადგენილ შინაარსობრივ მოთხოვნებს, ისინი სანაყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საარსებო შემწეობის შესაძლო ბენეფიციართა კატეგორიის მიღმა ხვდებიან. ამავდროს, განსხვავებული მოპყრობა სახეზეა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში მცხოვრებ პირებს შორისაც, ამჯერად, პირველადი განაცხადის წარდგენის დროის ნიშნით. კერძოდ, 2013 წლის 1-ლი ივნისის მდგომარეობით, უკვე დარეგისტრირებული სხვა პირები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში ცხოვრების მიუხედავად, დაუბრკოლებლად იღებენ საარსებო შემწეობას. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, პირის ღირსებას, საბაზისო სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფის გარდა, ხელყოფს თავად სახელმწიფოს მიერ არჩეული მექანიზმი, რომელიც „პირის მინიმალური საჭიროებების გარეშე დატოვების“ მუქარით მანიპულირებს და სახელმწიფო საკუთრებაში უკვე შეჭრილი პირების მაგალითზე, საკუთრების დაკავების შესაძლო შედეგების დემონსტრირებით ცდილობს მომავალში სახელმწიფო საკუთრებაში შეჭრის ფაქტების პრევენციას. ლონისძიების „რეპრესიულობაზე“ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო საკუთრების დატოვების შემდგომაც, მოსარჩელეს შესაბამის ბაზაში დარეგისტრირებაზე ამჯერად მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არქონის გამო ეტყვის უარს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად 2017 წლის 7 ივლისს მიიღო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოცემული წესის წინააღმდეგობას კონსტიტუციის მე-14 და მე-17 მუხლებთან მიმართებით. საქმეზე არსებითი განხილვის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 2 ოქტომბერს. ამ ეტაპისთვის საქმის არსებითი განხილვის ეტაპი დასრულებულია, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

²⁸ „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

1.12. პროფესია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით იკრძალება დისკრიმინაცია პროფესიის ნიშნით. თუმცა, ამ ნიშნით ყველა განსხვავებული მოპყრობა ვერ იქნება დისკრიმინაცია, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვება მხოლოდ კონკრეტული პროფესიული უნარის მქონე ადამიანები და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ აღნიშნული სამუშაოს შესრულება. „დასაქმებისა და პროფესიის სფეროში თანაბარი მოპყრობის თაობაზე“ ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის №2000/78/EC დირექტივის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია: მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ, განსხვავებულად მოეპყრონ ადამიანს ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით და ასეთი მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, როდესაც განსხვავებული მოპყრობის მიზეზს წარმოადგენს განსაკუთრებული პროფესიული საქმიანობა, რასთან მიმართებითაც ხდება განსხვავებული მოპყრობა ან განსხვავებული მოპყრობის ნიშანი არის არსებითი და განმსაზღვრელი პროფესიული მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური და მოთხოვნა პროპორციული.²⁹ არსებითი პროფესიული მოთხოვნის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს ოტელოს როლისათვის შავკანიანის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება სხვა რასის წარმომადგენელთან შედარებით. ასეთი მოპყრობა მართლდება არსებითი პროფესიული მოთხოვნის ტესტით და არ მიიჩნევა დისკრიმინაციად.

არსებითი (*bona fide*) პროფესიულ მოთხოვნას, როგორც განსხვავებული მოპყრობის გამართლებას, ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაც. 1964 წლის სამოქალაქო თავისუფლების აქტში აღნიშნულია: დამსაქმებელს შეუძლია, განსხვავებულად მოეპყროს ადამიანს რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმოშობის ნიშნით, როდესაც განსაზღვრულ ვითარებაში რელიგია, სქესი და ეროვნული წარმოშობა *bona fide* პროფესიული მოთხოვნაა, რაც გონივრულად აუცილებელია განსაზღვრული ბიზნესის ან წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. აშშ-ის უზენაესი სასამართლო ვინაობა განმარტავს არსებითი პროფესიული მოთხოვნის სტანდარტს. მაგალითად, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ამ სტანდარტზე დაყრდნობით, გამართლებულია მაღალი რისკის მამაკაცთა სასჯელალსრულების დაწესებულებაში ქალების დასაქმების აკრძალვა. იმავდროულად, არსებით პროფესიულ მოთხოვნად არ მიიჩნია და დისკრიმინაცია დაადგინა საქმეში, როდესაც ბატარეის მწარმოებელი არ ასაქმებდა ფეხმძიმე და განაყოფიერების უნარის მქონე ქალებს. დამსაქმებელი ამგვარ მოპყრობას ხსნიდა იმით, რომ ბატარეის წარმოება დაკავშირებული იყო გამოსხივებასთან, რაც ზიანს აყენებდა ნაყოფს, ქალის პროკრეაციულ ფუნქციებს და დავობდა იმის თაობაზე, რომ ეს სამუშაო ან მამაკაცს უნდა შეესრულებინა ან ქალს, რომელიც უნაყოფო იყო.³⁰

მომდევნო საქმე ეხება სწორედ პროფესიის გამო ადამიანის შევიწროებას. ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებს, რომ იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელთან დაკავშირებითაც მის მიმართ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას, იურისტის განათლება არ იყო არსებითი პროფესიული მოთხოვნა და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას.

ე.ფ. საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის აპარატის უფროსისა და კომიტეტის თავმჯდომარის, სოფო კილაძის წინააღმდეგ

ე.ფ. არის საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, პროფესიით ჟურნალისტი. მისი განმარტებით, 2017 წლის თებერვალში კომიტეტის ხელმძღვანელმა მოსთხოვა განცხადების დაწერა სამსახურიდან წასვლის შესახებ, რადგან განათლებით იურისტი არ იყო. ე.ფ-მ სამსახურიდან ნებაყოფლობით წასვლაზე უარი განაცხადა. კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნულის შემდგომ განუცხადა, რომ, თუ ნებით არ წავიდოდა სამსახურიდან, დისციპლინური წარმოების საფუძველზე მოხდებოდა მისი გათავისუფლება, რადგან მისცემდა ისეთ დავალებებს, რომლებსაც, როგორც არაიურისტი, ვერ შეასრულებდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული პოზიციის დასაკავებლად მოქალაქეს არ მოეთხოვება იურისტის კვალიფიკაცია. მსგავსი ფუნქციური დატვირთვის თანამდებობაზე არაიურისტები მუშაობენ პარლამენტის სხვა კომიტეტებშიც.

მოვლენების შემდგომი განვითარება ადასტურებს, რომ ე.ფ-ს მიმართ ადგილი აქვს შევიწროებას პროფესიული ნიშნით. კომიტეტის თავმჯდომარე ახდენს ე.ფ-ს ნორმალურ სამუშაო სიტუაციაზე თავდასხმას, დროის მცირე მონაკვეთში შესასრულებლად აძლევს იმგვარ დავალებებს, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლოს მათი შესრულება. მიუხედავად შექმნილი მტრული, სტრესული ვითარებისა, არასამუშაო საათებში მუშაობის ხარჯზე, ე.ფ. ასრულებს მიცემულ დავალებებს, თუმცა, თავმჯდომარე მუდმივად იწუნებს მათ ხარისხს.

²⁹ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32000L0078>

³⁰ <https://www.law.cornell.edu/supct/html/89-1215.ZO.html>

ამასთან, დისციპლინური წარმოების შედეგად, ე.ფ-ს შეეფარდა საყვედური. დისციპლინური ზომის გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, დისკრიმინაციის დადგენისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, ე.ფ-მ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. ამ ეტაპზე საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილება.

1.13. სსპა ნიშანი

არც კონსტიტუციის მე-14 მუხლში, არც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში არ არის ნახსენები დისკრიმინაციის აკრძალვა განათლების მიღების ფორმის, კერძო სადაზღვევო სქემის დატოვების თარიღის და ნასამართლობის საფუძველზე. თუმცა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში ნახსენებია – „ან სხვა ნიშნის მიუხედავად,“ რაც, ბუნებრივია, გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, ზემოხსენებული ნიშნით. მართალია, „ან სხვა ნიშნის მიუხედავად“ ჩანაწერი არ გვხვდება საანგარიშო პერიოდისთვის მოქმედი კონსტიტუციის მე-14 მუხლის რედაქციაში, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლი საქმეში „ახალი მემარჯვენეები და საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და მიღებული გადაწყვეტილების მეორე თავის მეოთხე პუნქტში აღნიშნა:

„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის შინაარსის (დაცული სფეროს) სრულყოფილი განმარტებისთვის, თავად კანონის წინაშე თანასწორობის უფლების არსიდან უნდა გამოვიდეთ. « ... ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა... მხოლოდ ვინრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში. »

კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავად მიჩნევა თავისთავად გამოიწვევს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ ნებისმიერი სხვა ნიშნით დიფერენციაციის შემთხვევები არ არის დისკრიმინაციული, რადგან არ არის დაცული კონსტიტუციით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეული მათგანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოუხსენიებლობა, დიფერენციაციის დაუსაბუთებლობას ვერ გამოორიცხავს.“

ამგვარად, დისკრიმინაცია აკრძალულია აგრეთვე იმ ნიშნების საფუძველზე, რომლებიც კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის მოხსენიებული. თუმცა, თუკი დიფერენცირება ხდება კონსტიტუციაში ჩამოთვლილი კლასიკური ნიშნების საფუძველზე, სასამართლო იყენებს „მკაცრი შეფასების ტესტს.“ თუ დიფერენცირება ამ ნიშნების საფუძველზე არ ხდება, მაგრამ ის მაღალი ხარისხისაა, საკონსტიტუციო სასამართლო ასევე გამოიყენებს „მკაცრი შეფასების ტესტს“, ხოლო როცა დიფერენცირება არ არის მაღალი ხარისხის, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს რაციონალური კავშირის ტესტს.

გ.ბ. თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

გ.ბ-მ 2017 წლის 10 მარტს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. მოსარჩელე თავდაცვის სამინისტროში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს და გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში. კადრების განკარგულებაში ყოფნისას იგი წარდგენილი იყო თავდაცვის სამინისტროში ერთ-ერთ თანამდებობაზე, თუმცა, მას დანიშვნაზე უარი ეთქვა გაქარწყლებული ნასამართლობის გამო.

თავდაცვის სამინისტროს წერილობით პასუხში პირდაპირ არის მითითებული, რომ გ.ბ. არ უნდა დანიშნულიყო ამ თანამდებობაზე წარსულში ნასამართლობის გამო (იგულისხმება გაქარწყლებული ნასამართლობა). გ.ბ-მ შსს-ს მომსახურების სააგენტოდან წარმოადგინა ცნობა ნასამართლობის შესახებ, რომლის თანახმადაც, იგი ნასამართლობის არმქონე პირია. გ.ბ-მ ასევე წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სამსახურში მიღებისას უკვე გაქარწყლებული ჰქონდა ნასამართლობა და შემდგომში არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, შესაბამისად, თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმისას მას ნასამართლობა არ ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც მოპასუხეს ჩაჰბარდა სარჩელი და თანდართული მასალები, თავდაცვის სამინისტრომ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და გ.ბ. სარჩელში მითითებულ თანამდებობაზე დანიშნა. სამსახურში აღდგენის გამო, მოსარჩელემ სარჩელი სრულად გამოიხმო.

დ.ბ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2017 წლის 11 მაისს დ.ბ-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ. დ.ბ-მ განათლება მიიღო საზღვარგარეთ დისტანციურად ისე, რომ სწავლის პერიოდში არ უფიქსირდებოდა საზღვრის კვეთა. საზღვარგარეთ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარი ეთქვა განათლების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება არ გულისხმობს ისეთი განათლების აღიარებას, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მაინც არ მიმდინარეობს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სარჩელში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ბენეფიციარს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებაზე უარი ეთქვა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ არ უფიქსირდებოდა საზღვრის კვეთა. თუმცა, განათლების სამინისტრომ აღიარა იმავე უნივერსიტეტდამთავრებულ პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ უფიქსირდებოდათ საზღვრის კვეთა.

მოსარჩელე ითხოვს დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრას, ამ მიზნით, მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობას და დიპლომის აღიარებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ საქმის განხილვა ჯერ არ დაუწყია.

როინ გავაშელიშვილი და ვალერიან მიგინეიშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (საქმე მომზადებულია საიას მიერ)

2015 წლის 3 ივნისს საიამ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა მთავრობის დადგენილების იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც ადამიანებს, რომლებსაც კერძო დაზღვევა შეუწყდათ 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ, გამორიცხავდა საყოველთაო დაზღვევის საბაზისო პაკეტით მოსარგებლეთა წრიდან. ასეთ პირებს შეეძლოთ, ესარგებლათ მხოლოდ მინიმალური პაკეტით, რაც არ ანაზღაურებდა გეგმიურ ოპერაციებს.

საიას მიაჩნდა, რომ ეს ნორმა იყო დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლს.

2016 წლის 11 მაისს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმეზე არსებითი განხილვა გაიმართა. 2017 წლის 9 თებერვალს შეიცვალა მთავრობის დადგენილება, რომლითაც 2013 წლის 1-ლი ივლისის ზღვარი ნორმიდან იქნა ამოღებული, რაც გულისხმობს, რომ საიას ბენეფიციარები ავტომატურად ხდებიან საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტის მომხმარებლები.

2017 წლის 25 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო და სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ 2013 წლის 1-ლი ივლისის წყალგამყოფი ახდენდა იმ ადამიანების დისკრიმინაციას, რომლებმაც 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ დაკარგეს კერძო დაზღვევა და ვერ სარგებლობდნენ საყოველთაო დაზღვევის საბაზისო პაკეტით. სასამართლომ ამ საქმეში გამოიყენა რაციონალური კავშირის ტესტი, ვინაიდან დიფერენცირება არ ხდებოდა არც კონსტიტუციაში აღნიშნული კლასიკური ნიშნით და არც ინტენსივობა იყო მაღალი (ინტენსივობა მაღალი არ იყო, ვინაიდან პირები, რომლებსაც 2013 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ შეუწყდათ კერძო დაზღვევა, სარგებლობდნენ მინიმალური პაკეტით და სრულად არ იყვნენ გარიცხულნი საყოველთაო ჯანდაცვიდან).

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოპასუხის არგუმენტი საბიუჯეტო რესურსების დაზოგვასთან დაკავშირებით არარაციონალური იყო, ვინაიდან მინიმალური პაკეტით სახელმწიფო ბიუჯეტი ანაზღაურებდა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. გადაუდებელი ოპერაციები, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს, ვიდრე დაავადების სანყის სტადიაზე მკურნალობა გეგმიური ოპერაციის გზით.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, კერძო სადაზღვევო სქემებიდან საყოველთაო დაზღვევის სქემაში ხელოვნური გადინების აღმოფხვრა შესაძლებელი იყო სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით და არა – იმ ადამიანებისთვის საყოველთაო დაზღვევაზე უარის თქმით, რომლებმაც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საყოველთაო დაზღვევით სარგებლობის შესაძლებლობა დაკარგეს.

2. კოალიცია „თანასწორობისთვის“ წევრების მიერ წარმოებული საქმეებიდან გამომდინარე დასკვნები და რეკომენდაციები

2.1. მტკიცების ტვირთი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³¹-ე მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთის გადანაწილების იდენტურ სტანდარტს: მოსარჩელემ (მომჩივანმა) სასამართლოში (სახალხო დამცველის აპარატში) უნდა წარადგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

რა ფაქტები და მტკიცებულებები აჩენს დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს? ამ კითხვაზე პასუხს კანონმდებლობა არ იძლევა. ეს საკითხი პრაქტიკით წყდება. ამ თავში საუბარი იქნება იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება მოსარჩელის (მომჩივნის) მტკიცების ტვირთის განმარტება პრაქტიკაში.

მოსარჩელის მტკიცების ტვირთის განმარტებისას, პირველ რიგში, განხილული იქნება ამ საკითხზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 1973 წელს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე *McDonnell Douglas Corp. v. Green*, სადაც სასამართლომ განმარტა აშშ-ის სამოქალაქო უფლებების შესახებ 1964 წლის კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. ამ საქმეში მოსარჩელეს (უზენაეს სასამართლოში საქმის წაღების შემდეგ – მონინალმდევე მხარეს) წარმოადგენდა პროფკავშირების შავკანიანი აქტივისტი, რომელმაც დამსაქმებლის მიმართ პროტესტის ნიშნად მანქანით ჩახერგა ქარხნისაკენ მიმავალი გზა სამუშაოს დაწყების წინ, რითაც შეაფერხა ქარხნის ნორმალური მუშაობა. მოპასუხეს ამ საქმეში წარმოადგენდა ამ ქარხნის მფლობელი მაკდონელ დუგლასის კორპორაცია (უზენაეს სასამართლოში ეს მხარე იყო მომჩივანი, ვინაიდან ქვედა ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ მიიღო). მაკდონელის კორპორაციამ მოსარჩელეს არ გაუგრძელა შრომითი ხელშეკრულება. მოსარჩელე აცხადებდა, რომ ამის მიზეზი მისი რასობრივი კუთვნილება და საპროტესტო აქციაში მონაწილეობა იყო.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა მტკიცების შემდეგი სტანდარტი – მოსარჩელეს, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლს, უნდა ემტკიცებინა კონკრეტული გარემოებები, კერძოდ:

- 1) მოსარჩელეს ახასიათებს განსაზღვრული ნიშანი, ან მიეკუთვნება კონკრეტულ ჯგუფს;
- 2) მოსარჩელეს ჰქონდა კვალიფიკაცია კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად;
- 3) კვალიფიკაციის მიუხედავად, მოსარჩელეს უარი უთხრა მოპასუხემ თანამდებობის დაკავებაზე;
- 4) უარის შემდგომ მოპასუხემ გააგრძელა მოსარჩელის მსგავსი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატის ძებნა.³¹

მას შემდეგ, რაც მოსარჩელე მიუთითებდა ზემოხსენებულ ოთხ გარემოებაზე და წარადგენდა ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, მტკიცების ტვირთი გადადიოდა მოპასუხეზე. მოპასუხეს შეეძლო, ემტკიცებინა, რომ მოსარჩელეს ხელშეკრულება არ გაუგრძელა არა იმიტომ, რომ მიუკუთვნებოდა რასობრივ ან სხვა ჯგუფს, არამედ იმის გამო, რომ საბოტაჟის გზით ზიანი მიაყენა საწარმოს გამართულ მუშაობას. სასამართლოს თქმით, საბოტაჟი საკმარისი არგუმენტი ვერ იქნებოდა, თუ მოსარჩელე, თავის მხრივ, დამტკიცებდა, რომ დამქირავებელს არ გაუთავისუფლებია პროფკავშირის წევრი თეთრკანიანი დაქირავებულები, რომლებმაც ანალოგიური ქმედება ჩაიდინეს (მანქანით გადაკეტეს ქარხანამდე მისასვლელი გზა).

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მსგავს სტანდარტს იყენებს ლუქსემბურგის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოც. სუსანა ბრუნჰოფერის საქმე ეხება ქალის და მამაკაცისათვის შრომის თანაბარი ანაზღაურების მიღებას.³² მაკდონელის საქმის მსგავსად, ამ საქმეშიც მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ მოსარჩელეს დააკისრა მტკიცების შემდეგი ტვირთი:

- 1) მომჩივანს ახასიათებს დაცული ნიშანი (ქალია);
- 2) მომჩივანს მამაკაცებზე ნაკლებს უხდიდნენ;
- 3) მომჩივანს ქალს აქვს იგივე კვალიფიკაცია და ასრულებს იმავე მოცულობის სამუშაოს, რასაც მამაკაცები.

ამ სამი გარემოების დამტკიცების შემდეგ მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე უნდა გადასულიყო.

³¹ <https://supreme.justia.com/cases/federal/us/411/792/case.html>

³² <http://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?sessionid=9ea7d0f130d54d2a931aa04f433f9657dace9924c7a5.e34KaxiLc3eQc40LaxQM bN4PaNeSe0?text=&docid=46464&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=116576>

როგორია მტკიცების ტვირთი სახალხო დამცველის აპარატსა და სასამართლოში. რამდენად ემთხვევა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და სასამართლოში გამოყენებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი ზემოხსენებულ ორ საერთაშორისო სტანდარტს? ამ საკითხის გასარკვევად, მნიშვნელოვანია, კოალიციის წევრი ორგანიზაციების მიერ წაწარმოები საქმეების განხილვა.

საქმეში „PHR ჭიათურის საკრებულოს წინააღმდეგ“ მიღებულ რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა განაცხადა: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია, გადადის მოპასუხე მხარეზე. დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება“.³³

ამგვარად, ეს მიდგომა ზუსტად პასუხობს ზემოხსენებულ ორ საერთაშორისო სტანდარტს: მომჩივანი ასაბუთებს:

- 1) მომჩივანს ახასიათებს დაცული ნიშანი;
- 2) მომჩივანი არის ანალოგიურ მდგომარეობაში, როგორშიც ის პირი, რომელსაც ეს ნიშანი არ ახასიათებს;
- 3) ამის მიუხედავად, პირი, რომელსაც არ ახასიათებს ის ნიშანი, რაც მომჩივანს, უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ვიდრე მომჩივანი.

ამ სამი გარემოების დადასტურების შემდეგ მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე. მოპასუხემ ლეგიტიმურ მიზანზე მითითებით უნდა ახსნას, რას ემსახურება ეს განსხვავება. მოპასუხემ ასევე უნდა დაასაბუთოს, რამდენად არის ეს განსხვავება ობიექტურად და გონივრულად გამართლებული აღნიშნული მიზნის მისაღწევად. საქმეში „PHR ჭიათურის საკრებულოს წინააღმდეგ“ სწორად მოხდა ამ სტანდარტის გამოყენება, როცა მომჩივანი ასაბუთებდა, რომ საკრებულოს დადგენილებით, ხდებოდა იმ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება, რომლებიც არ იყვნენ უსინათლოები, თუმცა, იყვნენ უსინათლო პირების ანალოგიურ მდგომარეობაში. კერძოდ, ჭიათურის საკრებულო აფინანსებდა მხოლოდ უსინათლო პირების კომუნალურ გადასახადს და ამ შეღავათზე უარს ეუბნებოდა სხვა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. მომჩივნის მიერ ამ სამი გარემოების დამტკიცების შემდეგ სახალხო დამცველმა მტკიცების ტვირთი ჭიათურის საკრებულოზე გადაიტანა.

მტკიცების ტვირთის სტანდარტზე საუბრობს თბილისის საქალაქო სასამართლო საქმეზე – „ეკატერინე მიშველაძე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ“: „როდესაც დასაქმებული მიუთითებს შრომის ხელშეკრულების მოშლის დისკრიმინაციულ საფუძველზე, მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება (...) ამასთან, მტკიცების ტვირთის ამგვარი გადახანძრება არ ნიშნავს, რომ მოსარჩელე სრულად თავისუფლდება მტკიცების ვალდებულებისგან: მან უნდა დაასახელოს ის ფაქტები, რაც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს ქმნის და წარმოადგინოს საჭირო მტკიცებულებები, დაასახელოს კომპარატორი – მიუთითოს ანალოგიურ ვითარებაში მყოფ პირზე, რომლის მიმართაც სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება მოხდა და ა.შ.“

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სწორად მიუთითებს მოსარჩელის მტკიცების ტვირთის სტანდარტზე. თუმცა, როგორც სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებიდან ირკვევა, მოსარჩელემ წარმატებით დააკმაყოფილა აღნიშნული სტანდარტი: მან მიუთითა ნიშანზე, თავის ოჯახურ მდგომარეობაზე, რაც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან მისი აფილირების შესაძლებლობას იძლეოდა, იმაზე, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა – აღარ გაუგრძელეს შრომითი ხელშეკრულება, მოსარჩელე კომპარატორად ასახელებს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ იმ თანამშრომლებს, რომელთა ოჯახის წევრები არ იყვნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები და რომლებსაც შრომითი კონტაქტები გაუგრძელეს. ამ სამი გარემოების მითითების შემდეგ სასამართლოს მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე – „საზოგადოებრივი მაუწყებელზე“ უნდა გადაეიტანა.

მოპასუხე ამტკიცებს, რომ ეკატერინე მიშველაძის გადაცემის მსგავსად, დაიხურა სხვა გადაცემებიც და ფორმატი შეეცვალა რამდენიმე პროგრამას. მოპასუხის ამ არგუმენტს სასამართლო იზიარებს. სასამართლო გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, კონკრეტულად რომელი გადაცემები დაიხურა „საზოგადოებრივი მაუწყებელზე“ ეკატერინე მიშველაძის გადაცემის გარდა, ასევე, რომელ პოლიტიკურ

³³ <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4762.pdf>

ძალასთან იყენენ აფილირებულნი ის ავტორები, რომელთა გადაცემებიც დაიხურა. თუ დახურული გადაცემების ავტორები არცერთ პოლიტიკურ ძალასთან არ იყენენ აფილირებულნი, რამდენად სწორია მოპასუხის მხრიდან ამ კომპარატორზე მითითება მაშინ, როდესაც, მოსარჩელის თქმით, მისი გადაცემა არ დაიხურებოდა, მოსარჩელის მეუღლე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრი რომ არ ყოფილიყო. მაკდონელის საქმის სტანდარტით, მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა, რომ ეკატერინე მიშველადის გადაცემასთან ერთად, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ სახელისუფლებო პოლიტიკური პარტიის ლიდერების ოჯახის წევრების გადაცემებიც დაიხურა, ან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ოჯახის წევრების გადაცემები დარჩა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში.

თავისი პოზიციის დასადასტურებლად, მოსარჩელე მხარემ წარადგინა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მრჩევლის, ბასა ჯანიკაშვილის საჯარო განცხადება, სადაც პირდაპირ არის საუბარი ეკატერინე მიშველადის გადაცემის ეთერში არგავლის მიზეზზე – გადაცემის წამყვანის ქორწინებაზე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერთან. თბილისის საქალაქო სასამართლომ ორი მიზეზის გამო უარყო ეს მტკიცებულება:

- 1) ეს განცხადება წარმოადგენდა თავად ბასა ჯანიკაშვილის პირად და არა – „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პოზიციას;
- 2) თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება შედიოდა გენერალური დირექტორის და არა – მისი მრჩევლის კომპეტენციაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს არ უთხოვია მოპასუხისგან იმის დამტკიცება, რომ გენერალური დირექტორის მრჩევლს არ ჰქონდა არავითარი გავლენა გენერალურ დირექტორზე გადაცემების დახურვასა და საკადრო საკითხებთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლო უნდა დაინტერესებულიყო, რა შედიოდა გენერალური დირექტორის მრჩევლის უფლებამოსილებაში. ეს იყო ის გარემოება, რომელიც სწორედ მოპასუხეს უნდა დამტკიცებინა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლთან (შეკრების თავისუფლება) კავშირში საქმეზე „ბაჩკოვსკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ“.³⁴ ამ საქმეში ვარშავის მერმა ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ჰომოსექსუალებს ქუჩებში მსვლელობის მოსაწყობად ნებართვას არ მისცემენ. ნებართვის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიიღო გზებზე მოძრაობის რეგულირებაზე პასუხისმგებელმა თანამდებობის პირმა. ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა ვარშავის მერის ზემოხსენებული ინტერვიუ. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ განცხადებას შეეძლო გავლენა მოეხდინა ნებართვის გაცემის პროცესზე. ამით კი, დისკრიმინაციულად შეილახა მომჩივნების შეკრების თავისუფლება.³⁵

გადაწყვეტილების მიმღებ პირზე გავლენის ტესტი კარგად გამოჩნდა რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის საქმეზე. რუსთავის საქალაქო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია რუსთავის მერიის ქმედებაში, რომელმაც უარი უთხრა კათოლიკე თემს ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მიუხედავად იმისა, რომ მერია უარყოფდა დისკრიმინაციული მოტივით ნებართვის გაცემაზე უარს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა პროტესტი მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან, რასაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა რუსთავის მერიის ამ გადაწყვეტილებაზე. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „2014 წლის დეკემბერში მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, არ ამენებულიყო კათოლიკური ეკლესია. შეხვედრას ესწრებოდნენ სასულიერო პირები.“

ასევე, საინტერესოა სასამართლოს მხრიდან განსხვავებული მოპყრობის გამართლება საქმეში „მ.ჩ. თბილისის 130-ე საჯარო სკოლის წინააღმდეგ“, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა თანაკლასელის მხრიდან შავკანიანი მოსწავლის მისამართით ნათქვამი რასისტული ფრაზა: „წადი შენს აფრიკაში, შენი ადგილი ცივილიზაციაში არ არისო.“ მოსარჩელე აღნიშნულ საქმეში დავობდა, რომ გამოვლინდა უმოქმედობა რასისტული ხასიათის შევიწროების ფაქტზე. თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს მიმართვა არ მიიჩნია რასისტულად და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ამ მიმართვის მიზეზი იყო არა მოსწავლის კანის ფერი, არამედ მისი ხმამაღალი საუბარი. სასამართლოს თქმით, ხმამაღალი საუბარი და მასწავლებლის მიმართ დაუმორჩილებლობა დამახასიათებელია აფრიკაში მცხოვრები პირველყოფილი ტომებისთვის, რომლებიც ცივილიზაციისგან შორს დგანან.

ამ საქმეში მოსწავლის სადავო ფრაზაზე სკოლის უმოქმედობის გამართლებად სასამართლომ მიიჩნია აფრიკელ ხალხთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპული შეხედულებები. ცალკეული ხალხის „ცივილიზებულობასთან“ დაკავშირებული სტერეოტიპული შეხედულებები ვერ გამოდგება დისკრიმინაციულ გამონათქვამებზე სკოლის უმოქმედობის გასამართლებლად. აშშ-ის უზენაესმა სასამართ-

³⁴ <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-80464>

³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მე-100 პუნქტი საქმეზე „ბაჩკოვსკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ“.

ლომ საქმეში – „მისისიპის უნივერსიტეტი ქალებისათვის ჰოგანის წინააღმდეგ“ – განაცხადა: „კანონის დისკრიმინაციულობის შეფასებისას, სასამართლო თავდაპირველად არკვევს იმას, თავად კანონი ხომ არ ეფუძნება არქაულ და სტერეოტიპულ მოსაზრებებს. თუკი კანონი მიზნად ისახავს ცალკეული ჯგუფის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას ... იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ... ეს ჯგუფი სხვაზე დაბლა დგას, კანონმდებლის ასეთი მიზანი თავისთავად არალეგიტიმურია.“³⁶ საქმეში „ქალაქი კლებურნი კლებურნის საცხოვრებელი ცენტრის წინააღმდეგ“ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა – იმ კანონის მიზანი, რომელიც ეფუძნება ირაციონალურ სტერეოტიპებს, უკვე არაკონსტიტუციურია.³⁷

№130 საჯარო სკოლის ქმედების შესაფასებლად სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა აფრიკელი ხალხის ცივილიზებულიობის შესახებ სტერეოტიპული შეხედულებებით. ასეთი შეხედულებები, არათუ ამართლებს განსხვავებულ მოპყრობას, არამედ ასეთი მიზნის არსებობა, განსხვავებული მოპყრობის შემდგომი შეფასების გარეშე, უკვე დისკრიმინაციულია. ასეთი მიზანი არცერთ შემთხვევაში არ იქნება ლეგიტიმური.

ამგვარად, როგორც სახალხო დამცველი, ისე საერთო სასამართლოები სწორად განსაზღვრავენ, თუ როგორ გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. ამის მიუხედავად, უარყოფითად უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული შევიწროების გამართლება აფრიკელ ხალხზე არსებული სტერეოტიპებით. ასევე, მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას მხედველობაში მიიღოს, თუ რა გავლენის მოხდენა შეეძლო დისკრიმინაციულ განცხადებას იმ გადანყვეტილებაზე, რომელიც გასაჩივრებულია დისკრიმინაციის მსხვერპლის მიერ.

2.2. გონივრული მისადაგების პრინციპი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, „გონივრული მისადაგება“ გულისხმობს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

გონივრული მისადაგება არ არის პრინციპი, რომელიც მხოლოდ შშმ პირების თანასწორობის მიღწევას ემსახურება. ეს პრინციპი გამოიყენება რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით, რათა ნეიტრალურმა რეგულაციებმა ხელი არ შეუშალოს მოქალაქეს თავისი რელიგიური პრაქტიკის განხორციელებაში. როცა ზოგადი და ნეიტრალური წესი შეუძლებელს ხდის მოქალაქის მიერ საკუთარი რელიგიური პრაქტიკის განხორციელებას (მაგალითად, შრომის კონტრაქტი ებრაელისგან ითხოვს შაბათ დღეს მუშაობას მაშინ, როდესაც რელიგია ამ დღეს ებრაელისგან ითხოვს დასვენებას), გონივრული მისადაგების პრინციპი უზრუნველყოფს ზოგადი და ნეიტრალური წესისგან გამონაკლისის დაწესებას. გონივრული მისადაგების პრინციპის თანახმად, ებრაელის შრომითი კონტრაქტი იმგვარად მოდიფიცირდება, რომ მას შაბათ დღეს დასვენების შესაძლებლობა მიეცეს. მისადაგება უნდა იყოს გონივრული. მისადაგება არ განხორციელდება, თუ დამსაქმებელს ებრაელი დასაქმებულის შაბათ დღეს გათავისუფლება გაუმართლებლად მძიმე ტვირთად დაანება.

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, 2015 წლის 1 ივნისს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის კომისია აბერკრომბის და ფითჩის მალაზიების წინააღმდეგ“. ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: ტანსაცმლის მალაზიების კომპანია თავის დასაქმებულებს უწესებდა ჩაცმის პოლიტიკას, კერძოდ, უკრძალავდა „კეპის“ ტარებას. სამანტა ელაუფი იყო მუსლიმი ქალი და ამიტომ თავსაბურავს ატარებდა. სამანტამ დასაქმების მიზნით მიმართა აბერკრომბის მალაზიას. ინტერვიუერმა (მალაზიის მენეჯერის ასისტენტმა) სამანტა შეაფასა კვალიფიციურად ვაკანსიაში მითითებული პოზიციის დასაკავებლად. ამის მიუხედავად, მენეჯერის ასისტენტმა წუხილი გამოთქვა, რომ თავსაბურავი წინააღმდეგობაში მოდიოდა კომპანიის ჩაცმის პოლიტიკასთან. მენეჯერის ასისტენტმა ეჭვი გამოთქვა, რომ სამანტას მიერ თავსაბურავის ტარება რწმენით იყო მოტივირებული. საბოლოოდ, სამანტას უარი უთხრეს დასაქმებაზე.³⁸

თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის კომისიამ კომპანიას სასამართლოში უჩივლა. პირველი ინსტანციის სასამართლომ კომპანიას 20 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა. სააპელაციო სასამართ-

³⁶ <https://supreme.justia.com/cases/federal/us/458/718/case.html#725>

³⁷ <https://supreme.justia.com/cases/federal/us/473/432/case.html>

³⁸ https://www.supremecourt.gov/opinions/14pdf/14-86_p86b.pdf

ლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა, ვინაიდან, კანონის შესაბამისად, დამსაქმებელს ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდა დასაქმების მსურველის რელიგიური მრწამსის თაობაზე, შესაბამისად, დასაქმებაზე უარი დისკრიმინაციული ვერ იქნებოდა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ (რვა – ერთის წინააღმდეგ, მოსამართლე სკალიას აზრი) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ისევ სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის დასადაგენად აუცილებელი არ იყო იმის დაზუსტება, იცოდა თუ არა დამსაქმებელმა დასაქმებულის რელიგიური კუთვნილების თაობაზე.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ 1964 წლის სამოქალაქო თავისუფლების კანონი კრძალავს რელიგიის ნიშნით განსხვავებულ მოპყრობას. სიტყვა „რელიგია“ მოიცავს რელიგიური მოთხოვნების შესრულებისა და პრაქტიკის ყველა ასპექტს, მათ შორის, მრწამსს. სამოქალაქო თავისუფლების კანონი დამსაქმებლისგან ითხოვს, საკუთარი საქმიანობა **გონივრულად მიუსადაგოს დასაქმებულის მიერ რელიგიური წესების დაცვას, რელიგიურ პრაქტიკას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისადაგება არაგონივრულია, ვინაიდან მძიმე ტვირთად აწვება დამსაქმებლის საქმიანობას.**³⁹

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა: არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ნეიტრალური პოლიტიკით არ შეიძლება განზრახ დისკრიმინაციული ქმედების ჩადენა, არ შეესაბამება ანტიდისკრიმინაციულ კანონს. ანტიდისკრიმინაციული კანონი არ ითხოვს მხოლოდ ნეიტრალობის დაცვას რელიგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით... რა თქმა უნდა, შესაძლებელია, არსებობდეს ზოგადი პოლიტიკა, რომელიც კრძალავს თავსაბურავის ტარებას. ამის მიუხედავად, როცა ადამიანი ითხოვს თავისი რელიგიური პრაქტიკის ცალკეული ასპექტის გონივრულ მისადაგებას, ამ მოთხოვნაზე ადეკვატურ პასუხს არ წარმოადგენს დაქირავებაზე უარის თქმა ნეიტრალური პოლიტიკის გამო. ანტიდისკრიმინაციული კანონი ითხოვს, რომ ნეიტრალურმა პოლიტიკამ გზა დაუთმოს გონივრული მისადაგების საჭიროებას.⁴⁰

რაც შეხება შემთხვევას, როდესაც ნეიტრალური პოლიტიკის შეცვლა, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული პირის საჭიროებებთან მისადაგების მიზნით, არ არის გონივრული, ვინაიდან დაკავშირებულია გაუმართლებელ სირთულეებთან, ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „შეერთებული შტატების ავიახაზები ბარნეტის წინააღმდეგ“.⁴¹

ბარნეტი მუშაობდა ავიაკომპანიაში ტვირთის მზიდვად, როდესაც ზურგი დაიზიანა. სანარმოო ტრავმის შემდეგ ბარნეტი გადაიყვანეს ავიაკომპანიის წერილების განყოფილებაში, სადაც მისი საქმიანობა არ იყო დაკავშირებული ტვირთის ტარებასთან. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ წერილების განყოფილებაში გამოცხადდა ვაკანსია, სადაც განაცხადი შეიტანა როგორც ბარნეტმა, ისე ავიაკომპანიის ორმა თანამშრომელმა. კომპანიამ ამ პოზიციის დასაკავებლად უპირატესობა მიანიჭა იმ ორ თანამშრომელს, რომლებსაც კომპანიაში ბარნეტზე მეტი მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ, თუმცა, ეს პირები არ იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი. ბარნეტმა მიუთითა ფედერალურ კანონზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამერიკელების შესახებ (Americans with disabilities act - ADA), რომელიც დამსაქმებლისგან ითხოვდა მისი დასაქმების პოლიტიკის გონივრულ მისადაგებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.

აშშ-ის უზენაესი სასამართლო დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, გაერკვია, სთხოვდა თუ არა ADA დამსაქმებელს კომპანიაში მუშაობის სტაჟის ხანგრძლივობის მიხედვით დანიშნულების წესის გაუქმებას იმისათვის, რომ ამით მომხდარიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებთან გონივრული მისადაგება. წესი, რომლის მიხედვითაც, დასაქმებისა ან დანიშნულებისას უპირატესობა ენიჭებათ იმ თანამშრომლებს, რომლებიც ამ კომპანიაში უფრო მეტხანს მუშაობენ, შეთანხმებული იყო, ერთ შემთხვევაში, პროფკავშირებთან, ხოლო სხვა შემთხვევაში, ეს ნეიტრალური წესი (პოლიტიკა) შემოღებული იყო თავად დამსაქმებლის მიერ. უზენაესმა სასამართლომ უმრავლესობით (ხუთი ოთხის წინააღმდეგ) დაადგინა, რომ იმის მიუხედავად, სტაჟის მიხედვით დანიშნულების წესის შემოღება მოხდა კოლექტიური მოლაპარაკების საფუძველზე თუ დამსაქმებლის მიერ ერთპიროვნულად, ADA არ ითხოვს დამსაქმებლისგან, ამ წესის გაუქმების გზით მოხდეს შშმ პირის საჭიროებასთან გონივრული მისადაგება. სასამართლოს თქმით, აღნიშნული წესის მოქმედების პირობებში, ათასობით დამსაქმებულს წარმოეშობა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ კომპანიაში წლების მანძილზე მუშაობის შემდეგ ისინი განსაზღვრულ თანამდებობას დაიკავებენ. გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებით, ამ ლეგიტიმური მოლოდინის დარღვევა იქნება გაუმართლებლად მძიმე ტვირთი არა მარტო კომპანიის, არამედ იმ დასაქმებულებისთვისაც, რომლებსაც, მართალია, არ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა, მაგრამ

³⁹ https://www.supremecourt.gov/opinions/14pdf/14-86_p86b.pdf

⁴⁰ https://www.supremecourt.gov/opinions/14pdf/14-86_p86b.pdf

⁴¹ <https://supreme.justia.com/cases/federal/us/535/391/case.html>

წლების განმავლობაში მუშაობენ მოლოდინით, რომ დადგენილი წესით მიენიჭებათ უპირატესობა შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დამსაქმებელს უფლება მისცა, შემოიღოს სტაჟის ხანგრძლივობის მიხედვით დასაქმების ან დანიშნულების ბლანკეტური წესი. ამის მიუხედავად, სასამართლომ გააკეთა შემდეგი დათქმა: თუკი სტაჟის ხანგრძლივობის წესი არ არის ბლანკეტური და ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისებს, ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, დაუშვას კიდევ ერთი გამონაკლისი, რომელიც დაკავშირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებთან მისადაგებასთან. თუ დამსაქმებელი ითვალისწინებს გამონაკლისს წესიდან, რომლის მიხედვითაც, თანამდებობის დასაკავებლად უპირატესობა ენიჭება პირს, რომელმაც ამ კომპანიაში სხვებზე მეტხანს იმუშავა, მაშინ კიდევ ერთი გამონაკლისი უნდა დაწესდეს, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად შშმ პირს უპირატესობა მიენიჭება იმ პირთან შედარებით, რომელმაც ამ კომპანიაში უფრო მეტხანს იმუშავა. როცა კომპანიაში მუშაობის მაღალი სტაჟის საფუძველზე დანიშნულების წესიდან არსებობს გამონაკლისები, გონივრული მოლოდინი, რომ განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ მაღალი სტაჟის მქონე პირი კონკრეტულ თანამდებობას დაიკავებს, აღარ წარმოიშობა. ამგვარად, ასეთ შემთხვევაში, წესის მოდიფიკაცია, შშმ პირის მოთხოვნების მისადაგების მიზნით, იქნება გონივრული და ამით ზედმეტი ტვირთი არ დაანგება არც კომპანიას და არც იქ დასაქმებულ იმ პირს, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობები.

კოალიცია „თანასწორობისთვის“ მიერ საანგარიშო პერიოდში წარმოებული არაერთი საქმე ეხება გონივრული მისადაგების მოთხოვნას, მაგალითად, საქმე, სადაც უსინათლო პირი ვერ გაცნო თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სოციალური აგენტის მიერ შედგენილ დეკლარაციას, მაშინ, როდესაც ზოგადი და ნეიტრალური წესი მისგან სწორედ ამას მოითხოვდა. შედეგად, დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანის გამო, აღნიშნულმა პირმა დაკარგა სოციალური შემწეობის მიღების შესაძლებლობა. გონივრული მისადაგების უფლებას ეხება საჩივარი ლიბერთი ბანკის ნეიტრალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, საბანკო ბარათის დამზადებამდე კლიენტი უნდა გაცნოს და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას. ეს წესი არ არის გონივრულად მისადაგებული უსინათლოებისა და მცირემხედველი პირების საჭიროებებთან. კოალიციის წევრი ორგანიზაციების კიდევ ერთი საქმე ეხება საერთო სასამართლოს სარჩელის ფორმას, რომელიც არ არის გონივრულად მისადაგებული.⁴²

გონივრული მისადაგების პრინციპის საჭიროება გაჩნდა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებშიც. ეს ეხება სკოლის შინაგანანგებს, რომელიც ადგენს სასკოლო ფორმას. შინაგანანგის ნეიტრალურია რელიგიური პრაქტიკის რეგულირების მიმართ, ვინაიდან მიზნად ისახავს მოსწავლის სასკოლო ტანისამოსის განსაზღვრას, აქედან გამომდინარე, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის მოსწავლის ჩაცმის წესიდან გამორიცხავს ქუდის, კეპის, ბენდენას და ნებისმიერი თავსახვევის ტარებას. ამ ჩამონათვალში ექცევა მუსლიმი ქალის ჰიჯაბიც. ხსენებული რეგულაციის საფუძველზე, ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორმა ორ მუსლიმ გოგონას სკოლაში ჰიჯაბის ტარება აუკრძალა. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორმა ბავშვის მშობლები გააფრთხილა დისკრიმინური პასუხისმგებლობის თაობაზე.

ისლამის საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინსტიტუტზე დაყრდნობით, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი ერთ-ერთ საქმეში, რომელიც მუსლიმი მოსწავლისათვის სკოლაში ჰიჯაბის ტარების აკრძალვას ეხებოდა, წარდგენილ სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში მიუთითებს: „ალაჰის მიმართ პატივისცემის ნიშნად, ქალები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმყოფებიან საჯარო სივრცეში, თავს იფარავენ ჰიჯაბით.“⁴³ ამგვარად, მუსლიმი ქალისთვის ჰიჯაბის ტარება საკუთარი რელიგიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ზოგადი და ნეიტრალური წესი, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებაში თავსახვევის ტარებას, საჭიროებს ამ რელიგიურ პრაქტიკასთან გონივრულ მისადაგებას.

გონივრული მისადაგების მოთხოვნა პირდაპირ არ არის მითითებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში. ამის მიუხედავად, გონივრული მისადაგების მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ზოგადი და ნეიტრალური წესის იმგვარად მოდიფიცირებას, რომ დააკმაყოფილოს მონყვლადი ჯგუფის საჭიროებები, დაკავშირებულია ირიბი დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან. ირიბი დისკრიმინაცია პირდაპირ არის აკრძალული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით. კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, **ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება ... ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში მოახდინებს.**

⁴² იხილეთ თავი - 1.7. შეზღუდული შესაძლებლობა.

⁴³ https://www.justice.gov/sites/default/files/crt/legacy/2010/12/15/musk_memo.pdf

მარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

სახალხო დამცველის ან საერთო სასამართლოს მიერ ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შემდეგ, ამგვარი მოპყრობის განმარტებლებელს სახალხო დამცველი ან სასამართლო მოსთხოვს ფორმით ნეიტრალური წესის გაუქმებას ან იმგვარად მოდიფიკაციას, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი სხვებთან შედარებით არახელსაყრელი მდგომარეობიდან გამოიყვანოს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით: „დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ნებისმიერი დანესებულება ვალდებულია, თავისი საქმიანობა, აგრეთვე, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას (მათ შორის, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც ირიბ დისკრიმინაციას კრძალავს).“ კანონის ეს მოთხოვნები სხვა არაფერია, თუ არა – დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენება.

ამგვარად, იმის მიუხედავად, არის თუ არა კანონში პირდაპირ ნახსენები გონივრული მისადაგება, ამ მექანიზმის გამოყენების გარეშე ირიბი დისკრიმინაციის აღმოფხვრა შეუძლებელია. ზოგადი და ნეიტრალური წესი იმგვარად უნდა მოდიფიცირდეს, რომ სასკოლო ფორმის დამდგენ რეგულაციებში გათვალისწინებული იყოს მუსლიმი ქალის რელიგიური საჭიროებები, ასევე, გათვალისწინებული იყოს უსინათლო ადამიანების საჭიროებები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის ფორმებისა და ლიბერთი ბანკის მიერ ბარათის გაცემის წესების შეცვლის გზით.

გონივრული მისადაგების წესის კანონში პირდაპირ ჩანერა არც იქნებოდა აუცილებელი, მისადაგების წესი აბსოლუტური და ბლანკეტური ხასიათის რომ იყოს. თუმცა, სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ მისადაგება არ იქნება გონივრული, თუ ამით გაუმართლებელი სირთულეები წარმოიშობა, მნიშვნელოვანია ეს ცნება კანონში გაიწეროს. კანონში ამ პრინციპის განერის არგუმენტად გამოდგება ისიც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის პირდაპირი გამოყენების გზით, ამ პრინციპით ხელმძღვანელობა მხოლოდ შშმ პირების ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევაშია შესაძლებელი. ირიბი დისკრიმინაციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს სხვა დაცული ნიშნის მატარებელი პირიც, განსაკუთრებით კი, რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ კანონში ამ პრინციპის განერით, ყველა მოწყვლადი ჯგუფი, გონივრული მისადაგებით, დაცული იყოს ირიბი დისკრიმინაციისგან, თუკი ეს არ არის დაკავშირებული გაუმართლებელ სირთულეებთან.

2.3. მრავალი ნიშნით დისკრიმინაცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი საფუძვლით. საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინაციის რამდენიმე საქმე აწარმოეს. PHR-ის ორი საქმე ეხებოდა ბოშა ბავშვების დამაკნინებლად მოხსენიებას მედიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ამ საქმეებში მსხვერპლს ახასიათებდა მოწყვლადობის ერთზე მეტი ნიშანი – იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და სოციალურად დაუცველი ბავშვი. ასევე, აღსანიშნავია EMC-ის საქმე, სადაც ალიევის რეჟიმის მიმართ კრიტიკულად განწყობილ აზერბაიჯანელ ჟურნალისტს საქართველოში შემოშვებაზე დისკრიმინაციული უარი უთხრეს. ამ შემთხვევაშიც, სახეზეა დისკრიმინაციის ერთზე მეტი ნიშანი – სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და პოლიტიკური შეხედულებები.

ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაცია არის მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას. მაგალითად, საიას ერთ-ერთ საქმეში ნარკოტიკების მომხმარებელი ქალის მიმართ დისკრიმინაცია, ნამალდამოკიდებულების მკურნალობის სერვისის მიღების პროცესში, ხდებოდა ორი ნიშნის ურთიერთგადაკვეთით – პირი რომ არ ყოფილიყო, ერთდროულად, ქალი და ნამალდამოკიდებული, დისკრიმინაციის შემადგენლობა არ იქნებოდა. კანონით გათვალისწინებული მრავალი ნიშნით დისკრიმინაციისგან ეს ქმედება იმით განსხვავდება, რომ მრავალი ნიშნით დისკრიმინაციის დროს პირი შესაძლოა დაექვემდებაროს აღნიშნულ ქმედებას თითოეული ნიშნის საფუძველზე, დამოუკიდებლად, და არა მხოლოდ ერთზე მეტი ნიშნის ურთიერთქმედების შედეგად.

მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია აკრძალული იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2013 წელს მომზადებული კანონპროექტითაც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონპროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული იყო: „საქართველოს ტერიტორიაზე

ასევე აკრძალულია ერთზე მეტი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია, ანუ პირის მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოპყრობა იმის გამო, რომ მას ერთობლივად ახასიათებს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი ნიშანი.“ კანონპროექტის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული იყო: „დისკრიმინაციის განმარტებული ფიზიკური პირი ჯარმდება 100-დან 500 ლარამდე ოდენობით, ხოლო იურიდიული პირი, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – 500-დან 2500 ლარამდე ოდენობით. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება დისკრიმინაციის მძიმე ფორმები, კერძოდ: დისკრიმინაცია ამ კანონში ჩამოთვლილი ორი ან მეტი ნიშნის საფუძველზე“.⁴⁴ ამავე მუხლით, ჯარიმის დაკისრების უფლება უნდა ჰქონოდა ინსპექტორს.

იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ მიღებული და დღეს მოქმედი კანონით, ომბუდსმენს არ აქვს დაჯარიმების უფლებამოსილება, ამ კონტექსტში ორზე მეტი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვამ აზრი დაკარგა. იმის მიუხედავად, დისკრიმინაცია ერთი ნიშნით ხორციელდება თუ რამდენიმე ნიშნით, სახალხო დამცველის რეაგირება იქნება იდენტური – რეკომენდაციის გამოცემა.

იმის გათვალისწინებით, რომ დისკრიმინაციის ჩამდენი პირის სანქცირება მორალური ზიანის ანაზღაურების კუთხით სასამართლოს კომპეტენციაა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ეს ერთი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაში ხდება. როგორც PHR-ის საქმეზე სახალხო დამცველმა განაცხადა, ღირსების შეურაცხყოფით ბავშვს უქვეითდება თვითშეფასება, ამის შედეგად, სწავლის სურვილი და, იმავდროულად, თუ შეურაცხყოფა მიმართულია ბავშვის ბოშური წარმომავლობისკენ, ხდება მისი სტიგმატიზება. ასეთი ქმედება იწვევს ორმხრივ სტრესს, რაც სასამართლოს, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისას, მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს. ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინაციამ უნდა დაამძიმოს დისკრიმინაციის ქმედების განმარტორციელების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

2.4. დისკრიმინაცია კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად: „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.“ ამგვარად, იმისათვის, რომ დისკრიმინაცია დადგინდეს, ნიშანთან, კომპარატორთან, ლეგიტიმურ მიზანსა და მოპყრობის გონივრულ და ობიექტურ გამართლებასთან ერთად, უნდა გაირკვეს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელი უფლებით სარგებლობისას ხდება დისკრიმინაცია.

სახალხო დამცველის პრაქტიკის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლებთან მიმართებითაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსხვავებულ მოპყრობას, მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში. სახალხო დამცველი ამონიშნავს, ხომ არ ჰქონდა ადგილი დისკრიმინაციულ მოპყრობას კონსტიტუციით გათვალისწინებული ამა თუ იმ უფლებით სარგებლობისას.

მაგალითის სახით მოვიყვანთ WISG-ის საქმეს, რომელიც ეხება ტრანსგენდერი ქალისთვის ტაქსის კომპანია „Maxim“-ის მძღოლის მიერ მომსახურებაზე უარის თქმას. კერძოდ, როდესაც ტაქსის მძღოლმა დაინახა ქალის ტანსაცმელში ჩაცმული ტრანსგენდერი ქალები მაკიაჟით და ქუსლიანი ფეხსაცმლით, მათ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ფუ, თქვე პიდარასტებო, მანქანაში არ ჩაგვამთ.“ ამ საქმეში სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია და განაცხადა, რომ დისკრიმინაცია განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნული განვითარების უფლებით სარგებლობისას. სახალხო დამცველის რეკომენდაციაში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია:

„დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ეს უფლება იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი, გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვების ჩაურევლად, პირადი გადწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან.

აღნიშნული უფლება, პირველ რიგში, მოიაზრებს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას, რაც გულისხმობს პიროვნების ზოგად თავისუფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ

⁴⁴ <http://gbu.ge>

მახასიათებლებზე. იმავდროულად, მე-16 მუხლი მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროს, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებასა და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს არ მიეცა საშუალება, საკუთარი გენდერული იდენტობის შესაბამისად წარმოჩენილიყო და ესარგებლა ტაქსის მომსახურებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტაქსის მომსახურების მიღებაზე უარმა განაპირობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა.⁴⁵

ამ შემთხვევაში სახალხო დამცველმა გამოყო უფლების ორი ასპექტი: 1) ტაქსის მომსახურებით სარგებლობა; 2) საკუთარი გენდერული იდენტობის გამოხატვა. ორივე მათგანი სახალხო დამცველმა მოაქცია კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში.

ასეთი მიდგომა ნასესხებია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიდან. ამ მუხლს გააჩნია ე.წ. „პარაზიტული ბუნება“ – მოქმედებს კონვენციის სხვა მუხლებით გარანტირებულ უფლებებთან კავშირში. იმისათვის, რომ მოხდეს კონვენციის მე-14 მუხლზე მითითება, საჭიროა, განსახილველი საკითხი ექცეოდეს კონვენციით დაცული ამა თუ იმ უფლების სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისაგან იმით განსხვავდება, რომ საქართველოს კონსტიტუციას არ გააჩნია პარაზიტული ბუნება და ამ მუხლით დაცული უფლება შესაძლებელია დაირღვეს კონსტიტუციის სხვა მუხლებით გარანტირებული უფლებებისგან დამოუკიდებლად. კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული თანასწორობის უფლება უკვე თავად არის დამოუკიდებელი უფლება, მათ შორის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლში ჩანერილი სიტყვების – „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებების“ – მიზნებისთვის. კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, უთანასწორო მოპყრობა განხორციელდა კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით თუ უბრალო სამართლებრივ ინტერესთან მიმართებით, რომელიც, ცალკე აღებული, შესაძლოა, არ იყოს სასამართლოში გასაჩივრებადი. ამის მიზეზი არის ის, რომ უთანასწორო მოპყრობა უკვე თავისთავად წარმოადგენს თანასწორობის უფლებაში ჩარევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების მე-2 თავის მე-12 პუნქტში განაცხადა: „უფლებაში ჩარევის ინტენსივობა განისაზღვრება არსებითად თანასწორი პირების მიერ კონკრეტული უფლებით სარგებლობისა თუ სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილების საშუალების შესაძლებლობებს შორის განსხვავებით. ამგვარად, ცალკე აღებული საკითხის სენსიტიურობა დიფერენცირების ინტენსივობის დასაბუთების არგუმენტი a priori ვერ იქნება.“

უფლების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის მიერ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის იმგვარად განმარტება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულ უფლებებში იგულისხმება კონსტიტუციით, მათ შორის მე-16 მუხლით, გარანტირებული უფლება. საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების მე-2 თავის 55-ე პუნქტში აღნიშნულია: „კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა, შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს.“ ამგვარად, უფლება, რომელიც პირდაპირ არ არის ნახსენები კონსტიტუციაში, შესაძლოა მოექცეს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში.

რასობრივი თანასწორობის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად, დირექტივა ვრცელდება ყველა ადამიანზე, საჯარო და კერძო დაწესებულებიდან ისეთი საქონლისა და მომსახურების წვდომასა და მიღებაზე, მათ შორის სახლის დაქირავებაზე, რომელიც საჯაროდ არის გამოტანილი.⁴⁵ ქალისა და მამაკაცის მიერ საქონლისა და მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში თანაბარი მოპყრობის თაობაზე 2004 წლის 13 დეკემბრის დირექტივის პრეამბულის მე-13 მუხლის თანახმად: „დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება ადამიანის ისეთი საქონლით და მომსახურებით უზრუნველყოფისას, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ასეთი საქონლისა და მომსახურების შეთავაზება უნდა ხდებოდეს პირადი და კერძო ცხოვრების მიღმა, ისევე, როგორც ამ სფეროს მიღმა

⁴⁵ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32000L0043>

უნდა ხდებოდეს გადახდები საქონლისა და მომსახურების მიღებისათვის.⁴⁶

ამგვარად, დისკრიმინაცია იკრძალება არა პირად სფეროში, არამედ კომერციულ ურთიერთობებში საქონლისა და მომსახურების მიწოდებისას. კონსტიტუციის მე-16 მუხლმა, ერთი მხრივ, შესაძლოა არ მოიცვას კომერციული ურთიერთობის ყველა ასპექტი, მეორე მხრივ, ეს უფლება სწორედაც რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების ურთიერთობების ძალიან ფართო სფეროს იცავს, რაც ანტიდისკრიმინაციული დირექტივების მოქმედების სფეროდან გამორიცხულია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა არ შემოიფარგლოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-16 ან სხვა მუხლებით და გავრცელდეს ყველა იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ფულადი საფასურის გადახდის გზით, მათ შორის, იმ პირის სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის გზით, რომელსაც, მართალია, კომერციულ ურთიერთობაში საჯაროდ გამოაქვს საქონელი და მომსახურება, თუმცა, დისკრიმინაციულად ეუბნება უარს კონკრეტულ პირს ამ საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე.

გენდერული იდენტობის გამო ტაქსით მომსახურებაზე უარის თქმის გარდა, კოალიციის წევრები აწარმოებენ საქმეს, რომელიც ეხება სექსუალური ორიენტაციის გამო ღამის კლუბში შეშვებაზე უარს. ეს შემთხვევები დაკავშირებულია კომერციულ სფეროში საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე დისკრიმინაციული საფუძვლით უარის თქმასთან. კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს იმ ადამიანის დაცვის შესაძლებლობას, რომელსაც უარი უთხრეს ბაზარზე საჯაროდ გამოტანილი საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო ის, რომ საბაზრო ფასის გადახდის სანაცვლოდ, ნებისმიერ ადამიანს შეეძინა მისთვის სასურველი და ბაზარზე საჯაროდ გამოტანილი საქონელი და მომსახურება, განურჩევლად ამ ადამიანის კანის ფერის, რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ სხვა დაცული ნიშნისა.

იმისათვის, რომ ადამიანს შეეძლოს საჯაროდ ხელმისაწვდომი მომსახურების თავისუფლად მიღება, სახალხო დამცველი იშველიებს პიროვნული განვითარების უფლების იმგვარ ასპექტს, რომელიც გულისხმობს გარესამყაროსთან კავშირის დამყარებას. მაგალითად, „ბიბლუსის“ წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე გამოცემულ რეკომენდაციაში საზოგადოდ ხელმისაწვდომი მომსახურების მიღების უფლება სახალხო დამცველმა მოაქცია კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში. სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ „პირადი ავტონომიისა და თვითრეალიზების უფლება ასევე მოიცავს ადამიანის უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ წარდგეს და **წარმოჩნდეს საჯარო და საზოგადოებრივ ადგილებში.**“ სახალხო დამცველის განმარტებით, პირადი ცხოვრების აღნიშნული კომპონენტიდან გამომდინარეობს ადამიანის უფლება – მიიღოს მომსახურება ნიგნების მაღაზიაში.

2.5. საქმისწარმოების შეწყვეტის პრაქტიკა სახალხო დამცველის აპარატში

სახალხო დამცველის აპარატში დამკვიდრდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, საქმის შესწავლის ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს ინფორმაციის გამოთხოვნა, სახალხო დამცველი დისკრიმინაციის განმარტებულ სთავაზობს, ნებაყოფლობით აღმოფხვრას სავარაუდოდ დისკრიმინაციული ქმედება. ეს ხდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოთხოვნის წერილით და არა – რეკომენდაციით ან ზოგადი წინადადებით, რაც საქმის განხილვის ფინალურ ეტაპს წარმოადგენს. ბუნებრივია, სახალხო დამცველის აპარატის წერილი ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე არ შეიცავს ისეთ დასაბუთებას ქმედების სავარაუდოდ დისკრიმინაციულობის ან დისკრიმინაციის საფრთხის შესახებ, როგორც რეკომენდაცია ან ზოგადი წინადადება. ინფორმაციის მოთხოვნის წერილში დასმულია შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, აპირებს თუ არა მოპასუხე იმ ქმედების აღმოფხვრას, რომელსაც სადავოდ ხდის მომჩივანი.

ამ წერილის მიღების შემდეგ, თუ მოპასუხე აღიარებს მისი მხრიდან დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებას და აღმოფხვრის მას, სახალხო დამცველი შეწყვეტს საქმისწარმოებას რეკომენდაციის გამოცემის გარეშე. რეკომენდაცია ან ზოგადი წინადადება გაიცემა მაშინ, როდესაც, ინფორმაციის გამოთხოვნის წერილის პასუხად, მხარე განაცხადებს, რომ არ აპირებს სადავო ქმედების აღმოფხვრას.

მაგალითად, „საფარის“ საქმეზე, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა კლინიკა „უნივერსში“ განთავსებული განცხადება ექოსკოპიული გამოკვლევის ჩასატარებლად მამაკაცების ურიგოდ მომსახურებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, გეგმავდა თუ არა „უნივერსი“ სადავო განცხადების ჩამოხსნას. წერილის მიღების შემდეგ „უნივერსმა“ აღნიშნული წარწერა ჩამოხსნა. სახალხო დამცველის აპარატი დარწმუნდა იმაში, რომ წარწერის ჩამოხსნასთან ერთად, მამაკაცების ურიგოდ შესვლის პრაქტიკაც აღმოფხვრა, რის შემდეგაც შეწყვიტა საქმისწარმოება ზოგადი წინადადების ან რეკომენდაციის გამოცემის გარეშე.

⁴⁶ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32004L0113>

განსხვავებულად განვითარდა მოვლენები „საფარის“ კიდევ ერთ საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რეკლამას, სადაც ქალის სხეულზე განთავსებული იყო საკვები პროდუქტები. ამ პრომოთი ხდებოდა ქალის სხეულის ობიექტივიზაცია. ვიდეო განთავსებული იყო youtube-ზე ტელეკომპანია „ტაბულას“ მიერ. სახალხო დამცველმა თავდაპირველად „ტაბულას“ გაუგზავნა წერილი, რომლითაც გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, გეგმავდა თუ არა ტელეკომპანია ინტერნეტსივრცეიდან აღნიშნული ვიდეოს აღებას. სახალხო დამცველმა „ტაბულას“ ზოგადი წინადადებით მიმართა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა youtube-დან ვიდეოს ნაშლაზე უარი განაცხადა.

მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრების საფუძველი შეიძლება იყოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომელშიც აღნიშნულია: „საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, საქართველოს სახალხო დამცველი დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ საქმის მორიგებით დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს“.

ამ ნორმის მიხედვით, რეკომენდაციის გაცემა უკიდურესი საშუალებაა და გამოიყენება მას შემდეგ, რაც ამოწურულია დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესაძლებლობა სხვა საშუალებებით, მაგალითად, მორიგების გზით. როცა ხდება მხარეების მორიგება, ან მოპასუხე ნებაყოფლობით აღმოფხვრის იმ ქმედებას, რომელსაც სადავოდ ხდის მომჩივანი, რეკომენდაცია აღარ გაცივება და შეიძლება საქმისწარმოება შეწყდეს.

ამ მიდგომას გააჩნია გამართლება საქმისწარმოების ეკონომიურობის თვალსაზრისით. მოპასუხის მიერ დისკრიმინაციული ქმედების ნებაყოფლობით აღმოფხვრა და, ამის შემდეგ, საქმისწარმოების შეწყვეტა უზრუნველყოფს თანასწორობის დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა დროის დაზოგვას და აპარატის განტვირთვას. ამ თვალსაზრისით, მსგავსი მიდგომის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია.

ამავე დროს, შეიძლება მომავალში სახალხო დამცველის აპარატში შევიდეს ისეთი საქმე, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხელს შეუწყობს პრაქტიკის განვითარებას და თანასწორობის უფლების სტანდარტების ამაღლებას. ასეთ გამონაკლის შემთხვევებში, უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ თანასწორობის დეპარტამენტმა გამოსცეს რეკომენდაცია ან ზოგადი წინადადება იმის მიუხედავად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოპასუხე აღმოფხვრის სადავოდ ქცეულ ქმედებას თუ – არა. თუ საქმე იმდენად უჩვეულოა, რომ მანამდე სახალხო დამცველს მსგავს საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არ ჰქონია, ან სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მსგავსი ტიპის საქმეებზე დამკვიდრებული პრაქტიკის შეცვლა, ასეთ შემთხვევაში რეკომენდაცია უნდა გამოიცეს. ამგვარი გამონაკლისის დაშვებას ამართლებს ისიც, რომ, იმის მიუხედავად, აღმოფხვრა თუ არა მოპასუხემ სადავო ქმედება, სახალხო დამცველის რეკომენდაციას არ მოჰყვება რაიმე ტიპის რეპრესიული შედეგები. დასაბუთებული რეკომენდაცია ან ზოგადი წინადადება ადგენს თანასწორობის სტანდარტს, რასაც აქვს საგანმანათლებლო და პრევენციული და, არავითარ შემთხვევაში, რეპრესიული ფუნქცია დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირის მიმართ.

2.6. ზოგადი წინადადება და რეკომენდაცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს სახალხო დამცველის ორ შემაჯამებელ გადაწყვეტილებას: რეკომენდაციას და ზოგად წინადადებას. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ამ ორ გადაწყვეტილებას შორის არსებული განსხვავება არა მარტო საკანონმდებლო კუთხით, არამედ საანგარიშო პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკის თვალსაზრისითაც.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს **დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე**. ეს მუხლი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადი წინადადების გამოცემის მომენტში სახეზე უნდა იყოს არა დასრულებული დისკრიმინაცია, არამედ უნდა არსებობდეს დისკრიმინაციის დადგომის საფრთხე. სწორედ მომავალში თანასწორობის უფლების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით გამოსცემს სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას.

თუკი დისკრიმინაცია უკვე დამდგარი ფაქტია და ადამიანის თანასწორობის უფლება უკვე დარღვეულია, სახალხო დამცველმა უნდა გამოსცეს არა ზოგადი წინადადება, არამედ რეკომენდაცია. როგორც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტშია აღნიშნული: „... სახალხო დამცველი დისკრიმინაციის მსხვერპლის **უფლებების აღსადგენად** რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ საქმის მორიგებით დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც **დისკრიმინა-**

ციას ადასტურებს“. ამგვარად, რეკომენდაცია, ზოგადი წინადადებისაგან განსხვავებით, გამოიცემა არა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, არამედ იმ შემთხვევაში, როცა თანასწორობის უფლების დარღვევა უკვე დამთავრებულია და საჭიროა დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლისთვის, კომპარატორთან შედარებით, თანაბარი უფლებების აღდგენის გზით. ამის საპირისპიროდ, ზოგადი წინადადების გამოცემის მომენტისთვის მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაცია ჯერ დაწყებულიც კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა არსებობდეს მომავალში ამგვარი, თუნდაც აბსტრაქტული, საფრთხე.

საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრების საქმეებზე გამოცემული რეკომენდაციებისა და ზოგადი წინადადების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ ის საკითხები, რომლებიც გვხვდება რეკომენდაციებში და არ გვხვდება ზოგად წინადადებებში.

კოალიციის საქმეებზე მიღებულ ზოგად წინადადებებში საერთოდ არ მიმდინარეობს მსჯელობა კომპარატორთან დაკავშირებით. ეს ეხება როგორც გენდერულ საკითხზე მომზადებულ, ისე ბოშა ბავშვებთან დაკავშირებულ ზოგად წინადადებებს. WISG-ის საქმეზე მიღებულ ზოგად წინადადებაში, რომელიც შეეხება გაუპატიურების მსხვერპლი სოციალურად დაუცველი ქალისთვის აბორტის დაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან, კომპარატორი ვერ იქნებოდა მამაკაცი, რომელიც, მისი ბიოლოგიური მახასიათებლების გამო, გაუპატიურებით არ ფეხმძიმდება და ვერ შედის აბორტის სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში. ასევე, ზოგად წინადადებაში კომპარატორად არ არის დასახელებული ქალი, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი და გააჩნია აბორტის გასაკეთებელი სახსრები.

კომპარატორზე არ საუბრობს სახალხო დამცველი ბოშა ბავშვებთან და ქალის სხეულის ობიექტივიზაციასთან დაკავშირებით გამოცემულ ზოგად წინადადებებშიც. ამ და აბორტის დაფინანსებასთან დაკავშირებით გამოცემულ ზოგად წინადადებებში საუბარია იმაზე, რომ, თუ არ აღმოფხვრება მდგომარეობა, რომელშიც გაუპატიურების მსხვერპლი სოციალურად დაუცველი ქალები, ასევე, სტერეოტიპული შეხედულებების გამო ბოშა ბავშვები და ქალები ვარდებიან, მომავალში ისინი შეიძლება გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლები. მაგალითად, PHR-ის საქმეში სახალხო დამცველი საუბრობს იმაზე, რომ ბოშა ბავშვებს, ღირსების შელახვით, უქვეითდებათ თვითშეფასების გრძობა და კარგავენ სწავლის სურვილს. ამან კი, შესაძლებელია, მომავალში გამოიწვიოს ბოშა ბავშვის დისკრიმინაცია განათლების ან სხვა უფლებასთან მიმართებით. იგივე ეხება სახელმწიფოს უმოქმედობას გაუპატიურების მსხვერპლი ქალის აბორტის დაფინანსებასთან დაკავშირებით. გაუპატიურების მსხვერპლი სოციალურად დაუცველი ქალის აბორტის დაფინანსებაზე უარი თავისთავად არ წარმოადგენს დასრულებულ დისკრიმინაციას, რისთვისაც აუცილებელი ხდება კომპარატორის, ლეგიტიმური მიზნის, თანაზომიერების შეფასება, არამედ ამგვარი უარი გაუპატიურების მსხვერპლ ქალებს დისკრიმინაციისათვის მოწყვლად მდგომარეობაში აგდებს. როგორც ამ საქმეზე გამოცემულ ზოგადი წინადადებაშია აღნიშნული: „გაუპატიურების მსხვერპლის მიმართ სტიგმა ბიძგს აძლევს მომავალში დისკრიმინაციულ მოპყრობასა და სოციალურ გარიყულობას. განსაკუთრებით მძიმდება ვითარება, როდესაც ქალები გაუპატიურების შედეგად ორსულდებიან, ვინაიდან ისინი, გაუპატიურების მსხვერპლის სტატუსთან ერთად, დამდგარი ორსულობის გამო დამატებით სტიგმატიზაციას განიცდიან.“ ამგვარად, ამ ზოგად წინადადებაში სახალხო დამცველი საუბრობს მომავალში ქალის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლებლობაზე და, აღნიშნული შედეგის თავიდან ასაცილებლად, ზოგადი წინადადებით მოუწოდებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსოს სოციალურად დაუცველი ქალის აბორტი.

ზოგადი წინადადებისგან განსხვავებით, რეკომენდაციებში სახალხო დამცველი დეტალურად მსჯელობს უფლებაზე, რომლით სარგებლობის დროსაც ხდება განსხვავებული მოპყრობა; კომპარატორზე; მოპყრობის ლეგიტიმურ მიზანზე; განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებაზე. ამის ყველაზე კარგი მაგალითია PHR-ის საჩივრის საფუძველზე სახალხო დამცველის მიერ ქიათურის საკრებულოს მიმართ გამოცემული რეკომენდაცია, სადაც დეტალურად არის განხილული დისკრიმინაციის ტესტის ყველა საკითხი.

2.7. დისკრიმინაციული შვინროება და სექსუალური შვინროება

საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა დისკრიმინაციულ შევიწროებასთან დაკავშირებული არაერთი საქმე აწარმოეს. EMC-ს საქმე, რომელიც ეხებოდა ქობულეთში პანსიონის გახსნისთვის ხელის შეშლას, მიმდინარეობდა სწორედ შევიწროების ფორმით: მაგალითად, მედრესეზე ღორის თავის მიჭედება, მუსლიმებისთვის მედრესეს ფუნქციონირებისთვის ძალადობით ხელის შეშლა. კერძო პირების მხრიდან ამ ფორმით ჩადენილი დისკრიმინაცია დაადასტურა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობით ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები. WISG-ის ერთ-ერთ საქმეზე სახალხო დამცველმა დაადგინა დისკრიმინაცია, რომელიც სწორედ შევიწროების გზით იყო ჩადენილი. ტაქსის მძღოლმა

ტრანსგენდერ ქალებს უარი უთხრა ტრანსპორტირებაზე შემდეგი სიტყვებით: „ფუ, თქვე პიდარასტებო, მანქანაში არ ჩაგსვამთ.“

შვეინროების გზით დისკრიმინაცია ჯერჯერობით არ დადგენილა, თუმცა, მსგავსი ტერმინოლოგიის გამოყენებით გამოაძევეს ორი გეი წყვილი ბათუმის ლამის კლუბ „Sector 26“-დან მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთს აკოცეს. დისკრიმინაციულ შვეინროებას ადგილი აქვს სკოლებშიც, სადაც ბავშვები შავკანიან თანაკლასელს მიმართავენ: „ნადი შენს აფრიკაში, ცივილიზაციაში შენი ადგილი არ არის.“

დისკრიმინაციის კიდევ ერთი ფორმა – სექსუალური შვეინროება ხდება დასაქმების ადგილას, სადაც დამსაქმებელი მამაკაცი დასაქმებულ ქალს, კარიერული წინსვლის სანაცვლოდ, ინტიმური კავშირის დამყარებას სთავაზობს. კიდევ ერთი დამსაქმებელი მამაკაცი სხვა თანამშრომლების თანდასწრებით დასაქმებულ ქალებს მოიხსენიებს თავის „ციყვებად“, რომლებთანაც სექსუალური კავშირი აქვს, მისი მიყვანილები არიან და როცა უნდა, მაშინ გაუშვებს სამსახურიდან.

დისკრიმინაციული შვეინროება პირდაპირი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, ვინაიდან დისკრიმინაციული ქმედების ჩამდენი პირი, უხეში ვერბალური ან ძალადობრივი ქცევით, ღიად გამოხატავს თავის ნებას, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს მსხვერპლი კონკრეტული ნიშნის გამო. შესაბამისად, გამორიცხულია ირიბი დისკრიმინაციის შვეინროების გზით ჩადენა. ირიბი დისკრიმინაციის დროს დისკრიმინაციული შედეგი დგება გაუფრთხილებლობით, როდესაც ქმედების განმხორციელებელი წინასწარ ვერ აფასებს, რომ საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები საჭიროებდნენ ქმედების დისკრიმინაციულ შედეგთან მისადაგებას. შვეინროება, მისი ძალადობრივი ხასიათის გამო, საჭიროებს საკანონმდებლო რეგლამენტაციას და პირდაპირი დისკრიმინაციის სხვა ფორმებისგან გამიჯვნას.

დისკრიმინაციული შვეინროება პირდაპირ აკრძალულია შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით, სადაც აღნიშნულია: „დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შვეინროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.“ ამის მიუხედავად, შვეინროება არ ხდება მხოლოდ შრომით ურთიერთობებში. როგორც კოალიციის მიერ წარმოებული საქმეებიდან ჩანს, შვეინროება შესაძლოა მოხდეს სასწავლებელში, მომსახურების სფეროში და რელიგიური უფლების განხორციელებისას. ამიტომ მნიშვნელოვანია შვეინროების ცნების გადმოტანა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში. დისკრიმინაციის სხვა სახეებისგან განსხვავებით, შვეინროების სიმძიმის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს აღნიშნული ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აღიარება ამ ცნების შინაარსის ზედმიწევნით დაზუსტების შემდეგ.

ევროკავშირის 2006/54/EC დირექტივის თანახმად, განსაზღვრულია როგორც შვეინროების, ისე სექსუალური შვეინროების ცნებები. დირექტივის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტის თანახმად: შვეინროება ნიშნავს მსხვერპლისთვის მიუღებელ ქცევას, რაც მიზნად ისახავს ან იწვევს მსხვერპლის ღირსების შელახვას და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. ამავე პუნქტის „d“ ქვეპუნქტის თანახმად, სექსუალური შვეინროება ნიშნავს: მსხვერპლისთვის მიუღებელ, სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის ვერბალურ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქცევას, რაც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.⁴⁷

2.8. თანასწორობის დაცვის ორივე მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა

წინა ანგარიშებში კოალიცია მიუთითებდა დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის როგორც სახალხო დამცველის, ისე საერთო სასამართლოს მექანიზმის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობის მიცემის აუცილებლობის თაობაზე. მოქმედი კანონმდებლობით, საკმაოდ რთულია ორივე მექანიზმის ერთდროულად გამოყენება. თუკი პირი სამთვიანი ვადის დაცვით მიმართავს სასამართლოს, სახალხო დამცველი ვალდებულია, ამ საქმის განხილვა შეაჩეროს. თუ დისკრიმინაციის მსხვერპლი დაელოდება სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვის დასრულებას, ამით შეიძლება მან გაუშვას დისკრიმინაციული ქმედების იძულების წესით აღმოფხვრის და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა სასამართლოსთვის მიმართვის მეშვეობით.

2014-2015 წლების ანგარიშში აღნიშნულია: „დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ჰქონდეს დისკრიმინაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამ უკანასკნელზე წვდომა ხშირად რთულია სახალხო დამცველის მონაწილეობის გარეშე. ამიტომ სასამართლოსთვის მიმართვამდე მხარისთვის ღირებულება, ისარგებლოს სახალხო დამცველის რესურსით,

⁴⁷ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32006L0054>

მოიპოვოს მტკიცებულება, რაც სასამართლოში საქმის წარმატებით დასრულების წინაპირობა გახდება. მიზანშეწონილია, მხარეს არ უწევდეს არჩევანის გაკეთება სახალხო დამცველსა და სასამართლოს შორის. სასამართლოსათვის მიმართვის 3-თვიანი ხანდაზმულობის ვადა, რეალურად, მომჩივანს ამგვარი არჩევანის წინაშე აყენებს“.⁴⁸

თანასწორობის დაცვის ორივე მექანიზმით სარგებლობის ეფექტურობა კარგად გამოჩნდა EMC-ის მიერ წარმოებულ ლათინ კათოლიკეთა საქმეში. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის დადგენა მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა ამ საქმეზე სახალხო დამცველის მიერ გამოცემულ რეკომენდაციას, რომელმაც რომანელი კათოლიკეებისთვის რუსთავში ეკლესიის მშენებლობის ხელშეშლის გამო დისკრიმინაცია დაადგინა. აღნიშნული საქმე ადასტურებს იმ მოსაზრების სისწორეს, რომელზეც კოალიცია 2014-2015 წლების ანგარიშში მიუთითებდა:

„სახალხო დამცველი და სასამართლო ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული როლი ეკისრება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო დამცველის რეკომენდაცია, არასავალდებულო ხასიათის გამო, ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული ქმედების გარდაუვალ აღმოფხვრას და მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თავის მხრივ, სასამართლო, განსაკუთრებით სამოქალაქო პროცესში, ვერ ანაცვლებს სახალხო დამცველს იმით, რომ მოიპოვოს დისკრიმინაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლო კმაყოფილდება იმ მტკიცებულებების შეფასებით, რასაც მხარეები წარუდგენენ“.⁴⁹

იმის გამო, რომ ამ ეტაპზე საქართველოს პარლამენტს არ შეაქვს ცვლილება კანონმდებლობაში და, საქმის სახალხო დამცველის აპარატში განხილვის შემთხვევაში, არ ხდება გასაჩივრების სამთვიანი ვადის შეჩერება, კოალიციის წევრი ორგანიზაციები მიზნად ისახავენ, აღნიშნულ შედეგს კანონმდებლობის სასამართლო განმარტების გზით მიაღწიონ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363² მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.“ ამ ნორმის ერთი შინაარსით განმარტების თანახმად, სამთვიანი ვადის დინება იწყება იმ ქმედების განხორციელების დღიდან, რასაც მოსარჩელე დისკრიმინაციულად თვლის. ამ ნორმას შესაძლოა სხვა ნორმატიული შინაარსიც გააჩნდეს. შესაძლოა დისკრიმინაციული გარემოების გაგების დრო აითვალოს არა მოვლენის დადგომის დღიდან, არამედ სახალხო დამცველის მიერ ქმედების დისკრიმინაციულად შეფასების თარიღიდან.

სასამართლოს მეშვეობით სწორედ ამგვარი განმარტების მიღებას იმედოვნებს საია შპს „აი კი დეველოპმენტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე. ამ საქმეში მუსიკოსის მიმართ დისკრიმინაციულ ქმედებას – სამსახურში დაბრუნებაზე უარს – ადგილი ჰქონდა 2017 წლის 3 თებერვალს. სახალხო დამცველმა აღნიშნულ საქმეზე ორსულობის ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა 2017 წლის 2 ოქტომბერს. სწორედ ამ თარიღიდან ხდება სამთვიანი ვადის ათვლა საიას მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელით და არა – 2017 წლის 3 თებერვლიდან, როცა სადავო დისკრიმინაციულ ქმედებას ჰქონდა ადგილი. საია მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებით აღმოფხვრას ის ხარვეზი, რისი გამოსწორებაც საკანონმდებლო პროცესის შედეგად ვერ ხერხდება.

2.9. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შედეგი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი იწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლს, ასევე, სავარაუდოდ დისკრიმინაციული ქმედების განმარტებულ პირს და ცდილობს, საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს. მთავი კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს სახალხო დამცველი საჭიროდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია, დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად. მორიგების შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

EMC თავის სახელმძღვანელოში „სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი“ მიუთითებს: „საქართველოს სახალხო დამცველს, მორიგების აქტის შედგენის გარდა, უშუალოდ მორიგების აქტის პირობების შესრულების მონიტორინგის უფლებამოსილება აქვს, მაგრამ მითითებული უფლებამოსილება, ფაქტობრივად, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა, რამდენადაც კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის რეაგირება შეიძლება ჰქონდეს სახალხო დამცველს მონიტორინგის შედეგად მორიგების პირობების დარღვევის დადგენის შემთხვევაში. კანონმდებლობა არც საჯარო დაწესებულებების და არც კერძო პირების მიმართ მორიგების აქტის შესრულების ვალდებულების მექანიზმს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, მსგავსი მოწესრიგება სახალხო დამცველს, როგორც მორიგების აქტის შესრულებაზე ზედამხედველ ორგანოს, არსებითად სუსტ მექანიზმად აქცევს, რაც, თავის მხრივ,

⁴⁸ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება - გვ.49. https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Report_210x270mm.pdf

⁴⁹ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება - გვ.49. https://www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Report_210x270mm.pdf

დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების დაცვაში უშლის ხელს“.⁵⁰

მნიშვნელოვანია, რომ თუკი ადმინისტრაციული ორგანო არ შეასრულებს მორიგების პირობებს, სახალხო დამცველს ჰქონდეს მის მიმართ სარჩელის სასამართლოში აღძვრის უფლება ისევე, როგორც ეს უფლებამოსილება სახალხო დამცველს აქვს მისი რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამასთან, სახალხო დამცველს უნდა ჰქონდეს სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად, ძალადაკარგულად და არარად ცნობის თაობაზე სარჩელის წარდგენის უფლება, თუკი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ პასუხობს როგორც სახალხო დამცველის რეკომენდაციის მოთხოვნებს, ასევე მორიგების პირობებს.

2.10. საქმის განხილვის გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დასრულებულა საქმეთა განხილვა იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებიც შეტანილი იყო 2016 წელს. პროცესის გაჭიანურება ნაწილობრივ გამოიწვია სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავამ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დავა გადაწყვეტილი იყო უზენაესი სასამართლოს მიერ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მაინც არ დაუსრულებია ამგვარი საქმეების განხილვა. მაგალითად, EMC-მ 2016 წლის 22 თებერვალს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პანკისის ხეობაში მაცხოვრებელ ყველა პირს დისკრიმინაციულად დაატოვებინეს სხდომათა დარბაზი. 2016 წლის 23 ივნისს უზენაესმა სასამართლომ საქმე განსჯადობით მიაკუთვნა სამოქალაქო კოლეგიას. ამის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ამ საქმეზე არცერთი სხდომა არ ჩაუტარებია. იგივე შეიძლება ითქვას საიას სარჩელზე, რომელიც ეხება ცესკოს მიერ საარჩევნო მოხელეთა დისკრიმინაციის პროფკავშირში გაერთიანების გამო. ეს სარჩელი საიამ შეიტანა 2016 წლის 30 მარტს. განსჯადობა აქაც სადავო გახდა. 2017 წლის იანვარში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული დავა სამოქალაქო იურისდიქციის სასამართლოს სასარგებლოდ გადაწყვიტა, თუმცა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს საქმე არ დაუსრულებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საქმის განხილვის 2-თვიანი, ხოლო რთული კატეგორიის საქმის განხილვის 5-თვიანი ვადის დარღვევისა და პროცესის გაჭიანურების მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოების გადატვირთულობაა. სწორედ გადატვირთულობის მიზეზით ხსნიან მოსამართლეების თანაშემწეები იმას, რომ პროცესი დროულად ვერ ჩაინიშნა. გადატვირთულობისა და მისგან გამომდინარე პრობლემის – საქმეთა განხილვის გაჭიანურების – მოგვარების საშუალება მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდაა.

2.11. რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში განისაზღვროს გონივრული მისადაგების ცნება: „გონივრული მისადაგება“ – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელება, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას.
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის პირველ მუხლს დამატოს სიტყვები: „ან/და საჯაროდ გამოტანილ საქონელსა და მომსახურებაზე თანასწორად წვდომის უზრუნველყოფა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ან/და საჯაროდ გამოტანილ საქონელსა და მომსახურებაზე თანასწორად წვდომის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.“
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით განისაზღვროს შევიწროების ცნება, რაც ნიშნავს: „მსხვერპლისთვის მიუღებელ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მსხვერპლის ღირსების შელახვას და დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“

⁵⁰ სახალხო დამცველი, როგორც თანასწორობის მექანიზმი, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, 2017, 82-ე გვერდი. <https://emcrights.files.wordpress.com/2017/08/e183a1e18390e1839ae18390e1839ae183aee1839d-e18393e18390e1839be183aae18395e18394e1839ae18398-e183a0e1839de18392e1839de183a0e183aa.pdf>

- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონით, დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვროს სექსუალური შევიწროება, რაც ნიშნავს: „მსხვერპლისთვის მიუღებელ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის ვერბალურ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.“
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში დისკრიმინაციის ფორმად განისაზღვროს ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაცია, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას.
- სახალხო დამცველისთვის მიმართვის შემთხვევაში, შეჩერდეს ამავე საქმეზე სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადა.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363²-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გაიზარდოს 3 თვიდან 1 წლამდე.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII³ თავში ჩაინეროს ნორმა დისკრიმინაციის საქმეებზე დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების მხრიდან „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის შესახებ.
- სავალდებულო გახდეს კერძო დაწესებულებიდან სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის მიწოდება. კერძო დაწესებულების მიერ სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევდეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ან ამ დაწესებულების წინააღმდეგ საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურებას.
- სახალხო დამცველის რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს, სარჩელის აღძვრის გზით, შეეძლოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად, ძალადაკარგულად ან არარად აღიარების მოთხოვნა, რომელიც არღვევს სახალხო დამცველის რეკომენდაციას.
- მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს შეეძლოს, ისევე წარადგინოს ადმინისტრაციული სარჩელი მორიგების პირობების დამრღვევი ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, როგორი უფლებამოსილებაც მას გააჩნია რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

საერთო სასამართლოს

- დისკრიმინაციის დავებისას სათანადოდ შეაფასოს საჯარო განცხადებები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მოპასუხის სადავოდ ქცეულ გადაწყვეტილებაზე;
- მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინაციის ჩადენის ფაქტი.
- დროულად განიხილოს დავები დისკრიმინაციის თაობაზე.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

- სასამართლოების გადატვირთულობისა და საქმის განხილვის გაჭიანურების პრობლემის მოსაგვარებლად გაზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას


- გადაამზადოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები დისკრიმინაციის მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტებთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოს მოსამართლეთა კორპუსში დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შეხედულებების აღმოფხვრა.

სახალხო დამცველს

როცა საქმის განხილვის პროცესში მოპასუხე აღიარებს და ნებაყოფლობით აღმოფხვრის დისკრიმინაციულ ქმედებას, სახალხო დამცველის აპარატმა გააგრძელოს საქმისწარმოება და გამოსცეს რეკომენდაცია ან ზოგადი წინადადება, თუ საქმე ეხება თანასწორობის უფლების იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, ან საქმეზე საბოლოო დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია პრაქტიკის განვითარებისთვის.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



კომუნიკაცია თანასწორობისთვის